

„თავისუფლების ინსტიტუტი" არასამთავრობოების პოზიციას არ ეთანხმება A4



ჰიმნი ნაკრებისთვის A8



ელეგანტურობის შესახებ A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 31 მარტი, 2006 წელი. №69 (1221)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

"სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების" უდიდესი საერთაშორისო აღიარება



A2

## ბიზნესი

საცალო ვაჭრობის ქსელი "პოპული" საერთაშორისო ინტერესს იწვევს

B4

## პოლიტიკა

უკრაინის მეორე დიდი გამოცდა

უკრაინის საპარლამენტო არჩევნებს მსოფლიო საზოგადოებრიობა გაცილებით მეტი ყურადღებით ადევნებდა თვალს, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნებს ბელორუსში. ამ უკანსაკნელ შემთხვევაში ყველაფერი გასაგები იყო - მოსახლეობის დიდი ნაწილი ლუკაშენკოს მისცემდა ხმას, მაგრამ გაყალბების ხარჯზე ეს ხმების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

A3

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 31/03 | 1 /04 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 20 |
| ტყიბული | 13 | 18 |
| სოხუმი | 12 | 21 |
| დმანისი | 12 | 13 |
| გორი | 15 | 16 |
| ონი | 7 | 13 |
| ზუგდიდი | 13 | 21 |
| ახმეტა | 20 | 20 |
| გაგრა | 12 | 19 |
| სამტრედია | 15 | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8276 |
| ევრო | 2.1915 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.1756 |
| რუბლი | 0.0657 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| სტუმარი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# კოსოვოს დამოუკიდებლობა

## დილემა ევროპისთვის და რუსეთისთვის

დიმიტრი ავალიანი

*სერბეთისა და მონტენეგროს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, ბუნდოვანების მიუხედავად, მედიის ნაწილმა პოზიციების დათმობად აღიქვა. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას სულ უფრო რეალურ პერსპექტივად აფასებენ. ამ პრეცედენტს კი მოსკოვში, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში, მოუთმენლად ელიან.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*სერბეთისა და მონტენეგროს საგარეო საქმეთა მინისტრის ვუკ დრაშკოვიჩის განცხადებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სერბეთში და მის ფარგლებს გარეთ.*

# მკვდარი თემების რეინკარნაცია

გიორგი ასანიშვილი

*ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" ორი თვის განმავლობაში ელოდა სამთავრობო საათზე ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურისა და სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის მისვლას, რათა მათ ოპოზიციონერი დეპუტატების "ცნობისმოყვარეობა" დაეკმაყოფილებინათ და საჯაროდ განეცხადებინათ, იანვრის ბოლოს, ენერგოკრიზისის დღეებში, რა ფასად შეიძინა ქართულმა მხარემ ირანისგან ბუნებრივი აირი. გუშინ "დემფრონტელებმა", როგორც იქნა, წადილი აისრულეს და მთავრობის წევრები "დაკითხეს".*

გაგრძელება A2 გვერდზე



*გუშინ "დემფრონტელებმა", როგორც იქნა, წადილი აისრულეს და მთავრობის წევრები "დაკითხეს".*

# მედიცინაში ვუნდერკინდები არ არსებობენ

მაია ჭალაგანიძე

*ამ გართულებულ პოლიტიკურ-კრიმინალურ-სოციალურ ფონზე ფართო საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა ორი მოვლენა - ორი პედაგოგიური და ორი სამედიცინო უმაღლესი სასწავლო დაწესებულების გაერთიანება და ამ გაერთიანებულ სტრუქტურაში ახალი ხელმძღვანელების მოსვლა. დღევანდელი ჩვენი სტუმარი, პროფესორი გია მენაბდე განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ ორიოდე დღის წინ წარადგინა იმ ახალი სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის შერწყმის შედეგად იქმნება. დღეს ძალზე აქტუალურია საერთოდ განათლება და კერძოდ - სამედიცინო განათლება. რას აპირებს ახალი რექტორი, როგორ უნდა დააწიოს ეს სფერო მაღალ ევროპულ სტანდარტებს, რომელსაც ათწლეულებით ჩამოვრჩებით – გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი, გია მენაბდე.*

გაგრძელება A5 გვერდზე



# დაკარგული დიქტატორი

*ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს პოლიტიკურ ბიოგრაფიაში 31 მარტი მნიშვნელოვანი დღე უნდა ყოფილიყო. 19 მარტის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ ალექსანდრ გრიგორის ძეს დღეს მესამედ უნდა დაედო პრეზიდენტის ფიცი საკუთარი ხალხის წინაშე... მაგრამ ინაუგურაციის ცერემონიალი აპრილის დასაწყისისთვის გადაიდო, რადგან "ევროპის უკანასკნელი დიქტატორი" დაიკარგა...*
*ლუკაშენკოს "გაუჩინარების" შესაძლო მიზეზებზე პრესაში არაერთი ვერსია ვრცელდება.*

სოფო ბუკია

უკანასკნელად ლუკაშენკო ჟურნალისტებმა 20 მარტს ნახეს, როდესაც იგი არჩევნების შედეგებზე კომენტარს აკეთებდა. ეს იყო და ეს. "ბატკას" საქმიანობის ოცდაოთხსაათიან ტელეტრანსლიაციას მიჩვეულ ბელარუსებს "ბატკა" ტელევიზიით 10 დღეა აღარ უნახავთ.

ლუკაშენკომ პასუხი არ გასცა იმ სამად-სამ მილოცვასაც (თუ არ ჩავთვლით ედუარდ კოკოითისა და სერგეი ბაგაფშის დეპეშებს), რომლებიც ბელარუსის პრეზიდენტმა არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ვლადიმირ პუტინის, ილჰამ ალიევისა და ფიდელ კასტროსგან მიიღო.

პრესაში ლუკაშენკოს "გაუჩინარებაზე" ბევრს წერენ. ზოგიერთები ამბობენ, რომ ლუკაშენკო იმდენად შეუძლოდაა, რომ ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა; სხვები ვარაუდობენ, რომ ლუკაშენკოს ეს გაუჩინარება შორსგამიზნული პოლიტიკური ნაბიჯია, რასაც ამ ფაქტით უკიდურესად აღელვებული ბელარუსი ხალხის თხოვნა-მუდარა უნდა მოჰყვეს - "სად ხარ, ბატკა, ნუ მიგვატოვებო"...

პრესაში ატეხილმა აჟიოტაჟმა იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ ჟურნალისტების ვარაუდებს, როგორც იქნა, გამოეხმაურა ბელარუსის პრეზიდენტის პრესსამსახური. პრესსამსახურის მიერ გავრცელებული დამამშვიდებელი ინფორმაციის პათოსი ასეთია: "ბატკა" საღ-სალამათია როგორც არასდროს, მაგრამ ბევრი საქმე აქვს და მნიშვნელოვანი დოკუმენტების კირკიტს რომ მორჩება, აუცილებლად "გამოანათებს".

საკუთარი სიტყვების გასამყარებლად, პრესსამსახურმა ტელევიზიებში მოკლე სიუჟეტი გაავრცელა, სადაც ლუკაშენკო ჩინოვნიკებთან თათბირს ატარებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უკმაყოფილოები

*სალარო აპარატების არდადგმის მოთხოვნით ადრე დაწყებული აქცია კვლავ პარლამენტის წინ განახლდა. სოციალური პრობლემები პოლიტიკურმა განცხადებებმა ჩაანაცვლა. პარლამენტის შენობასთან გუშინ გამართულ აქციაზე სალარო აპარატები გაკვრითღა გაიხსენეს. ძველ მოთხოვნებს ახალი დაემატა - შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენების, მინისტრთა კაბინეტის სრული დათხოვნის, გირგვლიანის მკვლელობის ობიექტური გამოძიებისა და შემკვეთების დასჯის და სალარო აპარატების შემოღების გაუქმების გარდა, ციხეში მომხდარი ბუნტის ობიექტური გამოძიებას და იუსტიციის მინისტრის, გია ქავთარაძის გადადგომასაც ითხოვდნენ.*

თამარ მაისურაძე

პარლამენტთან შეკრებილი, მთავრობისგან უკმაყოფილო საზოგადოება ოპოზიციის მიერ ნათქვამ პოლიტიკურ განცხადებებს ტაშს უკრავდა, პარალელურად კი, ყოფით პრობლემებზე საუბრობდნენ.

ოპოზიციის მსგავსად გუშინდელი აქციისთვის მომზადებული იყო სახელმწიფოც, რაც ძალოვანი უწყებების კონსტრუქციულობით აიხსნებოდა. მართალია, გუშინდელ აქციას სანქცირებული ერქვა და მისი გამართვის შესახებ ქალაქის მთავრობა წერილობით იყო ინფორმირებული, მაგრამ, როგორც მერიაში აცხადებდნენ, წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სამართალდამცველები ყველა იმ ზომას გაატარებდნენ, რაც კანონით არის გათვალისწინებული.

სამართალდამცავებისგან განსხვავებით დესტრუქციული იყო თავად ოპოზიცია. აქციის მასპინძელი გუშინაც "ლეიბორისტული პარტია" იყო, მიტინგის წამყვანი კვლავ პაატა ჯიბლაძე. "ლეიბორისტები" პარლამენტთან დათქმულ დროს მივიდნენ.

პაატა ჯიბლაძე "ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის" ლიდერმა, ირაკლი წერეთელმა შეცვალა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მკვლელობის ვერსიას იუსტიციის სამინისტრო უარყოფს

27 მარტს ციხეში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილთა ოფიციალურ სიაში, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა, პატიმარი მამუკა ღვინიაშვილი არ იყო მოხსენიებული. შეტყობინება მისი გარდაცვალების შესახებ ოჯახის წევრებმა გუშინ მიიღეს.

ციხეში გარდაცვლილი პატიმრის მამუკა ღვინიაშვილის ოჯახის წევრები დარწმუნებით აცხადებენ, რომ პატიმარი 27 მარტს, ციხეში განვითარებული მოვლენების დროს მოკლეს. მათივე ინფორმაციით, მამუკა ღვინიაშვილს თავში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული აქვს ჭრილობა. გარდა ამისა, გარეგნული დათვალიერებით აღენიშნება სხეულის სერიოზული დაზიანება და ცემის კვალი.

**"არადა, ჩვენ ოფიციალურად განგვიცხადეს, რომ მამუკა ღვიძლის დაშლის შედეგად, ციროზით გარდაიცვალა"**, - აცხადებენ ოჯახის წევრები.

პატიმრის ახლობლები ირწმუნებიან, რომ ღვინიაშვილი პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არ ყოფილა გადაყვანილი, ის ციხეში მომხდარი ბუნტის წინა დღეს საპყრობილეში მოინახულეს.

იუსტიციის სამინისტრო უარყოფს ღვინიაშვილის ოჯახის წევრთა ვარაუდს და აცხადებს, რომ პატიმარი მამუკა ღვინიაშვილი ციხის სამკურნალო დაწესებულებაში 21 მარტს გადაიყვანეს. სამინისტრო აცხადებს, რომ პატიმარი მამუკა ღვინიაშვილი, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 21 მარტიდან იმყოფებოდა, მართალია, 27 მარტს გარდაიცვალა, მაგრამ გარდაცვალების მიზეზი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გახდა. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, სამკურნალო დაწესებულებაში იგი ფსიქიატრიული ექსპერტიზის დაკვნის საფუძველზე გადაიყვანეს, რომლის თანახმადაც, ავადმყოფი სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებდა.

*24 საათი*

## საქართველოსა და რუსეთს შორის დღეს ბაზების გაყვანისა და სამხედრო ტრანზიტის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმდება

საქართველოსთვის დღეს ისტორიული დღეა, ვინაიდან საქართველო-რუსეთს შორის ხელი ეწერება ხელშეკრულებას საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე.

ამის შესახებ განცხადება გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გააკეთა.

ნოღაიდელის თქმით, ხელმოწერის ცერემონია რუსეთის ქალაქ სოჭში შედგება. მისივე განცხადებით, ხელშეკრულების გაფორმებით გამყარდება 2005 წლის მაისში მიღებული გადაწყვეტილება საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის თქმით, ბაზების გაყვანის ხელშეკრულებასთან ერთად, სამხედრო ტრანზიტის შესახებ ხელშეკრულებაც გაფორმდება. მინისტრის განცხადებით, აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს უფლება ეძლევა, საჭიროებისამებრ განახორციელოს ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიაზე. "ამ ხელმოწერის შემდეგ ბაზების გაყვანის საკითხი ტექნიკურ ჭრილში გადაინაცვლებს და აღარ იქნება პოლიტიკური", - განაცხადა ბეჟუაშვილმა.

საქართველოს მხრიდან ხელს ხელშეკრულებებს ხელს თავდაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა კუდავა მოაწერს. **ინტერპრესნიუსი**

## ვალერი გელაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე ალექსანდრე ლომაიამ კომენტარი გააკეთა

ვალერი გელაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საკითხზე გუშინ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ კომენტარი გააკეთა.

მისი განცხადებით, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ გელაშვილი არ უარყოფს თავის დაინტერესებას N84 სკოლასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტა-არშეწყვეტის საკითხი უშუალოდ პარლამენტის კომპეტენციაა.

მინისტრის თქმით, უნდა გაიმიჯნოს საკითხი, რომელსაც პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი განიხილავდა და საკითხი, რომელსაც სამართალდამცველები სკოლაში ხანძრის გაჩენასთან დაკავშირებით იძიებენ. **ინტერპრესნიუსი**

## კობა დავითაშვილს უთვალთვალებენ

კობა დავითაშვილი ზუგდიდელ ძალოვანებს უკანონო თვალთვალში ადანაშაულებს.

კობა დავითაშვილმა, რომელიც ზუგდიდში 29 მარტს ღამე ჩავიდა, სამხარეო პოლიციაში განცხადება დაწერა და ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ითხოვა. დავითაშვილის განცხადებით, როდესაც თბილისიდან ზუგდიდის მიმართულებით მგზავრობდა, აბაშიდან მას დაედევნა "აუდის" მარკის თეთრი ავტომანქანა, რომელშიც რამდენიმე პიროვნება იჯდა. დავითაშვილის თქმით, ზუგდიდში მისვლამდე ეს ავტომანქანა მის მანქანას მიჰყვებოდა.

დავითაშვილმა სცადა გაერკვია, ავტომანქანის მგზავრთა ვინაობა და აღმოჩნდა, რომ იქ შეიარაღებული ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები ისხდნენ.

კობა დავითაშვილის განცხადებით, მან საპატრულო პოლიციის მცდელობით გაარკვია მანქანაში მსხდომთა ვინაობა, თუმცა ამან დამშვიდების საფუძველი ვერ მისცა. "შსს-ს "სიკვდილის ბრიგადები" ჰყავს და აქედან გამომდინარე, მანქანაში პოლიციელთა ყოფნა დამშვიდების საფუძველს არ იძლევა", - განაცხადა დავითაშვილმა.

დავითაშვილის თქმით, მან საპატრულო პოლიციის თანამშრომელს მოსთხოვა ავტომანქანაში მსხდომი პიროვნებების ვინაობის გარკვევა, თუმცა პატრულმა შემთხვევის ადგილიდან გაცლა ამჯობინა. ამის შემდეგ კობა დავითაშვილმა სამხარეო პოლიციაში განცხადება დაწერა. მოგვიანებით იგი საპატრულო პოლიციის შენობასთან მივიდა, თუმცა კარი დაკეტილი იყო. "022-ზე რამდენჯერმე დავრეკე. ტელეფონს არავინ პასუხობდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საპატრულო პოლიცია ვერ მუშაობს", - განაცხადა დავითაშვილმა.

კობა დავითაშვილი გუშინ დილით სვანეთისკენ გაემგზავრა, სადაც დაგეგმილია სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით აქციის გამართვა. **ინტერპრესნიუსი**

# უკმაყოფილოები

პირველი გვერდიდან

**"ხელისუფლებამ საფრთხე შეუქმნა ორ უზენაეს ღირებულებას - სიცოცხლეს და თავისუფლებას, რაც კიდევ ერთი მიზეზია, რომ ხალხმა ხელისუფლების გადადგომა მოითხოვოს,"** – აღნიშნა წერეთელმა და მეგაფონი პარტია "თავისუფლების" ლიდერს, კოკო გამსახურდიას გადასცა. **"ქვეყანა ძარცვით ვერ აშენდება. სახელმწიფო ორგანოებში არიან მკვლელები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გამოდევნილნი სახელმწიფო სტრუქტურებიდან. პარტია "თავისუფლება" ხელისუფლების სამართლიანი არჩევნების გზით შეცვლას მოითხოვს",** - განაცხადა გამსახურდიამ. "კონსერვატორი" ზვიად ძიძიგური მიიჩნევს, რომ საპროტესტო მოძრაობა მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა გაიშალოს. **"როცა ხალხის მიერ დაქირავებული ხელისუფლება კარგად არ მუშაობს, უნდა გაუშვა და ახალი მოიყვანო,"** – აღნიშნა ძიძიგურმა და აქციის წევრებს ურჩია პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის გადადგომა მოეთხოვათ. "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერმა,



აქცია პარლამენტის შენობის წინ.

ბაჩუკი ქარდავამ განაცხადა, რომ: **"ამ ხელისუფლების ატანა უკვე შეუძლებელია".** "ტრადიციონალისტმა" აკაკი ასათიანმა პრეზიდენტ სააკაშვილს ალტერნატიული სამუშაო ადგილიც გამოუძებნა და აღნიშნა, რომ **"სააკაშვილს ვაკის პარკის დირექტორობა მოუხდებოდა."** "რესპუბლიკელმა" დავით ბერძენიშვილმა პრეზიდენტ სააკაშვილს ურჩია, ნუ მიბაძავს მის წინამორბედს. **"მას ჰყავს ძალიან კარგი მეგობარი, უკრაინის პრეზიდენტი იუშჩენკო, რომელსაც ეყო ნებისყოფა და აღიარა, რომ არჩევნებში დამარცხდა ",** - მიმართა პრეზიდენტს ბერძენიშვილმა.

იქ შეკრებილი ახალგაზრდობა "ძალადობის წინააღმდეგ" გამოდიოდა. ოპოზიცია კი პროკურატურის ფონდში არსებული 160 მილიონი ლარის ასავალ-დასავალს იკვლევდა. პარალელურად საუბრობდნენ მედიაზე განხორციელებულ ზეწოლაზეც და ორთაჭალის ციხეში დაჭრილი პატიმრების რაოდენობაზეც.

აქციაზე სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძეც მივიდა, რომელმაც აღნიშნა, რომ შვილის დაკარგვის საშიშროება საქართველოში ყველა დედას ემუქრება. **"ერთადერთი შვილი მომიკლეს და ამას არავის ვაპატიებ",** - აღნიშნა მან.

ოპოზიციამ 26 მაისამდე შესვენება გამოაცხადა. ხელისუფლებას კი შეუთვალა, რომ დამოუკიდებლობის დღემდე "გონს მოეგოს". ოპოზიციის წევრებს შორის ყველაზე მეტი აქტიურობით გამორჩეული შალვა ნათელაშვილი ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს: "ხელისუფლებამ 26 მაისს, ხალხს უნდა უთხრას, თუ როდის ჩატარდება დემოკრატიული არჩევნები და როდის აღარ იქნებიან ხელისუფლებაში მკვლელები," – აცხადებს იგი და წინააღმდეგ შემთხვევაში "საერთო ეროვნული გადარჩენის აქციის" გამართვით იმუქრება.

# მკვდარი თემების რეინკარნაცია

პირველი გვერდიდან

შეიძლება ითქვას, ოპოზიციონერები ამაოდ დაშვრნენ. ნიკა გილაურის თქმით, ირანისგან შესყიდული გაზის ფასი კომერციული საიდუმლოებაა, რაც ირანული მხარის მოთხოვნა იყო და მისი გამხელის უფლება არა აქვს. მინისტრის განცხადებით, ამ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდება მას მხოლოდ "ნდობის ჯგუფისთვის" ან პარლამენტის ბიუროს წევრებისთვის დახურულ სხდომაზე შეუძლია. ამასთან, გილაური აღნიშნავს, რომ "ტყუილი და წმინდა წყლის პროვოკაციაა" რუსული საინფორმაციო სააგენტოების მიერ ირანულ წყაროზე დაყრდნობით გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, თითქოს, ქართულმა მხარემ 1000 კუბურმეტრ გაზში 233 დოლარი გადაიხადა.

ენერგეტიკის მინისტრის ასეთი განმარტება სამთავრობო საათის ინიციატორებს არ აკმაყოფილებთ. ივლიანე ხაინდრავა აცხადებს, რომ ირანის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ზემოთ დასახელებულ ფასს ოფიციალურად ადასტურებს და ამდენად, მისთვის გაუგებარია, მისი ქართველი კოლეგა ამ ინფორმაციას რატომ ასაიდუმლოებს. მიუხედავად ამისა, "დემოკრატიული ფრონტის" წევრები ნიკა გილაურთან კონფრონტაციაზე არ მიდიან, რადგან იციან, რომ ირანული გაზის საფასურს ბიუროს დახურულ სხდომაზე მაინც შეიტყობენ.

ხაინდრავას თქმით, ენერგოკრიზისის დროს ისიც გამოაშკარავდა, რომ საქართველო, დსთ-ს ჩარჩოებში, ვერ ახერხებს მისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას და ყველაფერი მაინც ორმხრივი მოლაპარაკებების დროს წყდება. ამიტომ, ოპოზიციონერი პარლამენტარისთვის გაუგებარია, რაში გამოიხატება დსთ-ში ყოფნის ხიბლი, მით უმეტეს, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, როდესაც რუსეთმა თავის ბაზარზე ქართული ღვინოების შეტანა აკრძალა. **"დსთ-ს აპოლოგეტებს ის არგუმენტიც გამოეცალათ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ყოფნით საქართველო რუსეთის ბაზარს ინარჩუნებს,"** - აცხადებს ივლიანე ხაინდრავა.

ხელისუფლება ოპოზიციას განუმარტავს, რომ დსთ-ში საქართველოს ყოფნას პოლიტიკური კი არა, მერკანტილური ხიბლი აქვს. **"როდესაც დსთ-ს წევრ ქვეყნებთან გავაფორმებთ 11 ხელშეკრულებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და რამდენიმე სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტს, მაშინ საშუალება გვექნება, საფუძვლიანად განვიხილოთ დსთ-ში ყოფნის მიზანშეწონილების საკითხი,"** - აღნიშნავს კახა ბენდუქიძე.

ბუნებრივია, ოპოზიციამ გუშინ ხელიდან არ გაუშვა მომენტი და საკანონმდებლო ორგანოში მისულ ბენდუქიძეს მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის თემაზეც "ჩამოუგდო სიტყვა".

**"ამ საკითხზე არც ერთ ორგანიზაციასთან არ მიმდინარეობს მოლაპარაკება. ასეც რომ იყოს, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გაყიდვაზე საბოლოო სიტყვა მაინც პარლამენტს ეკუთვნის,"** - ამშვიდებს სახელმწიფო მინისტრი ოპონენტებს. ბენდუქიძის თქმით, ეს მთავრობის პოზიციაა, პირადად მისი აზრი კი ამის საპირისპიროა.

**"ენერგოკრიზისმაც დაადასტურა ჩემი აზრის სიმართლე: მთავარი ის კი არ არის, ვის ეკუთვნის რკინის მილი, არამედ ის, არის თუ არა ენერგოსისტემა დივერსიფიცირებული,"** - "თავისას მაინც არ იშლის" ბენდუქიძე.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია" საპარლამენტო ჯგუფის ჩამოყალიბებას მოითხოვს, რომელიც პროკურატურის ფონდში თანხების ჩარიცხვისა და განკარგვის კანონიერებას შეისწავლის. აღნიშნული განცხადება, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა მანანა ნაჭყებიამ დღეს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მას შემდეგ გააკეთა, რაც უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის მწვავე დებატები ურთიერთბრალდებებით დასრულდა.

როგორც ნაჭყებიამ აღნიშნა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ გიგა ბოკერიას განცხადებების მიხედვით, პროკურატურის ფონდში ჩარიცხული თანხები აბსოლუტურად გამჭვირვალეა, მაშინ, როდესაც რამდენიმე ათეული არასამთავრობო ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ აღნიშნული ფონდების გაუქმებამდე, მათ შესაბამის ორგანოებს მიმართეს, რათა ჩარიცხული თანხების განკარგვის შესახებ ინფორმაცია მიეღოთ, თუმცა - უშედეგოდ. ნაჭყებიას თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ პროკურატურის ფონდში ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია დახურულია. ამიტომ, "მემარჯვენე ოპოზიცია" მოითხოვს, პარლამენტში შეიქმნას ჯგუფი, რომელიც ამ თანხების გამჭვირვალობის და განკარგვის საკითხებს შეისწავლის. შესაბამისად, მსჯელობის საგანი უნდა გახდეს გიგა ბოკერიას მიერ გუშინ პროკურატურის ფონდთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი ვახტანგ ბალავაძე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციას "შავების" რევოლუციის მოწყობის მცდელობაში ადანაშაულებს.

აღნიშნული განცხადება ვახტანგ ბალავაძემ გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე "მემარჯვენე ოპოზიციისა" და ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლების მიერ ხელისუფლების მისამართით გამოთქმული კრიტიკული განცხადებების შემდეგ გააკეთა.

როგორც ვახტანგ ბალავაძემ აღნიშნა, "მემარჯვენე ოპოზიციის" მხრიდან ჯემალ ინაიშვილის მისამართით გამოთქმული მინიშნებები, რომ იგი შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენელი იყო, უხერხულია, რადგან "მემარჯვენე ოპოზიცია" სწორედ ის ძალაა, რომელმაც 2003 წელს ხელი შეუწყო საქართველოს პარლამენტში კვორუმის შედგენას და საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გვერდზე ბოლომდე დარჩა.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის ბიძინა ბრეგაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებას დიდი ხანია არჩეული აქვს კრიმინალებთან ბრძოლის კურსი, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია კი სწორედ იმ კრიმინალებს უჭერს მხარს, რომელთაც საქართველოს ხელისუფლება ებრძვის. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა საპარლამენტო უმრავლესობას მოუწოდა ურთიერთბრალდებები ნაკლებად გამოიყენოს ოპონირებისთვის და პოლიტიკური პროცესი დაპირისპირებაში არ გადაზარდოს. **ინტერპრესნიუსი**

# "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების" უდიდესი საერთაშორისო აღიარება

### პირველი ISO და HACCP სერტიფიკატის მფლობელი რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია ამიერკავკასიაში - "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები"

კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობა უდავოდ საქართველოს ეკონომიკის ის სეგმენტია, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური განვითარებით ხასიათდება. თვიდან თვემდე თუ წლიდან წლამდე ქვეყნის ბაზარზე პერმანენტულად ჩნდება ახალი ბრენდები, რომლებიც პოტენციურ მომხმარებელს სულ უფრო მეტად გაფართოებული ასორტიმენტის პროდუქციას სთავაზობენ. თავისთავად, ეს ნამდვილად პოზიტიური პროცესია, თუმცა, ბაზარზე მწარმოებელი კომპანიებისა და წარმოებული პროდუქციის ოდენობის ზრდის პარალელურად, ცხადია, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ პროდუქციის ხარისხიანიანობასა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოებას.

მაგალითისთვის რძის პროდუქტების წარმოება რომ ავიღოთ და მის განვითარებას თუნდაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გადავხედოთ, ვნახავთ, რომ დროის ამ მოკლე მონაკვეთში ბაზარზე არაერთი ახალი მწარმოებელი კომპანია გამოჩნდა. თუ ამას დავუმატებთ ბაზრის მეორე სეგმენს - კუსტარულად, სახლის პირობებში დამზადებულ რძის პროდუქტებს, საკმაოდ დიდ არჩევანს მივიღებთ. ცხადია, ბევრი გავრცელებული სწორი თუ მცდარი მოსაზრების გამო დიდხანს შეიძლება ორივე ტიპის პროდუქტის უპირატესობაზე ლაპარაკი, მაგრამ ერთი რამ იმთავითვე ცხადია: ქარხნული წესით დამზადებული პროდუქცია ადამიანის ჯანმრთელობისთვის გაცილებით უსაფრთხოა, ვინაიდან ის მთელ რიგ დეტალურ შემოწმებით პროცედურებს გადის.

საქართველოში არსებული პროდუქციის კონტროლის სისტემა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად ფარავს ამ სფეროს. თუმცა, წარმოების განვითარების და საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის კვალობაზე, ამ საქმეში უფრო ავტორიტეტული და კომპეტენტური, საერთაშორისოდ აღიარებული სტრუქტურების ჩართვა ხდება გარდაუვალი, რათა პროდუქციის შეფასების სისტემა და, შესაბამისად, მომხმარებლის ჯანმრთელობაც კიდევ უფრო მეტად იყოს დაზღვეული უსიამოვნო სიურპრიზებისგან.

საქართველო ასეთი მაგალითებით ჯერჯერობით ნამდვილად არ არის განებივრებული. შესაბამისად, ამ მიმართულებით გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მით უფრო, თუ ამ ნაბიჯს ბაზრის ლიდერები დგამენ და ამით ერთგვარ პოზიტიურ ტრადიციას ამკვიდრებენ.

რძის პროდუქტებისა და ნატურალური წვენების მწარმოებელი კომპანია "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" შესაბამისი ქართული ბაზრის უდავო ლიდერია. მისი პროდუქციით მთელი საქართველოს ტერიტორიაა დაფარული და გაყიდვებიც მუდმივად მზარდი ტემპით ხასიათდება. ამის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი წარმოებული პროდუქციის ფართო ასორტიმენტია: სამი ტიპის რძე (ჩვეულებრივი ანუ ე.წ. სალი რძე, კალციუმიანი რძე და ვიტამინიანი რძე), ოთხი სახეობის ხაჭო (დიდ და პატარა შეფუთვაში, ასევე სადესერტო - ქიშმიშით და ვანილით), სამი დასახელების კარაქი ("სანტე", "ევროპული" და "მცენარეული", რომელსაც უფრო მეტად "სამარხვოს" ეძახიან), არაჟანი (დიდ და პატარა შეფუთვაში), მაწონი და ნატურალური წვენების დიდი ასორტიმენტი (6 დასახელების 1-ლიტრიან შეფუთვაში და 4 დასახელების პატარა შეფუთვაში).

თუმცა, ცხადია, მარტო დიდი არჩევანი არანაირად არ არის საკმარისი მომხმარებლის გრძელვადიანი ლოიალურობის მოსაპოვებლად. აქ უპირველესი მაინც პროდუქციის ხარისხია, რომლის დაცემასაც, მით უფრო ასეთი მძაფრი კონკურენციის პირობებში არავინ გაპატიებს.




ცხადია, ის ფაქტი, რომ "სანტე" ბაზრის ლიდერია, უკვე საკმაოდ ნათლად მიუთითებს მისი პროდუქციის ხარისხიანობაზე. თუმცა, ამიერიდან მისი ლიდერობა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებით არ შემოიფარგლება - ამის დასტურად კომპანიას უკვე გაცილებით წონადი არგუმენტი უპყრია ხელთ.

წლევანდელი იანვარ-თებერვლის მიჯნაზე დასრულდა ის პროცესი, რომელიც სერტიფიცირების საერთაშორისო ქსელ **IQ NET**-თან ჯერ კიდევ 2 წლის წინ დაიწყო: ყველა სავალდებული პროცედურის გავლის შემდეგ, რომელიც გულისხმობდა კომპანიის თითოეული სტრუქტურული ერთეულის, ყველა საწარმოო უბნის ანალიზს, სათანადო რეკომენდაციების გაწევას და მათ შესაბამისად საქმიანობის კორექტირებას, "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტებმა" მიიღო სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის **ISO 9001** კატეგორიის სერტიფიკატი, რაც უკვე ნიშნავს იმის საერთაშორისო აღიარებას, რომ "სანტეს" წარმოებული პროდუქციის ხარისხი და უსაფრთხოება არავითარ ეჭვს არ იწვევს და მისი მენეჯმენტიც მოწოდების სიმაღლეზეა. იმავდროულად "სანტემ" ამ საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად კიდევ ერთი - ე.წ **HACCP**-ის **(HAZARD ANALYSIS AND CRITICALCONTROL POINT)** სერთიფიკატი მიიღო, რაც ნიშნავს, რომ კომპანია კვების პროდუქტების უსაფრთხოების მართვის სერტიფიცირებული სისტემის მფლობელია. ეს კი განსაკუთრებით იმ გარემოების გამოა მნიშვნელოვანი, რომ სურსათის უვნებლობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნის მიხედვით, მსგავს სერტიფიკატს 2009 წლის 1 იანვრიდან ყველა ის კომპანია უნდა ფლობდეს, რომელიც სასურსათო პროდუქციას აწარმოებს. ანუ ამ საკითხში "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" ის კომპანია აღმოჩნდა, რომელიც ამ მოთხოვნას საკმაოდ სერიოზული წინსწრებით აკმაყოფილებს.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ეს არის პირველი შემთხვევა ამიერკავკასიაში, როდესაც მსგავს სერტიფიკატს რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია იღებს. ანუ ამ თვალსაზრისით "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" ყინულმჭრელის ფუნქციას ასრულებს არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ მთელი რეგიონის მასშტაბით.

სერტიფიცირების საერთაშორისო ქსელი **IQ NET**-ი, რომელმაც "სანტეს" სერტიფიკატი მიანიჭა, 1990 წლიდან მთელი მსოფლიოს მასშტაბით 38 პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად მოქმედებს და 150 ქვეყნის 200 ათასზე მეტ კომპანიაზე აქვს გაცემული შესაბამისი სერტიფიკატები (ცნობისათვის: აქ ლაპარაკია კომპანიებზე, რომელთა წილიც მსოფლიო ეკონომიკის დაახლოებით 30%-ს შეადგენს). **IQ NET**-ის ქსელის თაობაზე უფრო სრული წარმოდგენის შესაქმნელად იმის თქმაც შეიძლება, რომ ის მთელი მსოფლიოს მასშტაბით 10 ათას აუდიტორსა და ეკონომიკის ყველა სექტორის 5 ათას ექსპერტს უყრის თავს. მოკლედ, ეს მსოფლიოს უმსხვილესი სასერტიფიკაციო ქსელია და მით უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მისი აღიარება ქართულმა კომპანიამ დაიმსახურა.

ცხადია, ეს არ არის ერთჯერადი მოვლენა და მსგავსი სერტიფიკატი კომპანიებს მუდმივმოქმედი მონიტორინგის რეჟიმში აქცევს. კერძოდ, გავრცელებული პრაქტიკით, არსებული მდგომარეობის ანალიზი ყოველი 6 თვის განმავლობაში მოხდება, რათა სერტიფიცირების ორგანოს მუდმივად ჰქონდეს წარმოდგენა იმის თაობაზე, კვლავაც შეესაბამება სერტიფიცირებული კომპანიის პროდუქცია სტანდარტებს თუ რაიმე დარღვევები ვლინდება. თუ ყველაფერი რიგზეა, სერტიფიკატის მოქმედების ვადა გრძელდება, თუ არა, საერთაშორისო ქსელი საკმაოდ მკაცრი სანქციებით მოქმედებს.

ასე რომ, ისევე როგორც ყველა სხვა საერთაშორისო აღიარება, **ISO 9001**-ის სერტიფიკატის მიღებაც დიდ მიღწევასთან ერთად დიდ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ მისი მფლობელი კომპანია პერმანენტული და საკმაოდ დეტალური დაკვირვების საგანი ხდება და ყველა მისი უნებლიე გადაცდომაც კი შეიძლება საკმაოდ მკაცრი რეაგირების საგანი გახდეს. ასე რომ, კომპანია "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტებს" 29 მარტიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც საერთაშორისო ქსელმა სერტიფიკატი მას უკვე ოფიციალურად მიანიჭა, მოღვაწეობის თვისებრივად ახალი ეტაპი ეწყება: საერთაშორისო აღიარებით და, შესაბამისად, ბევრად მეტად გაზრდილი პასუხისმგებლობით. ანუ სწორედ იმ რეჟიმით, როგორც ის ლიდერები უნდა მოქმედებდნენ, რომელთა საქმიანობაც ერთი კომპანიის, დარგისა თუ ქვეყნის მასშტაბებს ბევრად აღემატება.

ამ სერტიფიკატების მიღებისკენ კომპანიის ხანგრძლივი და მიზანმიმართული სწრაფვა კი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მისთვის უპირველესია მომხმარებლის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ეს კი სწორედ ის მახასიათებელია, რომელიც ყველაზე მეტად მიუთითებს კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანიის მაღალ პასუხისმგებლობასა და უდიდეს სამომავლო პერსპექტივებზე.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# კოსოვოს დამოუკიდებლობა დილემა ევროპისთვის და რუსეთისთვის

პირველი გვერდიდან

სერბეთი თანახმაა, რომ **"კოსოვო ალბანურმა უმრავლესობამ სერბული უმცირესობის უფლებების გათვალისწინებით მართოს"**. ამის შესახებ სერბეთის და ჩერნოგორიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვუკ დრაშკოვიჩმა განაცხადა. მისი თქმით, **"სერბეთს კოსოვოს მართვა არ სურს და მხარის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არ არის."** დრაშკოვიჩმა აღნიშნა, რომ კოსოვოს შეეძლება საკუთარი წარმომადგენლობები ჰყავდეს ყველა საერთაშორისო სტრუქტურაში, გაერო-ს გარდა.

როგორც სერბეთის და ჩერნოგორიის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა აღნიშნა, ბელგრადი მზად არის იმისთვის, რომ კოსოვომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით **"საკუთარი, სერბულის პარალელური გზით"** იმოძრაოს.

ამავე დროს, მინისტრმა განაცხადა, რომ კოსოვოს სტატუსის განსაზღვრისას დაცული უნდა იყოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ალბანეთთან და მაკედონიასთან სერბეთის და ჩერნოგორიის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის შესახებ. ვუკ დრაშკოვიჩმა აღნიშნა, რომ ეს სერბეთის ოფიციალური პოზიციაა, რომელსაც ის კოსოვოს სტატუსის შესახებ ყველა მოლაპარაკებაზე დაიცავს.

რუსეთში სერბეთის საქმეებში დროებითი რწმუნებული ელენა კურიაკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციის განმარტებისას, უარყოფს ინფორმაციას სერბეთის მიერ კოსოვოს შესაძლო აღიარების შესახებ. **"სერბეთის პოზიცია არ შეცვლილა. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება კოსოვოს სრული დამოუკიდებლობის აღიარებას არ აპირებს. მე იმაშიც ეჭვი მეპარება, ბატონ დრაშკოვიჩს ასეთი რამ ეთქვა,"** - აცხადებს კურიაკი.

მისი თქმით, კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით სერბეთის პოზიცია კვლავაც შემდეგი რჩება: **"ავტონომიაზე მეტი, დამოუკიდებლობაზე ნაკლები."**

რუსული ოფიციოზი კოსოვოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს ფრთხილად ეკიდება. **"სერბეთის ხელისუფლება თავის ძალებს ობიექტურად აფასებს,"** - აცხადებს რუსეთის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლეონიდ სლუცკი. მისი აზრით, სერბეთს კოსოვოს გაკონტროლება და მისი მართვა დღეს არ შეუძლია. იმავდროულად, სლუცკიმ აღნიშნა, რომ **"კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება პოსტსაბჭოთა სივრცეზე პრეცედენტებს არ შექმნის. დნესტრისპირეთსა და აფხაზეთში სიტუაცია ლოკალურია, კოსოვოსთან ერთობლივად მას არ უნდა განვიხილავდეთ."**

სამაგიეროდ, გაცილებით გაბედულად საუბრობს რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი. იგი კვლავ იმეორებს, რომ კოსოვოს აღიარება საერთაშორისო პრეცედენტი გახდება, რომელსაც სხვა არაღიარებული სახელმწიფოების ცნობა მოჰყვება. მისი თქმით, **"სერბეთი კოსოვოს აღიარების საკითხს დიდი ხნის განმავლობაში გაწელავს, და თუ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება, ისინი კოსოვოს დამოუკიდებლობას რაც შეიძლება ძვირად გაყიდიან, მაგალითად, სერბეთის ევროკავშირში მიღების პირობის სანაცვლოდ."**

მარკოვის აზრით, კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობას დასავლეთის ქვეყნებიც გააჭიანურებენ, საერთაშორისო სამართალში ახალი პრეცედენტის შიშით, რომელიც **"რუსეთის მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე ავტონომიების სწრაფი აღიარების პროვოცირებას მოახდენს."** მისი აზრით, პრეცედენტი იმაში მდგომარეობს, რომ **"საუბარია არა ფედერაციის სუბიექტის, არამედ რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიის აღიარებაზე,"** და ეს მომავალში აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის საკითხების ანალოგიურად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

ამავე დროს, დასავლეთის ქვეყნების მხრიდან სულ უფრო ხშირად ისმის განცხადებები კოსოვოს დამოუკიდებლობის პერსპექტივების შესახებ. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ 11 მარტს განაცხადა, რომ, მისი აზრით, კოსოვო სერბეთისაგან დამოუკიდებლობას მიაღწევს. **"ყველას ესმის, რომ 1999 წლამდე არსებული სიტუაციის დაბრუნება მომავლის რეალური საფუძველი ვერ გახდება,"** - განაცხადა სტრომ. ამიტომაც, მისი აზრით, კოსოვოს მოძრაობა დამოუკიდებლობისაკენ **"პრაქტიკულად, გარდაუვალია."**

ამგვარ მოსაზრებებს რადიკალურად ეწინააღმდეგება რუსეთი, რომელიც კოსოვოს საკითხებზე მოლაპარაკების საკონტაქტო ჯგუფის წევრია (დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, აშშ-ს, საფრანგეთის, გაეროს, და ნატო-ს წარმომადგენლებთან ერთად). ეუთო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის ალექსეი ბოროდავკინის განცხადებით, **"რუსეთი არ იზიარებს იდეებს კოსოვოს დამოუკიდებლობის უალტერნატივობის შესახებ."** მისი აზრით, **"ამგვარი მოდგომა პროცესის საერთაშორისო სამართლებრივი კალაპოტიდან ამოვარდნას გამოიწვევს."** რუსეთი ეწინააღმდეგება კოსოვოს სტატუსზე გადაწყვეტილების მიღების რაიმე დროითი ჩარჩოების დსაწესებას და **"კომპრომისის თანდათან მიღწევას"** ემხრობა. ამავე დროს, რუსეთი კოსოვოს მომავალი სტატუსის "უნივერსალურობას" ემხრობა და არ იზიარებს დასავლეთის აზრს ამ პრეცედენტის უნიკალურობის შესახებ.

რუსეთის პოზიცია კოსოვოს საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვანი არ არის. რუსული დიპლომატიის მიერ სერბეთის მთლიანობის დეკლარირებული მხარდაჭერის პარალელურად, პრეზიდენტი პუტინი კოსოვოს აღიარების შემთხვევაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას არ გამორიცხავს. რა უფრო შედის რუსეთის ინტერესებში – სერბეთის მთლიანობის, საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი გარანტიების შენარჩუნება და, ასევე, მოკავშირე სერბეთთან კარგი ურთიერთობა, თუ სეპარატიზმის მხარდაჭერისათვის ახალი კოზირის ხელში ჩაგდება კოსოვოს ახალი სახელმწიფოს სახით? ამაზე პასუხის გაცემა დღესდღეობით თავად რუსეთშიც უჭირთ.

ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის პოზიცია არ იქნება გადამწყვეტი საკონტაქტო ჯგუფის ფარგლებში კოსოვოს სტატუსის გადაწყვეტისას. ხოლო ის სახელმწიფოები, რომელთა პოზიციაც საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენას იქონიებს, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ვერ ჩამოყალიბდნენ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, რომელიც ევროპის და მთელი მსოფლიოს მომავალზე უეჭველად იქონიებს გავლენას – დაუშვან თუ არა სახელმწიფოსაგან სეპარატისტული წარმონაქმნის გამოყოფის დაკანონება, ამ სახელმწიფოს ნების წინააღმდეგ?

# დაკარგული დიქტატორი

პირველი გვერდიდან

მათ ვინც ეს სიუჟეტი ნახა, პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული დამამშვიდებელი ინფორმაციის არ სჯერა. როგორც რუსული პრესა წერს, "ლუკაშენკო, რბილად რომ ვთქვათ, ჯანმრთელად არ გამოიყურებოდა".

ჟურნალისტების ნაწილი ლუკაშენკოს "ცუდ ფორმას" ნერვულ აშლილობას უკავშირებს, რომელიც "ბატკას" თურმე აშშ-სა და ევროკავშირის არაკეთილგანწყობისა და ოპოზიციის ცუდი ყოფაქცევის გამო დაემართა. ნერვული აშლილობა ლუკაშენკოს, შესაძლოა, მართლა ჰქონდეს, მაგრამ სადამ ჰუსეინის ძველი მეგობრის უგუნებობის მიზეზი თუ საერთაშორისო აზრი გახდა, ეს რაღაც ახალია.

რუსული გაზეთი "ნოვიე იზვესტია" ბელარუსის ლიდერის გაუჩინარების კიდევ ერთ პოპულარულ ვერსიას აქვეყნებს. ამ ვერსიის თანახმად, ბელარუსში შექმნილია ძალოვნებისგან შემდგარი საგანგებო ვითარებათა სახელმწიფო კომიტეტის ერთგვარი ანალოგი, რომელსაც ლუკაშენკო მძევლად ჰყავს და მისგან სრულ მორჩილებას ითხოვს.



*ლუკაშენკოს ადგილსამყოფელზე მრავალი საინტერესო ვერსია ვრცელდება.*

ერთ-ერთი ვერსიით ლუკაშენკო სასწრაფოდ გაემგზავრა მოსკოვში, სადაც გაზის შეღავათიან მიწოდებასთან დაკავშირებით საკმაოდ დაძაბულ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

რაც შეეხება ინაუგურაციას, ამ ცერემონიალის გამართვის ზუსტი თარიღი არ სახელდება. ჯერჯერობით ცნობილია, რომ ეს ღონისძიება აპრილის დასაწყისში გაიმართება. საგარეო პოლიტიკის გერმანიის საბჭოს რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების პროგრამის დირექტორი ალექსანდრ რარი მიიჩნევს, რომ ინაუგურაციის გადადება შესაძლოა დაკავშირებული იყოს დასავლეთის რეაქციასთან, რომელიც ბელარუსის არჩევნების შემდეგ განვითარებულ მოვლენებს მოჰყვა. **"ინაუგურაცია ეს არის საზეიმო ღონისძიება, რომელიც აუცილებლად ითვალისწინებს უცხო ქვეყნის ლიდერთა დასწრებასაც. ხოლო თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო თანამეგობრობის რეაქციას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლუკაშენკოს ინაუგურაციაზე ბევრს არავის ეჩქარება. გარდა ამისა, აშშ-მ და ევროკავშირმა შესაძლოა საერთოდ არ ცნონ ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნები, ეს კი საზეიმო ღონისძიებისთვის ცუდი ფონია,"** – აღნიშნავს რარი.

ბელარუსულ პრესაში იმასაც წერენ, რომ რაც უფრო გვიან შეუდგება ლუკაშენკო მესამე ვადით პრეზიდენტობას, მით გვიან მორჩება და ეს, შესაძლოა, ინაუგურაციის თარიღის ხელოვნურად გადატანის მიზეზიც იყო. აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი: ბელარუსი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ მესამე ვადის დასრულების შემდეგ ლუკაშენკო ბელარუსში აზერბაიჯანული მოდელის გატარებას შეეცდება, ანუ სერიოზულად იმუშავებს საკუთარი ვაჟის - ვიქტორის გასაპრეზიდენტებლად. ვიქტორი კი საპრეზიდენტო ასაკს – 35 წელს მხოლოდ 2011 წელს მიუკაკუნებს. ასე რომ, ბელარუსი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ინაუგურაციის თარიღის გადატანით "ბატკა" საკუთარი დინასტიის გასაგრძელებლად პლაცდარმს წინასწარ ამზადებს.

# ირანის ბირთვული პროგრამის რეზოლუცია მიღებულია

გაერო-ს უშიშროების საბჭომ ირანის ბირთვული პროგრამის საკითხზე რეზოლუციის პროექტი მოიწონა. გაერო-ს უშიშროების საბჭოს 15-ვე წევრმა ქვეყანამ მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც ირანს მოუწოდებს შეწყვიტოს ურანის გამდიდრების პროგრამა, განაახლოს თანამშრომლობა მაგატე-სთან და 30 დღის განმავლობაში სააგენტოს ყველა მოთხოვნა შეასრულოს. რეზოლუციის თანამად, ერთი თვის შემდეგ მაგატე-მ ირანის ბირთვული პროგრამის მდგომარეობის შესახებ ანგარიში უნდა წარმოადგინოს. მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ირანის წინააღმდეგ სანქციების შესახებ დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი. რეზოლუციის ტექსტი ოთხშაბათს უშიშროების საბჭოს ხუთმა მუდმივმა წევრმა - აშშ-მა, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, რუსეთმა და ჩინეთმა - შეათანხმა. ამის შემდეგ რეზოლუციის პროექტი უშიშროების საბჭოს დანარჩენ 10 წევრს დაეგზავნა. აშშ-მა, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ის ფორმულირებები შეარბილეს, რომლებიც რუსეთისა და ჩინეთისთვის იყო მიუღებელი.

# უკრაინის მეორე დიდი გამოცდა

თორნიკე შარაშენიძე
ნატოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

უკრაინის საპარლამენტო არჩევნებს მსოფლიო საზოგადოებრიობა გაცილებით მეტი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნებს ბელორუსში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ყველაფერი გასაგები იყო - მოსახლეობის დიდი ნაწილი ლუკაშენკოს მისცემდა ხმას, მაგრამ გაყალბების ხარჯზე ეს ხმების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა; დემოკრატიული რევოლუცია ბელორუსში არ მოხდებოდა, რადგან ჯერ იქ საამისო ვითარება არ არსებობს.

უკრაინაში მკვეთრად განსხვავებულ ვითარებასთან გვქონდა საქმე. ბელორუსისგან განსხვავებით, აქ არ ელოდნენ არჩევნების გაყალბებას, აქ ოპოზიციაც საკმაოდ ძლიერი იყო და პოლიტიკური სპექტრიც გაცილებით უფრო მრავალფეროვანი. აქ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა, სადაც მოსახლეობა პარტიებს აძლევდა ხმას და არა პიროვნებებს. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ პარტიების უკან გამორჩეული ფიგურები იდგნენ და პარტიები პირველ რიგში მათთან ასოცირდებოდა. ამასთან, უკრაინაში პარლამენტის როლი ქვეყნის მართვაში იზრდება და ამიტომ ამ არჩევნების მნიშვნელობა მით უფრო დიდი იყო.

ამ არჩევნებზე იანუკოვიჩის პარტია რევანშისათვის ემზადებოდა და ზოგიერთი რუსი პოლიტოლოგი წინასწარ ამზადებდა რევანშის აღსანიშნავ გამოსვლას. მაგალითად ასეთს: "ჩვენ ტყუილად არ მიგვილოცია თავის დროზე იანუკოვიჩისათვის საპრეზიდენტო არჩევნებზე." მიდიოდა საუბარი იმაზე, რომ უკრაინის მოსახლეობის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი მხარს არ უჭერს ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ კურსს და ამიტომ ამ კურსს რეალობაში განხორციელება არ უწერია. ცნობილი რუსი გეოპოლიტიკოსი დუგინი კი დიდი ხანია წინასწარმეტყველებს, რომ "უკრაინა დაიშლება," რადგან ქვეყნის დასავლეთ ნაწილი ევროპისკენ მიისწრაფვის, აღმოსავლეთი კი რუსეთისაკენ.

ცხადია, რევანში არ შემდგარა. ერთ დროს ორად გახლეჩილმა ნარინჯისფერთა გუნდმა - იუშჩენკოსა და ტიმოშენკოს პარტიებმა - ერთობლიობაში დაახლოებით იმდენივე დააგროვეს, რამდენიც იანუკოვიჩის გუნდმა. ახლა იმ პოლიტოლოგებს, რომლებიც რევანშისათვის ემზადებოდნენ, გაცილებით უფრო რთული ანალიზის გაკეთება მოუწევთ - საქმე ისე მარტივად აღარაა, ვიდრე აქამდე იყო და არც ისე მარტივადაა, როგორც რევანშის შემთხვევაში იქნებოდა.

როგორ დალაგდებიან პარლამენტში გასული პარტიები და როგორი სამთავრობო კოალიცია შეიქმნება, ამაზე ზოგიერთი პოლიტოლოგი, ალბათ, კიდევ დიდხანს იმსჯელებს, მაგრამ მთავარი სხვაა - უკრაინაში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. სწორედ ეს არის ამ ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების ყველაზე დიდი მიღწევა.

ზოგიერთში ალბათ გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ იუშჩენკოს გუნდმა არჩევნებში ვერ გაიმარჯვა. როგორ, ეს გუნდი ხომ ხელისუფლებაშია და შეეძლო ადმინისტაციული რესურსებისა და ათასნაირი ბერკეტების ხარჯზე გაეყალბებინა არჩევნები? მაგრამ ასე არ მოხდა და მომავალში, როცა იუშჩენკოს ხელისუფლების მოღვაწეობას შეაფასებენ, უკრაინაში ჩატარებული სამართლიანი არჩევნები ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად შეფასდება. იუშჩენკომ ალბათ ყველაზე უკეთ უწყოდა, რომ მისი გუნდი არჩევნებზე ვერ გაიმარჯვებდა და ეს კიდევ უფრო მეტ ფასს სძენს ამ მიღწევას. ცხადია, იუშჩენკოს მიაჩნია, რომ მისი პოლიტიკური კურსი უკრაინისათვის ყველაზე ხელსაყრელია და ამიტომ კარგი იქნებოდა, თუკი არჩევნებში იგი გაიმარჯვებდა, მაგრამ, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნისათვის, უკრაინისთვისაც ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის გამარჯვებაზე (თუნდაც ეს ძალა ყველაზე პროგრესული იყოს) გაცილებით მნიშვნელოვანია დემოკრატიული ტრადიციების დამკვიდრება და სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება. ამ მხრივ კი თავისუფალ არჩევნებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

უკრაინის საპარლამენტო არჩევნებზე ვერ გაიმარჯვა იუშჩენკოს გუნდმა, მაგრამ გაიმარჯვა მთლიანად უკრაინამ. ამ ქვეყანამ წარმატებით ჩააბარა ერთი გამოცდა, რომელიც ისტორიაში ნარინჯისფერი რევოლუციის სახით შევიდა. ახლა კი ჩაბარებულია მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოცდა. ამ გამოცდის ჩაბარებაში კი ყველაზე დიდი წვლილი დღევანდელ ხელისუფლებას მიუძღვის, რომელიც, ალბათ, კიდევ დარჩება ქვეყნის სათავეში. მაგრამ ასეც რომ არ იყოს, უკრაინა მაინც გამარჯვებული დარჩება. თავისუფალი არჩევნები უკვე დიდი ნაბიჯია ნამდვილი დემოკრატიისკენ. ნამდვილი დემოკრატია კი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად წავა იქითკენ, საითაც იგი იუშჩენკოს მიჰყავს - ევროპაში.

## მოკლედ

### ფრინველის გრიპის ვაქცინა წარმატებით გამოსცადეს

ნიუ-იორკში დასრულდა "ფრინველის გრიპის" ვირუსის - H5N1-ის საწინააღმდეგო ექსპერიმენტული ვაქცინის გამოცდა. ადამიანებზე ჩატარებულმა ტესტებმა აჩვენა, რომ ვაქცინა უსაფრთხოა და სასიკვდილო დაავადებისგან დაცვა შეუძლია. ექსპერიმენტის შედეგების შესახებ სააგენტო "როიტერი" ჟურნალ "The new England journal of medicine "-ში გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით იუწყება. ექიმებმა საჭირო სინჯები 2004 წელს ვიეტნამში "ფრინველის გრიპით" გარდაცვლილი ბიჭისგან აიღეს. სწორედ ამ მასალების საფუძველზე შეიქმნა ვაქცინა, რომელიც ჩვეულებრივი გრიპის სეზონური შტამებისგან მიღებულ გენებსაც შეიცავს. ტესტები 451 ჯანმრთელ მოზრდილ ადამიანზე ჩატარდა. სპეციალისტთა დასკვნით, ამ პრეპარატს შეუძლია ადამიანი "ფრინველის გრიპისგან" დაიცვას.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ "ფრინველის გრიპის" შესაძლო პანდემია შეიძლება H5N1-ის იმ შტამისაგან განსხვავდებოდეს, რომლის საფუძველზეც ვაქცინა შეიქმნა. თუმცა, ისინი მიიჩნევენ, რომ განსხვავება ძალზე მნიშვნელოვანი არ იქნება. პრეპარატი შეძლებს ზოგიერთი ადამიანი საშიში ვირუსისგან დაიცვას და მათ ავადმყოფობის დაძლევაში დაეხმაროს. პანდემიის განვითარების შემთხვევაში უკვე ამ მასალების საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნეს ვაქცინა "ფრინველის გრიპის" იმ ვირუსის წინააღმდეგ, რომელიც მუტაციას განიცდის.

### "სოიუზმა" საერთაშორისო კოსმოსური სადგურისკენ აიღო გეზი

კოსმოდრომ "ბაიკონურიდან" რუსულმა ხომალდმა "სოიუზმა" სტარტი აიღო, რომელმაც საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე მე-13 ექსპედიციის წევრები და ბრაზილიის პირველი კოსმონავტი უნდა მიიყვანოს. როგორც ფრენის ხელმძღვანელმა ვლადიმერ სოლოვიოვმა ჟურნალისტებს აცნობა, ხომალდის ორბიტაზე გასვლისას, მართვის მიწისზედა საშუალებების მუშაობაში შეფერხებები მოხდა და ინფორმაციის გადაცემის რამდენიმე არხი დაიკარგა. კავშირი ავარიულ რეჟიმშია აღდგენილი.

ხომალდის ბორტზე რუსი პავლე ვინოგრადოვი, ამერიკელი ჯეფრი უილიამსი და ბრაზილიელი მარკუს პონტესი არიან.

მილიონობით ბრაზილიელი რაკეტის სტარტს თვალს ეროვნული ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ადევნებდა.

პონტესი დედამიწაზე 10 დღის შემდეგ, საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მე-12 ეკიპაჟთან ერთად დაბრუნდება.

### თურქეთში საპროტესტო აქცია შეტაკებით დასრულდა

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ დიარბაქირში მომხდარი მასობრივი შეტაკებების შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა და 250 დაშავდა, მათ შორის 130 პოლიციელია. ამის შესახებ ინფორმაცია დიარბაქირის პროვინციის გუბერნატორმა ეფქან ალამ გაავრცელა. მისი თქმით, სამართალდამცველებმა 200-ზე მეტი მანიფესტანტი დააკავეს.

**"დაახლოებით 20 ადამიანი ჰოსპიტალიზებულია, რამდენიმე მათგანის მდგომარეობა მძიმეა. დანარჩენმა დაშავებულებმა სამედიცინო დახმარება შემთხვევის ადგილზე მიიღეს"**, - აღნიშნა გუბერნატორმა.

29 მარტს დიარბაქირში გამართულ დემონსტრაციაში თითქმის სამი ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. აქცია რამდენიმე დღის წინ თურქ ჯარისკაცებთან შეტაკებისას დაღუპული "ქურთთა მუშათა პარტიის" ოთხი აქტივისტის დაკრძალვის შემდეგ მოეწყო.

გუბერნატორის თქმით, ქვეყანაში აკრძალული "ქურთთა მუშათა პარტიის" დაახლოებით 200-მა მომხრემ ქალაქის ქუჩებში ბარიკადები აღმართა, ავტომანქანებს ცეცხლი წაუკიდა, ზიანი მიაყენა საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ შენობებს და წესრიგის დამცველებს ქვები დაუშინა. ხელისუფლებამ ქალაქში ჯავშანმანქანები და სამხედროთა დამატებითი ქვედანაყოფები შეიყვანა. დემონსტრანტთა დასაშოშმინებლად პოლიციამ წყალმტყორცნები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ოფიციალურ პირთა თქმით, ქალაქი ბრძოლის ველად იქცა. წესრიგის დამყარება პოლიციამ იქ მხოლოდ გვიან ღამით მოახერხა.

"ქურთთა მუშათა პარტიასა" და ოფიციალურ ანკარას შორის 20-წლიანი დაპირისპირების შედეგად 30 ათასი ადამიანია დაღუპული, მათ შორის - ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე. "ქურთთა მუშათა პარტიის" მიზანი თურქეთის აღმოსავლეთ ოლქებში ქურთთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაა.

### სატელევიზიო ბოიკოტი ბელარუსის წინააღმდეგ

ლიტვაში ბელარუსის სახელმწიფო ტელევიზიის პროგრამების რეტრანსლაცია ოფიციალურად აიკრძალა. როგორც ლიტვის რადიოსა და ტელევიზიის კომისიის ხელმძღვანელმა განაცხადა, გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ ბოლო ხანებში ბელარუსის ტელევიზია "ბევრ დეზინფორმაციას ავრცელებდა", რომლის ნაწილი ოფიციალური ვილნიუსის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ახლახან ლიტვის პარლამენტმა მოიწონა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ვილნიუსი არ ცნობს ბელარუსში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს და ხელისუფლებას განმეორებითი კენჭისყრის ჩატარებისაკენ მოუწოდებს. ბელარუსის ტელევიზიის პროგრამების რეტრანსლაცია სწორედ აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით აიკრძალა.

## უცნობი თავისუფლება

FM ნიანგი 92.0

### გადაცემის სტუმარია ჟურნალისტი ინგა ალავიძე

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ცოტა ხნის წინ წავიკითხე თქვენი ვრცელი, ანალიტიკური სტატია ორთაჭალაში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით. თქვენი აზრით, რატომ გახშირდა ქვეყანაში ხმაურიანი გამოსვლები?

**ინგა ალავიძე:** ბოლო პერიოდში ყველაზე ხმაურიანი სკანდალი იყო - გირგვლიანის მკვლელობა და ციხეში მომხდარი ბუნტი. თითოეულს ჰქონდა ტრაგიკული დასასრული. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევა უკავშირდება ერთი და იგივე გვარს. მხედველობაში მაქვს ახალაიების გვარი. პირველ საქმეში გაიჟღერა დათა ახალიას, მეორეში კი, მისი ძმის ბაჩო ახალიას სახელმა. ციხის ბუნტი აუცილებლად მოხდებოდა, იქნებოდა ეს 27 მარტი, თუ 27 აპრილი, რადგან ბაჩო ახალაია არ არის პროფესიონალი. რაც მთავარია, შოთა კოპაძის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, ხელისუფლება მუდმივად გვარწმუნებდა, რომ პენიტენციურ სისტემაში დაიწყო რეფორმა, რაც გამოიხატრა იმაში, რომ რამდენიმე კანონიერი ქურდი გადაიყვანეს ჩაკეტილ ციხეში, ანუ მეშვიდე საპყრობილეში. სხვა არანაირი რეფორმა ამ სისტემაში არ ჩატარებულა. ფაქტი სახეზეა, რომ შავი სამყაროს ავტორიტეტები ერთმანეთთან თავისუფლად ურთიერთობენ. ეს კარგად გამოჩნდა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარმოდგენილ ჩანაწერებშიც, სადაც ციხეში მყოფი ავტორიტეტები თავისუფლად საუბრობენ.

**ა.ე.:** ის, რომ ხელისუფლებამ იცოდა მოსალოდნელი ბუნტის შესახებ, ამას ჩანაწერებიც მოწმობს...

**ი.ა.:** ჩანაწერებში არ ჩანს, რომ ბუნტი მზადდებოდა, ეს უფრო სპონტანური ჩანაწერია.

**ა.ე.:** ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება გარკვეულ ინფორმაციას ფლობდა. მათი მოვალეობა არის, რომ დაელოდოს ბუნტს და შემდეგ ჩაახშოს ადამიანების დახოცვით, თუ წინასწარ მიიღოს გარკვეული ზომები და თავიდან აირიდოს საფრთხე?

**ი.ა** ყველა შემთხვევაში ხელისუფლებას ჰქონდა გარკვეული ინფორმაცია. ამას მოწმობს იუსტიციის მინისტრის მიერ გამოქვეყნებული ვიდეომასალაც, სადაც სამი პიროვნება საუბრობს ბუნტის შესახებ. ხელისუფლება ვალდებული იყო ეს ბუნტი ჩაეხშო ისე, რომ ამას არ მოჰყოლოდა მსხვერპლი. სახეზე გვაქვს დანგრეული ციხე და მასობრივი არეულობა. სასჯელთაღსრულების დეპარტამენტისა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც ფლობდნენ ამ ინფორმაციას და არ მიიღეს გარკვეული ზომები, პასუხი უნდა აგონ.

**ა.ე.:** თუკი ასეთ საფრთხეს ვერ აიცილებენ თავიდან, მაშინ რაღა აზრი აქვს შემდეგ ამ ჩანაწერების ჩვენებას? ხელისუფლებამ გაგვაცნო შავი სამყაროს თითქმის ყველა წარმომადგენელი. თუკი ყველა ციხიდან ახერხებდნენ ამ "ტარასასთან" დაკავშირებას და ხელისუფლებას ჰქონდა დანადგარი, რომ ჩაეწერა ეს საუბრები, მაშინ გამოენახა იმის სახსრებიც, რომ ჩაეხშო ტალღები. როგორც ვიცი, ასეთი დანადგარი არც ისეთი ძვირი ღირს.

**ი.ა.:** მახსოვს, რომ ადრე თინა ხიდაშელმა მოითხოვა ჩამხშობი აპარატის დაყენება ციხეებში. მაშინ გიგა ბოკერიამ უპასუხა, რომ ეტყობა თქვენ არ ფლობთ ინფორმაციას, თორემ მსგავსი აპარატურა დაყენებული გვაქვს და შეცდომაში ნუ შეგყავთ საზოგადოებაო. ფაქტი სახეზეა, რომ ასეთი აპარატურა არ ყოფილა დამონტაჟებული. როგორც დავინახეთ, საქართველოს ყველა კუთხიდან ახერხებდნენ "ტარასასთან" დაკავშირებას.

მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს იყო სპონტანური ბუნტი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბაჩო ახალაია ნასვამი შევიდა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მან შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთ პატიმარს და სხვა პატიმრებმა სოლიდარობის ნიშნად ატეხეს ხმაური. ანუ ეს არ იყო დაგეგმილი ბუნტი, არამედ, პატიმრებმა სოლიდარობის ნიშნად გამოხატეს პროტესტი. აქედან გამომდინარე, ვერც ხელისუფლება მიმართავდა წინასწარ აღმკვეთ ღონისძიებებს. აღსანიშნავია, რომ პატიმრების ახლობლები ხშირად საუბრობენ ბაჩო ახალაიას მსგავს ქმედებებზე.

# „დამნაშავესთან გარიგებას" საპატრულო პოლიციის უფროსი აწარმოებდა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

საპატრულო პოლიციის ქუთაისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ყალბი დოკუმენტების დამზადება-რეალიზაციის ფაქტზე ქუთაისში, მესხიშვილის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქე კობა ჩუბინიძე დააკავა. ქუთაისში ამ კატეგორიის დანაშაულისთვის პირის დაკავება "ვარდების რევოლუციის" შემდეგ პირველი შემთხვევაა. ამასთან, ჩუბინიძისგან ყალბი მართვის მოწმობის, პირადობის დამადასტურებელი და ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობების საკონტროლო შესყიდვა საპატრულო პოლიციის ქუთაისის მთავარი სამმართველოს უფროსმა გრიგოლ ბაკურაძემ პირადად განახორციელა. "გარიგების" პროცესი პოლიციამ ფარული კამერით ფირზე აღბეჭდა.

**"ბევრი ვაჭრობის შემდეგ ჩუბინიძემ სამივე დოკუმენტი 120 ლარად დამიმზადა,"** - ამბობს გრიგოლ ბაკურაძე. ჩუბინიძე სამართალდამცველებმა სწორედ იმ მომენტში დააკავეს, როცა ის ბაკურაძეს ყალბ დოკუმენტებს გადასცემდა. პირადი ჩხრეკისას მას თან აღმოაჩნდა პოლიციის მიერ გადაცემული 120 ლარი, ასევე - მარიხუანა.

**"ექვმიტანილის დაკავების შემდეგ ჩვენს მიერ გაიჩხრიკა მისი საცხოვრებელი სახლი, საიდანაც ამოღებული იქნა პოლიგრაფიული საშუალებები და კომპიუტერული ტექნიკა, რითაც ის ყალბ დოკუმენტებს ამზადებდა. ასევე, ამოღებული იქნა მის მიერ დამზადებული რამდენიმე ყალბი დოკუმენტი,"** - აცხადებს ქუთაისის საპატრულო პოლიციის უფროსი.

ყალბი დოკუმენტების დამზადება-რალიზაციაში ეჭვმიტანილ ჩუბინიძეს, ბრალის დადასტურების შემთხვევაში, ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## მოკლედ

### სიმონ კილაძეს ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ დახურულ სხდომაზე სახელმწიფო ღალატსა და ჯაშუშობაში ეჭვმიტანილ სახელმწიფო კანცელარიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილ თანამშრომელს სიმონ კილაძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

კილაძის ადვოკატი ამ გადაწყვეტილებას უსაფუძვლოს უწოდებს. მისი თქმით, კილაძე პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევით დააკავეს. დაცვის მხარე აპირებს, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს.

*მედიანიუსი*

### ტრაგედია გარდაბანში

ქვემო ქართლის შს სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა გარდაბნის რაიონში დააკავეს სალმა, მადჟიტ და ილგარ გამბაროვები, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან საზარელ მკვლელობაში.

როგორც საქართველოს შს სამინისტროს პრესსამსახური იუწყება, 30 მარტს, ღამით დედამ და ძმებმა საკუთარი სახლის ეზოში ნაჯახით მოკლეს 15 წლის კულხან გამბაროვა. ბინის ჩხრეკისას პოლიციის მიერ ამოღებულია მკვლელობის იარაღი და მოკლულის ნივთები. ექსპერტიზის ჩასატარებლად პოლიციას გოგონას დამარხული ცხედარის ამოთხრა მოუხდა. მკვლელობის სავარაუდო მოტივად კულხან გამბაროვას მსუბუქი ყოფაქცევა სახელდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის მცხეთა-მთიანეთის სამმართველომ მითვისების მუხლით გამოძიება დაიწყო. სოფელ გლდანის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური არ არის შეტანილი სალაროში და მითვისებულია.

ვის გამო დაზარალდა სოფელ გლდანის მოსახლეობა, ამას ფინანსური პოლიცია არკვევს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

■ ■ ■

**თბილისი.** უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ მოქალაქე ვლადიმერ სარალიძე დააკავა. ჩხრეკისას მას 1500 კოლოფი უაქციზო სიგარეტი აღმოაჩნდა. ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველოს თანამშრომლებმა კი ალექსი ეცადაშვილი და სერგო თუთბერიძე დააკავეს. მათ ავტომანქანით 3 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდათ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

■ ■ ■

**თბილისი.** წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუკურში მცხოვრებ პენსიონერთა კუთვნილი თანხების მითვისების ფაქტზე ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველომ გამოძიება დაიწყო. გამოძიების ვარაუდით, პენსიები წყალტუბოს სოცდაზრღვევის ფონდის თანამშრომლებმა მიითვისეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველომ შპს "საქართველოს რკინიგზის" სამტრედიის სალოკომიტივო დეპოში დანაშაული გამოავლინა.

გამოძიების ინფორმაციით, დეპოს თანამშრომლებმა რაულ გეგლიამ და ვენერა დავითიანმა წინასწარ შეთანხმებითა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დეპოს კუთვნილი 60 ათას ლარზე მეტი მიითვისეს. გამოძიებას ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველო აწარმოებს.

ორთავე პიროვნება ბრალდებულად არის ცნობილი, ვენერა დავითიანი კი დაპატიმრებულია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

■ ■ ■

**თბილისი.** რეგიონული სამმართველო "გარდაბნის" სასზღვრო-საიმიგრაციო კონტროლის განყოფილება "გარდაბნის რკინიგზისა" და "ვახტანგისში" სასზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოსვლის მცდელობისას, მესაზღვრეებმა შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

ცვლილება გაზეთ "24 საათის" 16 მარტის ნომერში შპს "მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს" მიერ გამოქვეყნებულ შემზეთი მასალების სატენდერო განცხადებაში

ცვლილება ეხება ლოტებად დაყოფის საკითხს, კერძოდ, შესასყიდი ობიექტი შესაძლებელია დაიყოს ოთხ ლოტად:

I ლოტი - ძრავის ზეთი 65000 ლტ;

II ლოტი - ტრანსმისიის ზეთი 18000 ლტ;

III ლოტი - საცხი 2000 კგ;

IV ლოტი - ანტიფრიზი 6000 ლტ, სამუხრუჭე სითხე 300 ლტ.

გამარჯვებული შეიძლება გამოვლინდეს ცალცალკე ლოტების მიხედვით.

# „თავისუფლების ინსტიტუტი" არასამთავრობოების პოზიციას არ ეთანხმება

არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციათა იმ წარმომადგენლებს, რომლებიც პრეზიდენტის მიერ მინიჭებული რწმუნებით სარგებლობენ, მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავს.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის თეა თუთბერიძის განცხადებით, სიმართლეს არ შეეფერება არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ 27 მარტს, ციხეებში მომხდარი ინციდენტის დროს, 50-მდე პატიმარი დაიღუპა. მისივე თქმით, ასევე არასწორია გავრცელებული სხვა, მსგავსი შინაარსის შემცველი ინფორმაციები.



*თეა თუთბერიძე კოლეგებს კომპეტენციას უწუნებს.*

თეა თუთბერიძემ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ყურადღება გაამახვილა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების მქონე პირების, პრეზიდენტის რწმუნებით აღჭურვილი არასამთავრობოელების მიერ, 28 მარტს, იუსტიციის მინისტრისთვის, მთავრობის წარმომადგენლებისთვის, სახალხო დამცველისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციების და საელჩოებისთვის გადაგზავნილ მიმართვაზე და მას არაკომპეტენტური უწოდა.

თეა თუთბერიძის განცხადებით, მიმართვის ავტორები სვამენ შეკითხვას: თუ 25 მარტს ცნობილი იყო დაგეგმილი აჯანყების შესახებ, რატომ არ იქნა მიღებული პრევენციული ზომები? რატომ არ იქნა მიწოდებული ციხეების მონიტორინგის ჯგუფისა და საზოგადოებისათვის აღნიშნული ინფორმაცია?

**"შეკითხვის ავტორებს არ მოეპოვებათ დადასტურებული ფაქტები იმის შესახებ, რომ იუსტიციის სამინისტრომ არ მიიღო პრევენციული ზომები. გარდა ამისა, მიმართვის ავტორები ინტერესდებიან, თუ რატომ არ იქნა მიწოდებული ციხეების მონიტორინგის ჯგუფისა და საზოგადოებისათვის აღნიშნული ინფორმაცია 25 მარტს, თუ ამის შესახებ სასაჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის ცნობილი იყო. ჩემი აზრით, მიმართვის ავტორებს საკუთარი უფლებამოსილება უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა უფლებამოსილებაში ერევათ. არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ოპერატიული ინფორმაციის მიწოდება მიზანშეწონილი არ არის და ეს მათ უნდა იცოდნენ. შეკითხვები, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა დასვეს, მათ კომპენტეციას ეჭვქვეშ აყენებს"**, - განაცხადა თეა თუთბერიძემ.

მისივე თქმით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების მქონე პირები, ამგვარი არაკომპეტენტურობის ფონზე, გააგრძელებენ თუ არა საკუთარი მოვალეობის შესრულებას, ეს იუსტიციის მინისტრისა და პრეზიდენტის გადასაწყვეტია.

შეკითხვები პრეზიდენტს, მთავრობის წევრებს, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს გაუგზავნეს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ "ემპათია"-ს პრეზიდენტმა მარიამ ჯიშკარიანმა, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ანა დოლიძემ, "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" თავმჯდომარემ ქეთი ქამაშიძემ, "რესპუბლიკური" პარტიის ლიდერმა თინა ხიდაშელმა და პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა.

თუკი სამართალდამცველებისთვის ცნობილი იყო დაგეგმილი აჯანყების შესახებ, რატომ არ იქნა მიღებული პრევენციული ზომები? რატომ არ იქნა მიწოდებული ციხეების მონიტორინგის ჯგუფისა და საზოგადოებისათვის აღნიშნული ინფორმაცია 25 მარტს? როგორ მოხვდა პატიმართა ხელში იარაღი და შეიძლება თუ არა იგი მოხვედრილიყო ციხის თანამშრომლების ხელშეწყობის გარეშე? რატომ არ იქნა გამოყენებული სპეცდანიშნულების რაზმის მიერ ასეთ შემთხვევებში ყველა ცივილიზებულ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული და აპრობირებული მეთოდები და სპეცსაშუალებები, როგორიც არის ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები, ელექტროშოკის სპეცაპარატები და სხვა? რატომ იქნა გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში აკრძალულია?

ვინ არის აღნიშნული სისხლიანი აქციის ორგანიზატორი? არის თუ არა დამნაშავე სასჯელაღსრულების სისტემის ადმინისტრაცია, ვინაიდან არ იქნა მიღებული პრევენციული ზომები? არის თუ არა ეს ყველაფერი გამოწვეული არაპროფესიონალიზმითა და დაუდევრობით? – ეს ის შეკითხვებია, რომელთა ავტორების კომპეტენტურობაში თეა თუთბერიძეს ეჭვი ეპარება.

*24 საათი*

# მოწმეების ჩვენებები გოგი კუპრეიშვილის სასარგებლოდ

*გუშინ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილის სასამართლო პროცესი დაცვის მხარის მოწმეების დაკითხვით განახლდა.*

სასამართლო პროცესზე დაკითხულმა, გოგი კუპრეიშვილის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულებად ცნობილმა ყოფილმა პატიმრებმა, რომლებიც სასჯელს კოლონიის მაგივრად, იზოლატორში იხდიდნენ, განაცხადეს, რომ ისინი ავტონომიის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის პირადი პატიმრები იყვნენ და ერთადერთი ადამიანი, ვინც მათ ადამიანურად ექცეოდა და დახმარებას უწევდა, სწორედ ბრალდებული გოგი კუპრეიშვილი გახლდათ.

**"ჩვენ აჭარის მეთაურის პირად მტრებად მოვიაზრებოდით, უშიშროების იზოლატორიდან კოლონიაში ჩვენი გადაყვანა არავის შეეძლო ასლან აბაშიძისა და უშიშროების მინისტრის სერგო გოგიტიძის თანხმობის გარეშე. გოგი კუპრეიშვილი არ არის ის კაცი, რომელიც საზოგადოებისგან იზოლირებული არ უნდა იყოს. ის არის ჭკვიანი და პროფესიონალი. ჩვენ მისგან თავს დაზარალებულებად არ ვთვლით"**, - ასეთი შინაარსის ჩვენებები მისცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გუშინ ასლან აბაშიძის რეჟიმის პერიოდის მსჯავრდებულებმა, რომლებმაც მრავალწლიანი პატიმრობის პერიოდი კოლონიის ნაცვლად უშიშროების იზოლატორში გაატარეს. მოწმედ დაკითხული ყოფილი პატიმრების ჩვენებები იდენტური იყო პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის მათ მიერ მიცემული ჩვენებებისა.

სხვათა შორის, ისევე, როგორც გუშინ დაკითხული ყოფილი პატიმრები, კუპრეიშვილის საქმეში დაზარალებულად ცნობილი ბათუმის მერი თენგიზ ასანიძეც არ თვლის თავს გოგი კუპრეიშვილის მხრიდან დაზარალებულად. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში თენგიზ ასანიძის დაკითხვის შედეგად, მის უკანონო პატიმრობაში გოგი კუპრეიშვილის ბრალეულობა, პრაქტიკულად, გამოირიცხა.

**"უშიშროების მინისტრის მოადილე გოგი კუპრეიშვილი არ იყო ის პირი, რომელსაც შეეძლო ჩემი გათავისუფლება. გოგი კუპრეიშვილი მიმაჩნია ისეთ პიროვნებად, რომელიც საზოგადოებას გამოადგება. ამდენად, სასურველია, თუკი შესაძლებელი იქნება, სასამართლო მისთვის პირობითი მსჯავრით შემოიფარგლოს"**, - ასეთი ჩვენება მისცა მართლმსაჯულებას ბათუმის ყოფილმა მერმა თენგიზ ასანიძემ.

გუშინდელ პროცესზე კიდევ ერთი მოწმე დაიკითხა – უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილის კაბინეტის დამლაგებელი, რომლის ჩვენებაც კუპრეიშვილის კაბინეტის ჩხრეკის ოქმს უპირისპირდება. როგორც ცნობილია, ბრალდების მიხედვით, მას შემდეგ, რაც გოგი კუპრეიშვილი დააკავეს, მის კაბინეტში ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინეს. მოწმე კი გამორიცხავს, რომ იქ ვინმეს იარაღი ენახა.

**"გოგი კუპრეიშვილის კაბინეტში ბოლოს მე შევედი. დავალაგე და დავკეტე. იქ იარაღის მსგავსი არაფერი ყოფილა"**, - განუცხადა სასამართლოს მოწმემ.

**"საქმე ისაა, რომ ამ მოწმეებმა ქვედა ინსტანციის სასამართლოსაც ზუსტად ასეთივე ჩვენებები მისცეს. თუმცა, სამწუხაროდ, ბათუმის საქალაქო სასამართლომ არც ერთი ის ჩვენება არ გაითვალიწინა განაჩენის გამოტანისას, რომლებიც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობას აბათლებდნენ. თუკი სააპელაციო სასამართლო ამ შეცდომას არ გაიმეორებს და ობიექტურად განიხილავს თითოეულ მტკიცებულებას, კუპრეიშვილი ბრალდებებისგან სრულად გათავისუფლდება"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ადვოკატმა ეკა ბესელიამ.

შეგახსენებთ, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოადგილეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გარადა ამისა, სასამართლომ კუპრეიშვილს სახელმწიფოს სასარგებლოდ, სოლიდარულად, სხვა პირებთან ერთად, თანხის გადახდაც დააკისრა. ეს ის თანხაა, რომელიც ევროსასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას ბათუმის ყოფილი მერის, თენგიზ ასანიძის უკანონო პატიმრობისთვის დააკისრა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გოგი კუპრეიშვილს სამი ბრალდება მოუხსნა. დაცვის მხარეს იმედი აქვს, რომ თუკი მართლმსაჯულება ამჯერად ობიექტურად განიხილავს საქმეს, სააპელაციო სასამართლოში კუპრეიშვილის უდანაშაულობა დადასტურდება და მას დარჩენილი ბარლდებებიც მოეხსნება.

*24 საათი*

# ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ინფორმაციას ითხოვს

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მთავრობას ძალოვანი სტრუქტურების განვითარების ფონდების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დამალვაში დებს ბრალს.

არასამთავრობო ორგანიზაციაში სიყალბეს უწოდებენ განცხადებას, რომელიც 29 მარტს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიგა ბოკერიამ გააკეთა. ბოკერიას თქმით, "ფონდების საქმიანობა ღია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქისთვის".

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ანა დოლიძემ განაცხადა, ასოციაცია ყველა კანონიერი გზით ცდილობდა მიეღო ინფორმაცია, რომლის ხელმისაწვდომობაზე ბოკერია საუბრობდა.

დოლიძემ აღნიშნა, რომ შს სამინისტროსა და გენპროკურატურაში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ მათთან არსებული ფონდები კერძო სამართლის იურიდიული პირებია, რის გამოც მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. ანალოგიური განცხადება მიიღეს თავდაცვის სამინისტროს ქართული ჯარის განვითარების ფონდთან დაკავშირებით. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" გიგა ბოკერიას რეკომენდაციით მიმართავს, გადაამოწმოს ამ ფონდების გამჭვირვალობის საკითხი და თუ მისი გუშინდელი განცხადება რეალობას შეესაბამება, საზოგადოებას მათი საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდოს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი........................................

საკონტაქტო ტელეფონი........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "[illegible]";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "[illegible]";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "[illegible]";
7. მეტროს სადგური "[illegible]" (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "[illegible]";
10. [illegible] 45 "[illegible]" შენობის [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს [illegible] შემდეგ მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# მედიცინაში ვუნდერკინდები არ არსებობენ

პირველი გვერდიდან

**- რამდენ ხანს მწიფდებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ინტეგრირების საკითხი?**

- დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების დასავლური მოდელი ერთიან საუნივერსიტეტო სივრცეში მოიაზრება. სამწუხაროდ, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე სამედიცინო განათლების აქამდე არსებული სისტემა ამის საშუალებას არ იძლეოდა, რაც აისახა კიდევაც სამედიცინო კადრის მომზადების ხარისხზე. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა ის ცვლილებები, რომელთა წინაშეც ახლა ვდგავართ.

**- მაშინ, როდესაც თქვენ აქ სწავლობდით, თუ იგრძნობოდა სამედიცინო განათლებაში მსოფლიო სტანდარტებისგან ამხელა ჩამორჩენა?**

- კომუნისტებსაც კი შეფარულად ჰქონდათ აღიარებული დიპლომისშემდგომი განათლება. ექვსწლიანი სწავლის შემდეგ სავალდებულო იყო ინტერნატურის კურსის გავლა, შემდეგ ორწლიანი ორდინატურა და კლინიკური ასპირანტურა. 1991 წლის მერე ეს სისტემა პრაქტიკულად მოიშალა. დაინგრა ექიმთა დახელოვნების მექანიზმი. დღეს ჩვენ საქართველოში ექიმთა არა რაოდენობის, არამედ პროფესიონალიზმის ხარისხის დეფიციტი გვაქვს. ამის მიზეზი უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გადამზადების სისტემის მოშლაა. მაღალკვალიფიციურ კლინიცისტად რომ ჩამოყალიბებულიყავი, აუცილებელი იყო უწყვეტი სამედიცინო განათლება. საკუთარ მაგალითს მოვიყვან – დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი, გავიარე ინტერნატურა, ჩავაბარე ასპირანტურაში, ვმუშაობდი ექიმად და მყავდა ზედამხედველი, გავიარე კვალიფიკაციის კურსები, დოქტურანტურა და მხოლოდ ამ ყველაფრის შემდეგ შევძელი მეთქვა, რომ ვარ სრულფასოვანი კლინიცისტი. მაღალკვალიფიციურ ექიმად ჩამოყალიბებას დიდი შრომა სჭირდება. მედიცინაში ვუნდერკინდები არ არსებობენ.

**- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის წევრია და ამით დიდი ხანია ამაყობენ ამ სასწავლებლის ყოფილი ხელძღვანელები. ამ ასოციაციაში გაწევრიანება სწავლების ევროპულ სტანდარტებს არ გულისხობდა?**

- ევროპული სტანდარტი სამედიცინო განათლების სასწავლო პროგრამების სტანდარტია, ეს არის სტანდარტული კურიკულუმი, რომელიც ევროპულს შეესაბამება. ჩვენი კურიკულუმი არ ემთხვევა ევროპულ სასწავლო პროგრამას. რა თქმა უნდა, სტანდარტების შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს ნაციონალური თავისებურებები, სოციალური გარემო, პათოლოგიის სპეციფიკა, დაავადებების გავრცელების სიხშირე. მაგრამ, ძირითადად, ჩვენი სასწავლო პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს უცხოურ სასწავლო პროგრამებთან, უნდა მოხდეს კურიკულუმების დაახლოება. დღეს ჩვენი მიზანი ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და ადაპტაციაა.

**- ალბათ ძალიან დიდი დრო დასჭირდება ჩვენი ექიმების უცხოეთში აღიარებას და მათი დიპლომების ნოსტრიფიცირებას...**

- უცხოეთში მოღვაწე ყველა წარმატებულ ქართველ ექიმს ურთულესი ბარიერების დაძლევა უხდებათ. იმისთვის, რომ ქართველი ექიმი იყოს მობილური და უცხოურ კლინიკებში მუშაობა შეეძლოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც დასავლური სტანდარტები ითვალისწინებს.

**- 18 თვე ხელმძღვანელობდით სახელმწიფო სამედიცინო აკადემიას, რაც დიპლომისშემდგომი განათლების ერთ–ერთი ძირითადი კერა უნდა იყოს. რას მიაღწიეთ ამ ხნის განმავლობაში?**

- მივაღწიეთ იმას, რომ უწყვეტი პროფესიული განათლება კანონით გავხადეთ სავალდებულო, ეს 2004 წელს მოხდა. ჩვენი ყველაზე დიდი მიღწევა იყო ისიც, რომ სამედიცინო განათლებაში სამი კომპონენტი გაჩნდა – ექვსწლიანი საბაზისო სამედიცინო განათლება, აუცილებელი რეზიდენტურა და უწყვეტი პროფესიული განვითარება. ექიმს, რომელსაც 5 წელი სპეციალობით არ უმუშავია და შემდეგ


ბესო გულაშვილის ფოტო

კვლავ დაუბრუნდა ექიმობას, კანონი უკვე ავალდებულებს რეაბილიტაციის გავლას. გარდა ამისა, პროფესიული განათლების უწყვეტობისთვის კანონშივე ჩაიწერა, რომ რესერტიფიცირების 5 წლის განმავლობაში ექიმმა 200 კრედიტქულა უნდა დააგროვოს; აქედან 125 უწყვეტ სამედიცინო განათლებაში უნდა აიღოს, 75 – პროფესიული აქტივობით უნდა მოაგროვოს. ან, ვალდებულია ჩააბაროს სარესერტიფიკაციო გამოცდა.

**- დღეს თქვენი პირველი სამუშაო დღეა ახალ თანამდებობაზე, პირველ რიგში, რა გააკეთეთ?**

- დღეს ჩემი ძირითადი მოვალეობა ამ ორი ორგანიზაციის შერწყმით ახალი სტრუქტურის, ფუნქციისა და შინაარსის ახალი სამედიცინო უნივერსიტეტის შექმნაა. მხოლოდ 7 თვე მაქვს იმისთვის, რომ ამ ახალ დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობებზე არჩევნები ჩავატარო და გარდა ამისა, უნდა შევქმნა ადმინისტრაციული სტრუქტურა და უნდა გაერთიანდეს სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ბაზები.

**- ამ არჩევნებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი დაპირისპირება გამოიწვია, თუმცა, იქ პოლიტიკა უფრო მეტი იყო, ვიდრე განათლება. როგორ აპირებთ თავიდან აიცილოთ ამ პროცესის თანმხლები უსიამოვნებები?**

- პრობლემები ყველანაირ რეფორმას თან ახლავს. მათი თავიდან აცილება, ჩემი აზრით, ყველაზე დემოკრატიული მეთოდით – არჩევითობითაა შესაძლებელი. თუ არჩევნებს სამართლიანად ატარებ, თუ კრიტერიუმებს არგებ არა პიროვნებებს, არამედ საქმეს, რომელსაც ისინი უნდა ემსახურონ – არჩევნები აუცილებლად წარმატებული იქნება. პრინციპების ღალატის შედეგი კი – წარუმატებელი რეფორმაა. დღეს ჩემი ძირითადი ფუნქციაა, ვიყო მაქსიმალურად სამართლიანი, კარგად შევარჩიო კრიტერიუმები და გამჭვირვალედ ჩავატარო არჩევნები.

დღეს ორ ფრონტზე გვიწევს ბრძოლა – ვიწყებთ არჩევნებზე მუშაობას, ვამუშავებთ კრიტერიუმებს, რომელიც სამწუხაროდ დღემდე არ არსებობს, ვაკეთებთ საშტატო განრიგს, რომელიც აგრეთვე არ არის ბოლომდე მიყვანილი. პარალელურად, უნდა ვიმუშაოთ პროგრამებზე, სტუდენტებთან, სამეცნიერო და კლინიკური ბაზების მიმართულებით. ამ "ბრძოლაში" ჩემი სახელმძღვანელო იქნება საქართველოს კანონები უმაღლესი განათლების შესახებ, საექიმო საქმიანობის შესახებ და უმაღლესი პროფესიული განვითარების შესახებ.

**- საუნივერსიტეტო კლინიკების სტატუსი და მდგომარეობა ერთ–ერთი ურთულესი რგოლია. რაიმე კონკრეტული გეგმები თუ გაქვთ?**

- მთელ მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ და წარმატებულ კლინიკებად საუნივერსიტეტო კლინიკა და სამხედრო ჰოსპიტალი ითვლება.

პრინციპი ერთია - ვერანაირ სწავლებას და გადამზადებას ვერ განვახორციელებთ და ყოველგვარი რეფორმა მხოლოდ ფურცელზე დარჩება, თუ საქართველოში არ იქნება საუნივერსიტეტო კლინიკების ახალი მოდელი. საუკეთესო მოდელი შექმნეს ბალტიის ქვეყნებმა. ეს მსოფლიოს ყველა წამყვანმა ქვეყანამ მოახერხა. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს რა არის საუნივერსიტეტო კლინიკა. როგორი მენეჯმენტი და იურიდიული სტატუსი უნდა ჰქონდეს მას, ეს ყველაფერი დღეს მოუწესრიგებელია. ჩვენი, უნივერსიტეტის გარეშე ეს საკითხი არ უნდა გადაწყდეს. მე ვერაფერს გავხდები, თუ სამედიცინო უნივერსიტეტს კლინიკა არ ექნა, რადგან ეს არის მისი სისხლი და ხორცი. ეს ერთობლიობაში იყო და არის კორპუსი, სადაც სასწავლო ბაზებია, არის სტუდენტური კავშირები, სადაც ტარდება კონფერენციები, სადაც პროფესურა მუშაობს და სხვა. როგორ შეიძლება, ეს მოშალო?! ეს იგივე იქნება, მოცურავეს აუზის გარეშე ასწავლო ცურვა. ვიცი, რომ ამ საკითხის მოწესრიგებით ძალიან დაინტერესებულია ჯანდაცვის სამინისტრო. ჩემი აზრით, ამაში აქტიური როლი უნდა შეასრულოს განათლების სამინისტრომ, რადგან საგანმანათლებლო პროგრამები ამ კლინიკაში უნდა განხორციელდეს.

ამ საკითხზე კონსულტაციები უკვე მიმდინარეობს. მიმაჩნია, რომ უნდა შეიქმნას ახალი იურიდიული მოდელი.

ხაზგასმით მინდა ვთქვა, სამედიცინო განათლების რეფორმირების გარეშე ჯანდაცვის რეფორმა ვერ განხორციელდება.

**- ეს არის ხანგრძლივი პროცესი და თან ამ ყველაფერს ფული სჭირდება...**

- ამისთვის სახსრები არსებობს და აქვე მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს პრეზიდენტს და მთავრობას რადგან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოხდება საუნივერსიტეტო კლინიკის, ანუ ე.წ. "რესპუბლიკური საავადმყოფოს" რეაბილიტაცია. ეს არის ისტორიული გადაწყვეტილება, რადგან ჩვენ მივიღებთ თანამედროვე აღჭურვილობის საუნივერსიტეტო კლინიკას. სწორად უნდა განვსაზღვროთ პოლიტიკა, კლინიკის მენეჯმენტი. გვექნება კარგი საავადმყოფოები და აპარატურა, მაგრამ თუ არ გვეყოლება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ეს გაუმართლებელი ხარჯები იქნება. ამ რეაბილიტაციის ფონზე, პროცესის პარალელურად მოხდება ექიმების ეტაპობრივი კვალიფიკაციის ამაღლება.

**- თქვენ საუბრობთ, როგორი იქნება უმაღლესი სამედიცინო განათლება. რა არის ის, რაც იცით, რომ არ იქნება?**

- მგონია, რომ არ უნდა იყოს ის დამოკიდებულება, როგორიც ახლა არის – უნდა შეიცვალოს პროგრამები, მენტალიტეტი... ვადასტურებ ჩემს დიდ პატივისცემას ყველა პროფესიონალის მიმართ, რადგან ვიცი თუ რა რთულად მიიღწევა ეს ყველაფერი, მაგრამ ჩვენი ორიენტირი იქნება – რა შეგიძლია, რა პროგრამა გაქვს და შეესაბამება თუ არა ეს მაღალ სტანდარტს?! საერთოდ, სამედიცინო დარგი სტანდარტების დარგია და "გაიდლაინებზე", ანუ გზამკვლევებზეა აგებული, რომელზეც, სხვათა შორის, სამედიცინო უნივერსიტეტები მუშაობენ. სამედიცინო უნივერსიტეტი მხოლოდ სასწავლო დაწესებლება არ არის. ეს, პირველ რიგში, არის მეცნიერება, კვლევა, ექიმთა მომზადება, ფუნდამენტური სამედიცინო-ბიოლოგიური დარგები, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მომზადება. სწორედ საუნივერსიტეტო კლინიკებში იქმნება სამკურნალო პოლიტიკა, იქ იქმნება "გაიდლაინები", რადგან მასზე მაღალი რანგის სპეციალისტები მუშაობენ.

ჩვენს ინტელექტუალურ ძალას დღეს გადარჩენა სჭირდება. მეცნიერები კვლევებს უნდა ატარებდნენ და ამის პირობები უნდა შეიქმნას. ექიმი მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს.

**- რით დააინტერესებთ უცხოელ კოლეგებს?**

- ჩემს კლინიკაში გერმანელი პარტნიორები მყავს და ვიცი, რით უნდა დავაინტერესო უცხოელი კოლეგები - ეს არის ინტელექტი, რომლის დეფიციტი საქართველოში ნამდვილად არ არის. ეს არის სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, პაციენტები... ბევრი ინტერესია. სამედიცინო სამყარო მობილური და გლობალურია. ჩვენი მიზანია აღვზარდოთ ისეთი სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან თანამედროვე ცივილურ სამედიცინო სამყაროში.

**- კერძო კლინიკა გაქვთ, რა ბედი ეწევათ თქვენს პაციენტებს?**

- მუშაობის შეწყვეტას არ ვაპირებ.

**- და ამ "საგიჟეთიდან" იქ წახვალთ?**

- პირიქით, იქიდან მოვალ აქ. ვიცი, რომ ის არის ჩემი ბოლო გაჩერება.

**- ცნობილი სტომატოლოგიური კლინიკის მენეჯერი ხართ, რას შესძენთ ამ სამეცნიერო სასწავლო დაწესებულებას, რაში გამოგადგებათ იქ შეძენილი უნარები?**

- ის, თუ რას შევძენ – ამას დრო აჩვენებს. ერთადერთი, რაც ძალიან კარგად ვისწავლე – დროის, შრომის და ამ შრომისგან მიღებული პროდუქტის ფასია. საერთოდ კი დამარცხებას და წაგებას მიჩვეული არა ვარ.




ქალაქური რომანი

როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და სალონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და ულამაზესი ქალაქი მსოფლიოში

HYUNDAI Official Partner
www.hyundai.ge

სამოდელო რიგი: Getz $9.900-დან; Santa FE New $28.100-დან; Tucson $18.800-დან; Sonata $18.900-დან; Terracan $23.500-დან; H-1 $21.500-დან

HYUNDAI Drive your way™ იარე შენი გზით


## მოკლედ

### ქართველი ჟურნალისტების გათავისუფლება

მინსკში დაკავებული საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ნინო გიორგობიანი გუშინ გაათავისუფლეს და საქართველოში დღეს დაბრუნდება. როგორც გიორგობიანმა "ჯი-ეიჩ-ენს" განუცხადა, მისი პატიმრობის 5-დღიანი ვადა გავიდა, ხოლო ოპერატორი გიორგი ლაღიძე კვლავ პატიმრობაში რჩება და მას 6 აპრილს გაათავისუფლებენ.

"24 მარტს, მილიციის გამანაწილებელ განყოფილებასთან დაგვაკავეს. ამ დროს ჩვენ ვმუშაობდით, ვიღებდით კადრებს თუ როგორ შედიოდა სპეცნაზი შენობაში და აქციაზე დაკავებულ ადამიანებს სცემდა. ასევე გადავიღეთ როგორ იქნევდნენ ადამიანები საკნებიდან ხელს და შეველას ითხოვდნენ", - განაცხადა გიორგობიანმა.

გიორგობიანის თქმით, მუშაობის დროს მილიციამ მათ რეგისტრაციის საბუთი მოსთხოვა. რადგან აღნიშნული დოკუმენტი სასტუმროში ჰქვონდათ, მილიციამ სასტუმროში წასვლა მოითხოვა. სასტუმროს ნაცვლად მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს. ჩამოართვეს მობილურები და ყველა კასეტა. სამი დღის შემდეგ შედგა სასამართლო და ქართველ ჟურნალისტებს ბრალად ხულიგნობა წაუყენეს, თითქოს, მილიციას არ დაემორჩილნენ და უცენზურო სიტყვებით საუბრობდნენ.

"ადვოკატი არ გვყოლია და არც საჩივარი შემოუთავაზებიათ. გიორგის პატიმრობის ვადა ხუთშაბათს, 6 აპრილს გაუვა. ჩვენი საკონსულო უკრაინაში აქტიურად მუშაობს მის გათავისუფლებაზე. საჩივრები უკვე დაწერილია, როგორ ჩემს სახელზე, ასევე გიორგის სახელზე, რომ არ ვეთანხმებით სასამართლოს გადაწყვეტილებას",-ამბობს გიორგობიანი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "ფრინველის გრიპის" საწინააღმდეგო ექსპერიმენტული ვაქცინის გამოცდა დასრულდა

ნიუ-იორკში დასრულდა "ფრინველის გრიპის" ვირუსის - H5N1-ის საწინააღმდეგო ექსპერიმენტული ვაქცინის გამოცდა. ადამიანებზე ჩატარებულმა ტესტებმა აჩვენა, რომ ვაქცინა უსაფრთხოა და სასიკვდილო დაავადებისგან დაცვა შეუძლია. ექსპერიმენტის შედეგების შესახებ სააგენტო "როიტერი" ჟურნალ "The New England Journal of Medicine"-ში გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით იუწყება.

ექიმებმა საჭირო სინჯები 2004 წელს ვიეტნამში "ფრინველის გრიპით" გარდაცვლილი ბიჭისგან აიღეს. სწორედ ამ მასალების საფუძველზე შეიქმნა ვაქცინა, რომელიც ჩვეულებრივი გრიპის სეზონური შტამებისგან მიღებულ გენებსაც შეიცავს. ტესტები 451 ჯანმრთელ მოზრდილ ადამიანზე ჩატარდა. სპეციალისტთა დასკვნით, ამ პრეპარატს შეუძლია ადამიანი "ფრინველის გრიპისგან" დაიცვას.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ "ფრინველის გრიპის" შესაძლო პანდემია შეიძლება H5N1-ის იმ შტამისაგან განსხვავდებოდეს, რომლის საფუძველზეც ვაქცინა შეიქმნა. თუმცა, ისინი თვლიან, რომ განსხვავება ძალზე მნიშვნელოვანი არ იქნება.

პრეპარატი შეძლებს ზოგიერთი ადამიანი საშიში ვირუსისგან დაიცვას და მათ ავადმყოფობის დაძლევაში დაეხმაროს. პანდემიის განვითარების შემთხვევაში უკვე ამ მასალების საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნას ვაქცინა "ფრინველის გრიპის" იმ ვირუსის წინააღმდეგ, რომელიც მუტაციას განიცდის. **ინტერპრესნიუსი**

### გადასასვლელი ხიდის რეკონსტრუქციის პროექტის პრეზენტაცია გაიმართება

დღეს შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში ცენტრალური ვაგზლის გადასასვლელი ხიდის რეკონსტრუქციის პროექტის პრეზენტაცია გაიმართება.

პროექტს შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი ირაკლი ეზუგბაია და ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "არქიტრავი" წარმოადგენენ. **მედიანიუსი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თბილქალაქგანათება" აცხადებს ღია ტენდერს საწარმოსათვის ელ. მასალების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი: თვითმზიდი იზოლირებული სადენის აქსესუარები 110 (ას ათი) კილომეტრი სადენისათვის.

ჰერმეტული გამხვრეტი მომჭერი 16-95 --> 1,5-10 SLIW 11.1 8800 ცალი

გამხვრეტი მომჭერი 10-95 --> 10-95 SLIP 22.1

ან ჰერმეტიული გამხვრეტი მომჭერი 10-95 --> 10-95 SLIW 15.1 1760 ცალი

შემაერთებელი წნეხით მომჭერი 25/25 SJ 8.25 880 ცალი

შუა საკიდი მომჭერი 2-4X(25-120) (90 გრად.) SO 136 220 ცალი

შუა საკიდი მომჭერი 2-4X(25-50) (60 გრად.) SO 130 550 ცალი

შუა საკიდი მომჭერი 2-4X(25-120) (30 გრად.) SO 140 3080 ცალი

ანკერული მომჭერი 4X(16-25) SO 158.1 660 ცალი

ანკერული მომჭერი 2X(16-25) SO 157.1 1100 ცალი

შენიშვნა: აქსესუარები უცხოური წარმოების, გარდა სნგ-ეს ქვეყნებისა.

2. მიწოდების ვადა - მიწოდების შემოტანა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე. მიწოდება იწარმოებს შემოტანის წესით.

მიწოდების ადგილი: თვალჭრელიძის I შესახვევი №7.

3. მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურების ფორმაა უნაღდო, ანგარიშსწორება ყოველთვიური. ანაზღაურება მოხდება ფაქტიურად განსაზღვრული საქონლის შემოტანის შემდეგ 2 (ორი) თვის განმავლობაში.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან, 2006 წლის 31 მარტიდან 28 აპრილის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის I შესახვევი №7, შპს "თბილქალაქგანათება".

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ბანკი, ბ/კ 220101502, ანგ. № 013467736, ს/კ 208141474.

6. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 აპრილს 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: თვალჭრელიძის I შესახვევი №7, შპს "თბილქალაქგანათება".

7. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

7.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან);

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრისეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

7.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან ფიზიკური პირის ქმედითუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- შესაბამისობის სერთიფიკატის (საჭიროების შემთხვევაში) წარმოდგენა.

8. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება ხელშეკრულების 5%-ის ოდენობით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ამირან ქურცუა, ტელ: 454513 (10-დან 17 საათამდე), თენგიზ იმნაძე, 893 341824, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, თვალჭრელიძის I შესახვევი №7.

სატენდერო კომისია

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირების წესებისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 ივლისის N121 დადგენილების მოთხოვნათა საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილია ლიცენზიის მაძიებელის განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია:

1. შ.პ.ს. "საქართველოს კოოპერაციული ინსტიტუტი" - ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიას.

## დამატება

სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მიერ სატელეკომუნიკაციო კაბელებისა და გამტარების შესყიდვის სატენდერო განცხადებაში

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფა განისაზღვრება სატენდერო წინადადებაში მოცემული საქონლის ღირებულების 1%-ით

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია: საქონლის ღირებულების 2%

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თბილქალაქგანათება" აცხადებს ღია ტენდერს საწარმოსათვის ელ.მასალების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი: იზოლირებული სადენი.

I პოზიცია (ლოტი) თვითმზიდი იზოლირებული სადენი - 110 (ას ათი) კმ (უცხოური წარმოების, გარდა სნგ-ს ქვეყნებისა).

AsXSn 4X16 - 60 კმ (60000 მ).

AsXSn 4X25 - 20 კმ (20000 მ).

AsXSn 2X16 - 30 კმ (30000 მ).

II პოზიცია (ლოტი)

კაბელი

აგგდ - 4X25 - 1 კმ (1000 მ).

აგგდ - 4X35 - 1 კმ (1000 მ).

აგგდ - 4X50 - 1 კმ (1000 მ).

აოგ - 1X4 - 52 კმ (52000 მ) (ალუმინის სადენი).

კაბელი - სპილენძის მრავალწვერა (თეთრი ფერის)

4X6 - 1000 მ.

4X2,5 - 1000 მ.

2X1,5 - 3000 მ.

2. მიწოდების ვადა - მასალების შემოტანა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე. მიწოდება იწარმოებს შემოტანის წესით.

მიწოდების ადგილი: თვალჭრელიძის I შესახვევი №7.

3. მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურების ფორმაა უნაღდო, ანგარიშსწორება ყოველდღიური. ანაზღაურება მოხდება ფაქტიურად განსაზღვრული საქონლის შემოტანის შემდეგ 2 (ორი) თვის განმავლობაში.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 31 მარტიდან 27 აპრილის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თვალჭრელიძის I შესახვევი №7, შპს "თბილქალაქგანათება".

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ბანკი, ბ/კ 220101502, ანგ. № 013467736, ს/კ 208141474.

6. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 27 აპრილს 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: თვალჭრელიძის I შესახვევი №7, შპს "თბილქალაქგანათება".

7. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

7.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან);

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

7.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან ფიზიკური პირის ქმედითუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- შესაბამისობის სერთიფიკატის (საჭიროების შემთხვევაში) წარმოდგენა.

8. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ამირან ქურცუა, ტელ: 454513 (10-დან 17 საათამდე), თენგიზ იმნაძე, 893 341824, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, თვალჭრელიძის I შესახვევი №7.

**სატენდერო კომისია**

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ ხელახალ კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:**

**საოლქო საარჩევნო კომისია:**

| N | საოლქო საარჩევნო კომისიის და დასახელება | საოლქო საარჩევნო კომისიში არსებული ვაკანსი | თანამდებობრივი განაკვეთი |
|---|---|---|---|
| 1. | №32 გორი | 1 წევრი | 250 ლარი |

საბუთები მიიღება იწარმოებს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2006 წლის **3 აპრილიდან 16 აპრილის** ჩათვლით, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 18 საათამდე, შესვენება 13-დან 14-საათამდე, შემდეგ მისამართზე:**ქ.თბილისი,** რუსთაველის **გამზ.** 29, მე-3 სართული.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

**თელ: 98 70 17.**

**ან იხილეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდი:**

www.cec.gov.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თბილქალაქგანათება" აცხადებს ღია ტენდერს საწარმოსათვის ელ.მასალების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი: ელ.საქონელი.

I პოზიცია (ლოტი) - გარე განათების ელ. კარადა 60 (სამოცი) ცალი;

II პოზიცია (ლოტი) - გარე განათების დისტანციური მართვის პულტი 60 (სამოცი) ცალი.

2. მიწოდების ვადა - მასალების შემოტანა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე. მიწოდება იწარმოებს შემოტანის წესით.

მიწოდების ადგილი: თვალჭრელიძის I შესახვევი №7.

3. მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურების ფორმაა უნაღდო, ანგარიშსწორება ყოველთვიური. ანაზღაურება მოხდება ფაქტიურად განსაზღვრული საქონლის შემოტანის შემდეგ 2 (ორი) თვის განმავლობაში.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 31 მარტიდან 2 მაისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის I შესახვევი №7, შპს "თბილქალაქგანათება".

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ბანკი, ბ/კ 220101502, ანგ. № 013467736, ს/კ 208141474.

6. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 2 მაისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: თვალჭრელიძის I შესახვევი №7, შპს "თბილქალაქგანათება".

7. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

7.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან);

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

7.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან ფიზიკური პირის ქმედითუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- შესაბამისობის სერთიფიკატის (საჭიროების შემთხვევაში) წარმოდგენა.

8. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ამირან ქურცუა, ტელ: 454513 (10-დან 17 საათამდე), თენგიზ იმნაძე, 893 341824, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, თვალჭრელიძის I შესახვევი №7.

**სატენდერო კომისია**

## ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის განცხადება

რაიონში ჩატარებული ტენდერების შედეგად გამოვლენილი იქნა 6 გამარჯვებული. ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული იქნა:

- რაიონის ტერიტორიაზე არსებული გზების, მოედნებისა და ტროტუარების საორმო-შეკეთებით სამუშაოებზე - შპს "საბა"-სთან;
- რაიონის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ზოლის ექსპლოატაციასა და მომსახურებაზე - შპს "გამწვანება-94"-თან და შპს "გამწვანება კრწანისთან";
- რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ უმწეო მოქალაქეთა უფასო კვებით მომსახურებაზე - ი/მ "მადონა გერსამია"-სთან, ი/მ "ვაჟა ხომიზურთან" და ი/მ "ნინო ქურდაძე"-სთან.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ბავშვთა ქალაქ მზიურის გარე განათების ქსელების რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

სანათების (შემსყიდველის მიერ მიწოდებული სანათებით) და კაბელების შეცვლა, გარე განათების კარადების შეცვლა, დაზიანებული ბოძების აღდგენა და ახალი ბოძების დაყენება.

2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 15 ივნისი.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 24 აპრილის 12 საათიდან 24 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4.პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 3 აპრილიდან 2006 წლის 21 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, 92-07-86 მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება
# ქალაქ თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური

(მისამართი: თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №4, მე-3 სართული)

ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის №10-6 გადაწყვეტილების, ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ქ. თბილისის მთავრობის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების კონკურსის ფორმით განკარგვის წესის შესახებ" დებულების და ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის №05.17.134 დადგენილების საფუძველზე

აცხადებს სამეურნეო კონკურსს

შპს "№8 მოზრდილთა პოლიკლინიკა"-ს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალების (არასაცხოვრებელი ფართის) გაცვლის თაობაზე.

ქონების ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი, გამსახურდიას ბამზირი №14ა-14ბ

ქონების ფართი: 830 კვ მ

ქონების გადაცემის პირობა: გაცვლა

კონკურსის ფორმა: სამეურნეო კონკურსი

საკონკურსო პირობები:

1. გადმოსაცემი (შემოთავაზებული) ფართის ადგილმდებარეობა:

ვაჟა-ფშაველას გამზირი - კ. გამსახურდიასა და ვაჟა-ფშაველას გადაკვეთიდან ვაჟა-ფშაველას გამზირისა და ტაშკენტის ქუჩის გადაკვეთამდე

ყაზბეგის გამზირი - კ. გამსახურდიას და ყაზბეგის გამზირის გადაკვეთიდან ყაზბეგის გამზირისა და ტაშკენტისა ქუჩის გადაკვეთამდე

მიცკევიჩის ქუჩა

საბურთალოს ქუჩა - იპოდრომამდე

ბახტრიონის ქუჩა - იპოდრომამდე

ტაშკენტის ქუჩა - ვაჟა-ფშაველას გამზირისა და ტაშკენტის ქუჩის გადაკვეთიდან ტაშკენტის ქუჩისა დამიცკევიჩის ქუჩის გადაკვეთამდე

2. გადმოსაცემი ფართის განლაგება: 1 და/ან მე-2 სართულზე;

3. გადმოსაცემი ფართის ოდენობა: არანაკლებ 1245 კვ მ;

4. გადმოსაცემი ფართის პროფილი (დანიშნულება, ფუნქცია): არასაცხოვრებელი ფართი.

5. გადმოსაცემი ფართის ტექნიკური მდგომარეობა: გადმოსაცემ ფართზე სარემონტო სამუშაოები კონკურსში გამარჯვებულის ხარჯებით უნდა ჩატარდეს ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ შემუშავებული დავალების შესაბამისად (რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: ელექტრო-წყალ-კანალიზაციის გაყვანილობას, სატელეფონო ქსელის გაყვანილობას, გათბობისა და კონდიცირების სისტემით აღჭურვას; ელექტროენერგიის მრიცხველით აღჭურვას; გაზის მრიცხველით აღჭურვას; წყლის მრიცხველით აღჭურვას).

6. გადმოსაცემ ფართში ოთახების რაოდენობა და ფართი:

| დასახელება | რაოდენობა | ფართი |
|---|---|---|
| რენტგენის კაბინეტი | 1 | 45 კვ მ |
| ბიოქიმიური ლაბორატორია | 1 | 45 კვ მ |
| კაბინეტები | 45 | თითოეული არანაკლებ 12 კვ მ |
| სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტი | 1 | 30 კვ მ |
| ფიზიოთერაპიული კაბინეტი | 1 | 30 კვ მ |

cxrili ???

7. შემოთავაზებულ ფართში სარემონტო სამუშაოების დასრულების ვადა: არაუგვიანეს 2006 წლის 1 ოქტომბრისა.

8. ვალდებულების აღება, რომ ტექნიკური ნაკლის 1 წლის განმავლობაში გამოვლენის შემთხვევაში მას უსასყიდლოდ გამოასწორებს კონკურსში გამარჯვებული.

9. ვალდებულების აღება, რომ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან 6 თვის განმავლობაში კონკურსში გამარჯვებულისათვის გადაცემული (გაცვლილი) ფართი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ იქნება გასხვისებული ან უფლებრივად დატვირთული და იგი კონკურსში გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად დაიტვირთება იპოთეკით (ქონების იპოთეკის დატვირთვის სანაცვლოდ შესაძლებელია საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომელიც ძალაში იქნება არანაკლებ 1 წლის ვადით - ამ შემთხვევაში საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს კონკურსის ჩატარებამდე განაცხადთან ერთად).

10. ვალდებულების აღება, რომ ხელშეკრულების გაფორმებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს კონკურსანტი.

11. გადმოსაცემი ფართის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები: საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და გადმოსაცემი ფართის მოწყობა სამედიცინო პროფილის დაწესებულების ფუნქციონირებისათვის (ქონების რეაბილიტაციისა და ეფექტურად გამოყენების პროგრამა) ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ შემუშავებული დავალების შესაბამისად (რომელიც უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს: ელექტრო-წყალ-კანალიზაციის გაყვანილობას, სატელეფონო ქსელის გაყვანილობას, გათბობისა და კონდიცირების სისტემით აღჭურვას; ელექტროენერგიის მრიცხვებით აღჭურვას; გაზის მრიცხვებით აღჭურვას; წყლის მრიცხველით აღჭურვას).

გამარჯვებულად გამოცხადდება კონკურსანტი, რომელიც დააკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს და რომლის მიერ წარმოდგენილი პროგრამა (წინადადება) კომისიის მიერ მიჩნეული იქნება საუკეთესოდ.

"ბე"-ს ოდენობა: 25 000 ლარი.

კონკურსში დამარცხებულ კონკურსანტს გადახდილი "ბე" დაუბრუნდება კონკურსის შედეგების დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, კონკურსანტის მოთხოვნით.

"ბე"-ს გადახდის საბანკო რეკვიზიტები:

სს "გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს საბურთალოს №7 ფილიალი, კოდი: 220 101 670, ანგარიშსწორების ანგარიში: 18873602, საიდენტიფიკაციო კოდი: 211 336 375, შპს "№8 მ/პოლიკლინიკა".

კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომლეშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობებისა და შემოთავაზებული პროგრამის (წინადადების) შესრულებაზე;

- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობის ასლი (კონკურსანტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);

- იურიდიული პირისათვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);

- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსში მონაწილეობს სხვა პირის სახელით;

- პროგრამა (წინადადება) დალუქული კონვერტის სახით;

- საბანკო გარანტია (რომელიც ძალაში იქნება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში), თუკი კონკურსანტი საკონკურსო პირობების (მე-9 პუნქტი) შესაბამისად ქონების იპოთეკით დატვირთვის ნაცვლად აირჩევს საბანკო გარანტიის წარმოდგენას;

- გადმოსაცემი ფართის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი (აუდიტორული დასკვნა ან სხვა);

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება კონკურსანტის საკუთრების უფლება შემოთავაზებულ ფართზე;

- ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება შემოთავაზებულ ფართზე ყადაღის არარსებობა.

განაცხადები მიიღება: განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 3 მაისის 18 საათამდე.

კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი წინადადებები გაიხსნება 2006 წლის 4 მაისს 12 საათზე. კონკურსანტებს უფლება აქვთ დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნას.

საკონკურსო კომისია წარმოდგენილი წინადადებების გახსნიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ, რომელსაც აცხადებს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემდგომ საკონკურსო კომისია ადგენს და სამსახურს გადასცემს კონკურსის შემაჯამებელ ოქმს, რომელიც 10 დღის ვადაში ამტკიცებს კონკურსის შედეგებს.

სამსახურის მიერ კონკურსის შედეგების დამტკიცების შემდგომ საკონკურსო კომისიის ოქმი გადაეცემათ კონკურსანტებს, ხოლო კონკურსში გამარჯვებულს ეგზავნება შეტყობინება ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კონკურსში გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულებისათვის საჭირო ყველა ხარჯებს (სანოტარო წესით გაფორმება, რეგისტრაცია და სხვა) გაიღებს კონკურსში გამარჯვებული.

განცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №4 მე-3 სართული. ტელ.: 93 61 09 (ზურაბ ლომინაძე).

## ს.ს. "მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო" მედიკამენტების, რეაქტივების, სამედიცინო დანიშნულების საგნების, შესახვევი და სახარჯი მასალის შესყიდვა

**ერთეტაპიანი ტენდერის დამატება**

*1. მე-11 ლოტს "რენტგენოკონტრასტული საშუალებები და ლაბორატორიული ტესტსისტემები" დაემატოს შემდეგი დასახელების და ოდენობის შესასყიდი საქონელი:*

***ლოტი11. რენტგენოკონტრასტული საშუალებები და ლაბორატორიული ტესტსისტემებ***

| | | |
|---|---|---|
| მაკონკი | | |
| პეპტონი | | |
| კლიგლერი | | |
| საქაროზა | | |
| ლაქტოზა | | |
| ნატრიუმის ქლორიდი | | |
| მშრალი საფუარი | | |
| მეთილენის ლურჯი | | |
| ოქსიტესტი | | |
| მშრალი ნაღველი | | |
| ძირითადი ფუქსინი | | |
| პოლივალენტური შრატები | | |
| დიაგნოსტიკუმი ბრუცელიოზის | | |
| მორის მარილი | | |
| ჰიპოსულფილი | | |
| ფენოლის წითელი | | |
| ვირუსული შრატები | | |

**გაზეთ „24 საათში“ 29 მარტის ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო ქვემოთ მოცემული განცხადება. რაც ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა, რისთვისაც რედაქცია ბოდიშსგიხდით**

## სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

*მ.წლის 20 აპრილს, 1400 საათზე* დანიშნულია სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. საწარმოს 2005 წლის ფინანსური ანგარიშის (ბალანსი) განხილვა და დამტკიცება.
2. საწარმოს დირექტორის მიერ 2005 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
3. საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2005 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
4. 2005 წლის წმინდა მოგების განაწილების შესახებ.
5. საწარმოს 2006 წლის ბიზნეს-გეგმის პროექტის განხილვა და დამტკიცება.

კრება ჩატარდება "საწარმოთა მართვის სააგენტოში", შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის პროსპ. N64.

**სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" გენერალური დირექტორი.**

# საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას 2006-2007 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე და სპეციალობებზე

I. დრამის ფაკულტეტი:

ა. ა) სამსახიობო - დრამისა და კინოს მსახიობი (ქართული და რუსული ჯგუფი);

ბ) თოჯინების თეატრის მსახიობი.

- მსახიობის სპეციალობაზე შემოქმედებით კონკურსზე დაიშვებიან შესარჩევი ტურის გავლის შემდეგ (ჩაბარების მსურველი აბიტურიენტების სასურველი ასაკია: ქალები - 23 წლამდე, ვაჟები - 25 წლამდე).

2. დრამის რეჟისორი

ა) ქართული ჯგუფი;

ბ) უკრაინის მიზნობრივი ჯგუფი (მიიღებიან მხოლოდ უკრაინის მოქალაქეები).

3. სცენოგრაფია

- დრამის ფაკულტეტის მსახიობის სპეციალობაზე აბიტურიენტმა უნდა წაიკითხოს განსხვავებული ჟანრის რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოები (პროზა, ლექსი, იგავ-არაკი), შეასრულოს საცეკვაო ნომერი, სიმღერა;

- თოჯინების მსახიობის სპეციალობაზე აბიტურიენტს დამატებით ეძლევა კომისიის მიერ შეთავაზებული მარტივი დავალება;

- დრამის რეჟისურის სპეციალობაზე - წერა (პიესის ლიტერატურული ანალიზი).

კონკურსამდე აბიტურიენტს ჩაუტარდება გასაუბრება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევარი (სცენარი, მოთხრობა, ნარკვევი და სხვა, 2-3 გვერდის მოცულობით).

- სცენოგრაფია - ხატვა (მოცემული ამოცანის შესრულება - ნატურმორტი ქაღალდზე - ფანქრით). კონკურსამდე გაესაუბრებიან სახვითი ხელოვნების საკითხებზე (აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს ნებისმიერ თემაზე შექმნილი საკუთარი ნამუშევარი).

II. კინო-ტელე ფაკულტეტი

ა) ტელე-რადიო გადაცემის წამყვანი ჟურნალისტი;

ბ) ტელერეჟისორი (ქართული და უკრაინული ჯგუფი);

გ) მხატვრული კინოს რეჟისორი;

დ) რეჟისორ-ანიმატორი;

ე) ხმის რეჟისორი.

მხატვრული კინოს რეჟისორის, ტელერეჟისორის, რეჟისორ-ანიმატორისა და ტელე-რადიო გადაცემის წამყვანი ჟურნალისტის სპეციალობაზე - წერა შეთავაზებულ თემაზე.

(ანიმატორებს - ხატვა). პრაქტიკულის წინ ჩატარდება გასაუბრება.

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს სცენარი, მოთხრობა, ნარკვევი, ფოტო, ნახატი, სტატია და სხვა ნამუშევარი, 2-3 გვერდის მოცულობით.

ხმის რეჟისორის სპეციალობაზე - სმენის შემოწმება.

III. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

ა) ხელოვნებათმცოდნე - პედაგოგი;

ბ) თეატრმცოდნე (ქართული და უკრაინული ჯგუფი);

გ) კინომცოდნე;

დ) ტურიზმის მენეჯერი (ქართული და უკრაინული ჯგუფი);

ე) კულტურის მენეჯერი;

ვ) კულტუროლოგი.

გამოცდები: სამ საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა) ტარდება მხოლოდ ერთიან ეროვნულ საგამოცდო ცენტრში.

უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას აბიტურიენტი განცხადებას წერს რექტორის სახელზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს ერთიანი ეროვნული გამოცდის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი (დედანი და ასლი), მაგრამ ჩარიცხვა არ მოხდება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ან ატესტატის გარეშე. საჭიროა 6 ფოტოსურათი ზომით 3X4. სამხედრო მოწმობას აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

საბუთები მიიღება 1 ივნისიდან 20 ივნისამდე (ჩათვლით).

შემოქმედებიკი კონკურსი - 20 ივნისიდან 6 ივლისამდე.

უნივერსიტეტში კონსულტაციები ჩატარდება 1 აპრილიდან 17 ივნისის ჩათვლით ყოველ შაბათს.

მომსახურების საფასურია 15 ლარი.

**მიმღები კომისია**

## 21 მარტს გამოქვეყნებული განცხადების შესწორება

ს/ს "მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტი" აცხადებს, რომ ტენდერი, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 2006 წლის 31 მარტს 17 საათსა და 30 წუთზე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის საქართველოში არყოფნის გამო გადატანილი იქნა 2006 წლის 4 აპრილს 17 საათსა და 30 წუთზე.

ს/ს "მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტი"-ს დირექტორი საფინანსო-ადმინისტრაციულ დარგში თ. რუსიეშვილი




## შ.პ.ს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" განცხადება

2006 წლის 29 მარტის გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებული სატენდერო განცხადებები, "ალბატროსისა" და "განცის" ტიპის პორტალური ამწეების ელექტრო მოწყობილობების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის შესახებ, ასევე სათადარიგო ნაწილების შესყიდვასა და სანავსადგურო ბუქსირ "უშბას" კაპრემონტის შესახებ გამოცხადდეს გაუქმებულად.

**შ.პ.ს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"**

# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დამატებით აცხადებს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის 2 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთები მიიღება 2006 წლის 10 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით, ყოველდღე, 1100-დან 1700 საათამდე.

მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახელზე კონკრეტულ ვაკანტური ადგილის მითითებით (შეივსება ადგილზე);

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია;

დ) საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის მიერ გაცემული ცნობა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ;

ე) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N 27);

ვ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ზ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;

თ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ი) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

კ) ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ;

ლ) ორი ფერადი ფოტოსურათი (3X4).

შენიშვნა: კანდიდატები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 2006 წლის მარტის თვეში გამოცხადებულ მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში, წარმოადგენენ მხოლოდ განცხადებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მის.: თბილისი, ბოჭორმის ქ. N12 ტელ.: 27-31-00, 27-31-01 ფაქსი.: 27-31-09

პაულო კოელიოს სვეტი

## ელეგანტურობის შესახებ



ხანდახან სიარულისას წავიბორძიკებ ხოლმე და მაშინვე გამიელვებს აზრი, რომ ამ დროს ყველაფერი სულაც არ არის კარგად. სანამ მიზეზებს დავუწყებდე ძებნას, ჯერ ვცდილობ, მოძრაობა გავასწორო, უფრო ელეგანტურად გავიარო. როცა დაცემული ვდგები და ისევ სიარულის მშვიდ ტემპს ვიღებ, ვატყობ, რომ მცდელობამ გაამართლა - ელეგანტურად გავლა გამომივიდა და რომ ამან მეტი სითამამე და თავდაჯერება შემმატა.

ელეგანტურობას ხშირად ურევენ ხოლმე ხელოვნურობაში, მოდას აყოლაში, ზედაპირულობაში. არადა, ვინც ასე ფიქრობს, სასტიკად ცდება: ადამიანების ყოველი მოქმედება უნდა იყოს ასეთი – დახვეწილი და ელეგანტური, რადგან თვითონ ეს სიტყვა კარგი გემოვნების, ზრდილობის, შინაგანი წონასწორობისა და ჰარმონიის სინონიმია.

ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ადამიანმა მშვიდად და ელეგანტურად უნდა გადადგას. რა თქმა უნდა, ეს აკვიატებულ იდეად არ უნდა გვექცეს და მანიაკებივით ყოველ წამს არ უნდა ვაკონტროლებდეთ ხელ-ფეხის მოძრაობებს, ღიმილსა და მზერას, მაგრამ საოცარია იმის შეგრძნება, რომ შენი სხეული ერთ კონკრეტულ და ყველასთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობს და რომ სხვებს – თუნდაც ქვეცნობიერად, მაგრამ მაინც – მშვენივრად ესმით შენი სათქმელი სიტყვებს მიღმა.

რაც შეეხება სიმშვიდეს, ის გულიდან უნდა წამოვიდეს. დაუცველობის ხშირი შეგრძნების მიუხედავად, თუ ელეგანტურობას მივმართავთ დასახმარებლად, შინაგანი ბალანსის აღდგენას მაინც შევძლებთ. ფიზიკურ ქმედებებსა და გარეგნობაში გამოხატული ელეგანტურობა სხეულიდან მოდის. თუ ოდნავ დაუკვირდებით, მიხვდებით, რომ არაფერსაც არ ვართულებ. ელეგანტური სიარული – ეს, ფაქტობრივად, არის შენს ფეხქვეშ განფენილი გზისადმი პატივის მიგება და შენ ამას პილიგრიმისთვის დამახასიათებელი ღირსებით უნდა აკეთებდე.

და გთხოვ, ნუ აგერევა ეს ტერმინი – ელეგანტურობა უზრდელობასა და სნობიზმში. ელეგანტურობით შენ ფაქტობრივად სრულყოფილებას ანიჭებ საკუთარ ჟესტებს, უფრო ამყარებ გადადგმულ ნაბიჯებს, უფრო მეტ პატივს სცემ შენს თანამგზავრსაც.

ელეგანტურობა მაშინ მიიღწევა, როცა განდევნი ზედაპირულ მინარევებს შენი ბუნებრივი განწყობიდან და შინაგან სამყაროში მიაგნებ თანდაყოლილ უბრალოებასა და კონცენტრაციის უნარს: რაც უფრო სადად და ფხიზლად დაიჭერ ტანს, მით უფრო ლამაზი იქნება შენი პოზა.

თოვლი თვალისთვის მშვენიერი აღსაქმელია იმიტომ, რომ მას მხოლოდ ერთი ფერი აქვს. ზღვაც მშვენიერია იმიტომ, რომ ის სწორი და ერთფეროვანი ჩანს ზედაპირზე. არადა, სინამდვილეში, ორივეს – თოვლსაც და ზღვასაც – დიდი სიღრმეები აქვთ და სხვადასხვა თვისებები.

ასე რომ, თავი ასწიე, იარე მტკიცედ და ბედნიერების შეგრძნებით, შიშისა და ბორძიკის გარეშე. იცოდე, შენს თითოეულ მოძრაობას მეკავშირე ჰყავს, მეკავშირე, რომელიც ყველაფერში დაგეხმარება. მაგრამ ნურც იმას დაივიწყებ, რომ მტერიც გიყურებს; მტერი, რომელმაც მშვენივრად იცის განსხვავება აკანკალებულ და მტკიცე მაჯას შორის. ასე რომ, თუ კონცენტრირდები, ღრმად ისუნთქებ, თავს დაარწმუნებ იმაში, რომ მშვიდად ხარ, მერე სასწაულიც მოხდება (რომლის ახსნაც შეუძლებელია) და სიმშვიდე მაშინვე დაისადგურებს.

იმ მომენტში, როცა მიიღებ გადაწყვეტილებას და მოქმედებასაც დაიწყებ, ეცადე, გონებაში გაიარო თითოეული ეტაპი, რომელიც ნაბიჯების მომზადებაში დაგეხმარა.

მშვილდოსნობასთან რომ გავავლოთ პარალელი, მოგახსენებთ, რომ ბევრი მშვილდოსანი წუწუნებს ერთნაირად: მრავალწლიანი პრაქტიკის მიუხედავად, მაინც სწრაფად უცემთ გული, უკანკალებთ ხელი და ხშირ შემთხვევაში მიზანსაც ვერ აღწევენ. მშვილდოსნობის ხელოვნება ჩვენს შეცდომებს სულ უფრო ცხადს და ხილულს ხდის.

აბა, დააკვირდი, იმ დღეს, როცა ვერ გრძნობ სიცოცხლისადმი სიყვარულს, არაფერი გამოგდის ხოლმე. სროლა მიზნისკენ ამაოა, ძალა არ გყოფნის, რომ სასურველ შედეგს მიაღწიო და არც განწყობა გაქვს საამისო, არც მშვილდი გემორჩილება და არც ისარი. ამ დროს დაფიქრება გმართებს. დაუსვი კითხვა საკუთარ თავს, თუ რატომ მოხდა ასე, იყავი გულწრფელი და მანამდე დაფარულ სიმართლესაც აღმოაჩენ საკუთარი თავის შესახებ.

მიხვდები, რომ პრობლემა გამოწვეული იყო სხეულის მოდუნებით, ელეგანტურობის ნაკლებობით. შეიცვალე პოზა, თავი ასწიე, წელში გაიმართე, სამყაროს თავდაჯერებულობით შეხედე და ხელახლა გაუსწორე თვალი. გახსოვდეს: როცა საკუთარ ტანზე ფიქრობ, ფიქრობ სულზეც – და ორივე შენია, ორივე ერთმანეთს სრულყოფაში ეხმარება.




## ახალი თარგმანები

ნანა ქრელაშვილი

გუშინ გამომცემლობა "დიოგენემ" "თიბისი'' ბანკის საპრეზენტაციო დარბაზში ახალი გამოცემებით უმასპინძლა წიგნის მოყვარულებს. პრესრელიზი გვატყობინებდა, რომ წარმოდგენილი იქნებოდა "ახალი თარგმანების" მე-6 ნომერი და ჯერომ სელინჯერის "კლდის პირზე, ჭვავის ყანაში". აქვე აღნიშნულია, რომ გამომცემლობა "დიოგენესთან" ერთად "ახალი თარგმანების" გამოცემაში მონაწილეობდნენ "ლიტერატურული ალმანახი", საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო".

ქართველ საზოგადოებას ჩვევაში გადასულმა თვისებამ არც იმ დღეს უღალატა - პრეზენტაცია დაგვიანებით დაიწყო, თუმცა ცოცხალმა კლასიკურმა მუსიკამ და საინტერესო საზოგადოებამ ეს სიცარიელე ნამდვილად შეავსო. მასპინძელი - გამომცემლობა "დიოგენეს" დირექტორი თამარ ლებანიძე უყურადღებოდ არავის ტოვებდა. პრეზენტაციაც მან გახსნა და წარმოგვიდგინა ჯერომ სელინჯერის "კლდის პირზე, ჭვავის ყანაში", რომელსაც დღემდე ქართველი მკითხველი იცნობდა სათაურით "თამაში ჭვავის ყანაში". **"ეს წიგნი ბევრმა თაობამ წაიკითხა. ის იყო ჩემი და ჩემი შვილების თაობის საყვარელი წიგნი. დადგა დრო ახალი თარგმანები გაჩნდეს ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში. ჩვენმა გამომცემლობამ მიიღო ამ წიგნის თარგმნის საავტორო უფლება და ძალიან მიხარია, რომ ხელახალი თარგმანი ეკუთვნის ამ საქმის ოსტატს – გია ჭუმბურიძეს".** ქალბატონმა თამარმა მკითხველს ერთგვარი კონკურსი შესთავაზა: ყოველ მეათე მყიდველს საჩუქრად გადაეცემოდა მაისური სელინჯერის ავტოგრაფით. მაისურის პირველი მფლობელი წიგნის მთარგმნელი გახდა. ბატონმა გიამ მადლობა გადაუხადა გამომცემლობას და ისაუბრა ახალი წიგნების გამოცემის მნიშვნელობაზე თანამედროვე საზოგადოებისთვის. სურვილი გამოთქვა, რომ მსგავსი პრეზენტაციები უფრო ინტენსიურად გაიმართოს.

"ახალ თარგმანებში" წარმოდგენილია ლიტერატურული მასალა სხვადასხვა თაობისა და გემოვნების მკითხველისთვის. აქ შეხვდებით ანა ახმატოვას, უოლტ უიტმენის, შარლ ბოდლერის, სერგეი დოვლატოვის, ზაფრა ფატამის, ემილ დიურკემის, ვლადიმირ ვისოცკისა და სხვათა ქართულად ნათარგმნ ნაწარმოებებს. "ახალი თარგმანების'' რედაქტორმა ბესო ხვედელიძემ მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და წარმოგვიდგინა ახალი ნომრის მთარგმნელობით კონკურსში გამარჯვებულთა სახელები, რომლებიც ფულადი პრემიებით დასაჩუქრდნენ. სალომე ბენიძემ, ქეთევან თოდაძემ, ხათუნა მუზაშვილმა გაიმარჯვეს ახალგაზრდა მთარგმნელთა კონკურსში, ხოლო ბათუ დანელია, შალვა ბაკურაძე, გია ჯოხაძე ერთი ლექსის კონკურსის პრიზის მფლობელები გახდნენ. მათთან ერთად დაასაჩუქრეს ანა სუხიშვილიც.

პრეზენტაციის შემდეგ გია ჭუმბურიძემ ორი სიტყვით გვიამბო მუშაობის პროცესზე: **",როგორც თანამედროვენი იტყვიან, საკაიფო იყო. მთავარი მიზანი იყო რიტმი, ფონი დამეჭირა".** ახალგაზრდა გამარჯვებულები სიხარულს ვერ მალავდნენ. **სალომე ბენიძემ** შარშან ერთი ლექსის კონკურსში გაიმარჯვა. **"დღევანდელი განცდა ნაცნობია. ძალიან კარგი გრძნობაა. დიდ მადლობას ვუხდი ამ ადამიანებს. შარშანაც ძალიან მოულოდნელი იყო, თუმცა არც წელს ველოდი..."**

ქეთევან თოდაძე: **"არ ვიცოდი, თუ არსებობდა კონკურსი, რომელში გამარჯვებულიც დაჯილდოების დროს იგებდა საკუთარი წარმატების შესახებ. მე ებრაული პოეზიის მოყვარული მთარგმნელი ვარ. მიხარია და დაბნეული ვარ. მადლობა ყველას, ვინც ეს სიხარული მაჩუქა. აუცილებლად გავაგრძელებ თარგმნას."**

პრეზენტაცია დასრულდა. იქ შეკრებილ საზოგადოებას კიდევ დიდხანს არ ეთმობოდა კარგი განწყობა და სასიამოვნო გარემო.

## ჰიმნი ნაკრებისთვის

ინგლისის საფეხბურთო ნაკრებისა და მისი გულშემატკივრისთვის ყოველთვის ასე იყო – კარგ ბურთზე არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ კარგი სიმღერა – გასამხნევებლად. გამონაკლისი არც წლევანდელი წელია. 2006-ის მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრების გამხნევებაზე როკ-ჯგუფი Embrace იზრუნებს. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას იმედი აქვს, რომ მის მიერ შესრულებულ სიმღერას World at Your Feet გულშემატკივრები აიტაცებენ და თავიანთ ნაკრებს ტრიბუნებიდან ომახიანად გაამხნევებენ.




Embrace-ის ლიდერი დენი მაქნამარა ამ ახალი ამბით ძალიან გაამაყებულია და აცხადებს: "იმედი გვაქვს, ჩვენი სიმღერაც ისეთივე წარმატებული და პოპულარული გახდება, როგორც 1990 წლის New Order-ის ჰიტი World in Motion იყო. ეს ჰიმნი, რომელსაც ბევრი ფეხბურთელი ასრულებდა, მათ შორის ჯონ ბარნსიც, ერთ-ერთ საუკეთესო საფეხბურთო სიმღერად ითვლება. ასევე ცნობილია დევიდ ბედიელისა და ფრენკ სკინერის სიმღერა Three Lions-იც, რომელიც "ევრო 96"-ისთვის ჩაწერეს. მართალია, ის ოფიციალური ჰიმნი ვერ გახდა, მაგრამ კომერციული წარმატებაც მოიპოვა და კრიტიკოსებიც აღაფრთოვანა. ამიტომ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ხელახლა ჩაწერეს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მარკეტინგის მენეჯერი ტომ ჰაროლდი აცხადებს: "მსოფლიო თასის ოფიციალური ჰიმნი რაღაც ცალკე ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ორიგინალური და სახალისო სიმღერა შევარჩიოთ. დარწმუნებული ვარ, Embrace-ის სიმღერა გულშემატკივრებსაც აიყოლიებს და ფეხბურთელებსაც".

ეს ინგლისური როკ-ჯგუფი ჰადერსფილდში ჩამოყალიბდა. მათი ჩანაწერები 1997 წლიდან გამოდის. გამოცემული აქვთ ხუთი ალბომი. ამ ეტაპზე კი საუკეთესო სინგლების ჩარტში მეხუთეზე ადგილზე არიან სიმღერით Nature's Law ბოლო ალბომიდან This New Day.

წარსულს რომ გადავხედოთ, ინგლისის ნაკრების მუსიკალური ფონები მსოფლიო ჩემპიონატების მიხედვით ასე გამოიყურება:

1970 - Back Home (ინგლისის საფეხბურთო ნაკრები);

1982 - This Time (We'll Get it Right) (ინგლისის საფეხბურთო ნაკრები);

1986 - We've Got the Whole World at Our Feet (ინგლისის საფეხბურთო ნაკრები);

1990 - World in Motion (New Order და ინგლისის საფეხბურთო ნაკრები);

1998 - (How Does it Feel to Be) On Top of the World (ინგლისის საფეხბურთო ნაკრები, "სფაიზ გერლზი", "ლაითნინ სიდზი", "ექო ენდ ბანიმენი");

2002 - We're On the Ball (Ant and Dec);

2006 - World at Your Feet (Embrace).

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში 9 ივნისს დაიწყება.

## ფილმში ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ითამაშებენ

დოკუმენტური ფილმების სტუდია "მემატიანესთან" არსებული საქველმოქმედო ფონდი მუშაობს ქართულ მხატვრულ სრულმეტრაჟიან ფილმზე, რომელშიც კოჯრის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები მიიღებენ მონაწილეობას.

როგორც სცენარისტმა და რეჟისორმა თამთა აბჟანდაძემ განაცხადა, ფილმი, რომლის სახელწოდებაა "უფლება", 10-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებზეა გათვლილი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების ცხოვრებას ასახავს. მისივე თქმით, ფილმზე მუშაობენ რეჟისორის ასისტენტი დალი ვაშაკიძე და პროდიუსერი უშანგი სიხარულიძე. ფილმის პრეზენტაცია მაისის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

*მედიანიუსი*

## კოტე აფხაზის ძეგლი ვაკის პარკთან

თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირზე (ყოფილი ჭავჭავაძის გამზირი), უახლოეს ხანში ახალი მონუმენტი აიგება. როგორც თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა განაცხადა მთავრობის სხდომაზე, ვაკის პარკის ტერიტორიაზე კომუნისტებმა საუკუნის დასაწყისში დახვრიტეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე კოტე აფხაზი და მისი თანამებრძოლები. იმ ადგილას, სადაც მონუმენტის აგება იგეგმება, ახლა კერძო საკუთრებაში მყოფი შენობაა. დედაქალაქის მთავრობა, კერძო მესაკუთრესთან შეთანხმებით, გეგმავს, მესაკუთრეს დროებით სარგებლობაში გადასცეს გარკვეული ტერიტორია ვაკის პარკში. ის ადგილი კი, სადაც კოტე აფხაზი და მისი თანამებრძოლები დახვრიტეს, მონუმენტის ასაგებად ქალაქის მფლობელობაში დაიბრუნოს.

თემურ ქურხულის განცხადებით, ჯერჯერობით უცნობია კონკრეტულად რა მონუმენტი აიგება. უცნობია ისიც, თუ რა ფართობი დასჭირდება კერძო მენაშენეს.

ამ პარამეტრებს დედაქალაქის ურბანული დაგეგმარების სამსახური დაადგენს. თბილისის მთავრობამ კი უკვე მიიღო გადაწყვეტილება, ეს ტერიტორია დაიბრუნოს და კოტე აფხაზისა და მისი თანამებრძოლების ხსოვნისადმი მიძღვნილი მონუმენტი ააგოს.

### განცხადება

ცეკავშირის თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მეპაიეებისა და მათი წარმომადგენლების საყურადღებოდ

გაზეთ "24 საათი"-ს 2006 წლის 25 მარტის №64 (1216)-ის მე-8 ა გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის დადგენილების შესახებ შეიცავს ერთგვარ გაუგებრობას, რადგან 2006 წლის 22 მარტს 16 საათზე უკვე ჩატარდა თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება, რომელზეც ღია კენჭისყრით ერთხმად იქნა მიღებული დადგენილება: "მიზანშეუწონლად ჩაითვალოს თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის ქონების სახელმწიფოზე გადაცემა და დაგმობილი იქნას ცეკავშირის XXIII მოწვევის XII კრების 2006 წლის 10 მარტის დადგენილება "ცეკავშირისა და ცეკავშირის სისტემის კოოპორგანიზაციების ქონების აღწერის შედეგებისა და სახელმწიფოზე გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ".

**თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობა**

### განცხადება

შპს " ენგურჰესი"-ს სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 16 იანვარს გაზეთ "24 საათში" ჰიდროაგრეგატის კვანძების დას. საბერიოდან ქ. ხარკოვის ქარხანა ტურბოატომში სარემონტოდ ტრანსფორტირებაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს "კავკასტრანსექსპედიტორმა".

TV5MONDE

### 30 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** პრეზიდენტების მფარველობის ქვეშ. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.35** გადაცემა: გურმანი. **13.15** ვარსკვლავების მთვლელი. დოკ. ფილმი. **15.05** TV5-ის სამყარო. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.25** მილუ მაისში. მხ ფილმი. რეჟისორი ლუი მალე. 1990. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** ბაქანი N1 ტელესერიალი. **24.00** სიყვარულის უფლება. მხ ფილმი. რეჟისორი რაშიდა კრიმი. 2005. **02.20** გადაცემა: თვეში ერთხელ.

### გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







### სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B
# ბიზნესი
© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

რა არის მიუღებელი ახალ საბაჟო კოდექსში?

კორპორატიულ მართვაზე გადასვლას ბანკების არამდგრადობა აფერხებს

ფინანსთა სამინისტროს თამბაქოს მრეწველობის განადგურებაში ადანაშაულებენ B2

დიდი ნავთობსადენის გახსნა ივნისისთვის გადაიდო

კასპიის ზღვაზე ნავთობტვირთების გადაზიდვა 20 მილიონ ტონამდე გაიზრდება

ყაზახეთში 2006 წელს 12 მილიონი ტონა ნავთობის გადამუშავება იგეგმება B3

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2841 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0092 |
| 1 არაბული დირჰამი | AED | 0,4976 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8276 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8497 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1210 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,2938 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3194 |
| 1 ევრო | EUR | 2,1915 |
| 10ესტონური კრონი | EEK | 1,4009 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3515 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3448 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1551 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1756 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,2003 |
| 10ისლანდიური კრონი | ISK | 0,2553 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,3886 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,5567 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,1241 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,3604 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,4031 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2761 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5542 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6140 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0657 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1270 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4061 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5688 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,5104 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,6119 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8212 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2583 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1426 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4417 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2329 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3939 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0763 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2277 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2355 |



# ქართველების "დასჭით" რუსებიც ზარალდებიან

ევროსაბჭო რუსეთს მსო-ში გაწევრიანების თანხმობის უკან გაწვევით ემუქრება




■ "საქართველოდან და მოლდოვადან ღვინის იმპორტის აკრძალვით რუსეთმა, შესაძლოა, 700 მილიონი დოლარი იზარალოს," - მიიჩნევენ რუსული ალკოჰოლური ბაზრის ექსპერტები.

■ რუსეთის საცალო ვაჭრობის საწარმოებმა, "როსპოტრებნადზორის" განკარგულებით, მოლდავური და ქართული ღვინოების გაყიდვა უკვე შეწყვიტეს.

*რუსეთის ბაზრის კომპენსაციას ქართული ღვინო ევროპისა და ამერიკის ბაზარზე შესვლით შეეცდება, მაგრამ რამდენად სრულფასოვანი იქნება ეს კომპენსაცია?*

# ესპანური კაპიტალდაბანდება

ესპანური კანონების მიხედვით, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე უძრავი ქონების მესაკუთრე ნებისმიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირი შეიძლება გახდეს. თანაც, სხვა ლიბერალური კანონების მქონე ქვეყნებისგან განსხვავებით, რეზიდენციის არმქონეთათვის შენაძენის რაოდენობაზე შეზღუდვა არ არსებობს.

გოჩა ქიმუცაძე

*ასწლეულების განმავლობაში, სახელმწიფოს მართვის ფორმის ცვლის მიუხედავად, ესპანეთმა შეინარჩუნა და კიდევ უფრო გაამყარა კერძო საკუთრების ინსტიტუტი. დღეისათვის მას საკუთრების რეესტრი იცავს. იგი სახელმწიფო სტრუქტურა გახლავთ, რომლის მოვალეობას უძრავი ქონების გასხვისების ნოტარიული აქტების რეგისტრაცია და გირაოსა და იპოთეკური კრედიტის კანონიერების დადგენა წარმოადგენს.*



## საქართველოს საფონდო ბირჟაზე 97.659.82 ლარის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე 2006 წლის 30 მარტს გამართულ რიგით 24 (609)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი იყო 19 კომპანიის აქციები, რომელთაგან გარიგება 7 კომპანიის აქციებზე დაიდო: საქართველოს ბანკი (GEB), ავტოშემკეთებელი (AVSH), უნივერმაღი "თბილისი" (UTB), რეა-ქართუ (REAQ), საქწყალპროექტი (STSP), გაერთიანებული ქართული ბანკი (UGB) და ტრანსმომსახურება (TRM). გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 34.

პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს საფონდო ბირჟიდან აცნობეს, რომ სესიაზე შემდგარი გარიგებების ჯამური მოცულობა — 10,131 ფ/ქ, ხოლო ჯამური ღირებულება — 97,659.82 ლარით განისაზღვრა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## ფინანსთა სამინისტროს თამბაქოს მრეწველობის განადგურებაში ადანაშაულებენ

ფრაქცია "მრეწველები" ფინანსთა სამინისტროს თამბაქოს წარმოების თამბაქოს მრეწველობის განადგურებაში ადანაშაულებენ. ამის შესახებ განცხადება გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა გააკეთა, საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტის განხილვის დროს. საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტით ადგილობრივ და იმპორტირებულ თამბაქოზე აქციზური განაკვეთები თანაბრდება. "როდესაც საგადასახადო კოდექსის მიღებისას თამბაქოზე მაღალი აქციზური განაკვეთები დაწესდა, ადგილობრივი წარმოების მრავალი ქარხანა დაიხურა ბიუჯეტში კი მილიონობით თანხა აღარ შევიდა. ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი? მეწარმემ ერთი თეთრიც რომ დააკლოს ბიუჯეტს, 9 ტყავს გააძრობთ. თქვენი გადაწყვეტილებების შედეგად კი ბიუჯეტმა მილიონები დაკარგა," - განაცხადა ცაგარეიშვილმა. მისივე თქმით, ფინანსთა სამინისტროს არც სიგარეტის დაბეგვრის ახალი რეჟიმის პირობებში აქვს იმის გარანტია, რომ ქვეყანაში კონტრაბანდა შემცირდება. "იმისათვის, რომ სიგარეტთან დაკავშირებით თავდაპირველად მიღებული გადაწყვეტილება შეგეცვალათ, საჭირო იყო, ასეულობით ადამიანი უმუშევარი დარჩენილიყო," - განაცხადა ცაგარეიშვილმა.

ფრაქციის თავმჯდომარის ზურაბ ტყემალაძის განცხადებით კი, ადგილობრივ და იმპორტულ თამბაქოზე აქციზის განაკვეთის გათანაბრებით არის საფრთხე იმისა, რომ ადგილობრივმა წარმოებამ იმპორტულ პროდუქციას კონკურენცია ველარ გაუწიოს.

მან ფინანსთა სამინისტროს ადგილობირვი წარმოებისათვის გარკვეული მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავება სთხოვა. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა გოცირიძემ, რომელმაც პლენარულ სხდომაზე საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტი წარმოადგინა, განაცხადა, რომ თანამდებობრივ პასუხისმგებლობას საკანონმდებლო ორგანო გადაწყვეტს, რაც მის მიერ გამოცხადებულ ნდობაში გამოიხატება. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## კორპორატიულ მართვაზე გადასვლას ბანკების არამდგრადობა აფერხებს

კორპორატიულ მენეჯმენტზე გადასვლის პროცედურა 5 საბაზისო ელემენტს: კომერციული ბანკების ფინანსურ, ფუნქციონალურ, ორგანიზაციულ, კომერციულ და კაპიტალურ მდგრადობას უკავშირდება. როგორც საქართველოს ბანკების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგიტა ცუცქირიძემ განაცხადა, აღნიშნული 5 საბაზისო ელემენტი განსაზღვრავს საბანკო სისტემის დინამიკას და განვითარებას.

ფინანსური მდგრადობა ბანკების მიერ გაწერილი ლიმიტების დაცვას უკავშირდება. 1997 წლიდან, როცა ქართულ კომერციულ ბანკებში ბაზელის პრინციპების დანერგვა დაიწყო, ლიმიტები მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდა საბანკო სისტემის განვითარების არსებულ დონეს.

ფუნქციონალური მდგრადობის პრობლემა ეხება მცირეკაპიტალიან ბანკებს შეზღუდული საკრედიტო პორტფელით. მოქმედი კანონმდებლობა ხელს უწყობს ბანკების გამსხვილებას და წვრილი ბანკების ბაზრიდან განდევნას. მსხვილ ბანკებს სამომავლოდ მძაფრ კონკურენტულ გარემოში მოუწევთ მოღვაწეობა. ორგანიზაციული მდგრადობა მესაკუთრის ინტერესს უკავშირდება. ფუნქციები სტრუქტურებს შორის ოპტიმალურად უნდა იყოს გადანაწილებული. 1993-1997 წლებში ბევრი ბანკის ბაზრიდან წასვლა სწორედ ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა განაპირობეს. ძირითადი აქცენტი ყოველთვის კეთდებოდა და კეთდება მარკეტინგის სტრატეგიაზე.

ბანკების ფინანსური თუ ფუნქციონალური მდგრადობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტაბილურობასთან. ბანკების მდგრადობის მაჩვენებელი ქვეყნის რისკებს პასუხობს. საკრედიტო პორტფელი იმ ხარისხის რისკების შემცველია, რასაც ქვეყნის ბიზნესგარემო კარნახობს. კაპიტალური მდგრადობა განაპირობებს ინვესტიციების მოზიდვას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფის ბანკის ზრდას. ბევრი ბანკის ლიკვიდაციის მიზეზი რესურსების დეფიციტი გახდა. გიორგი ცუცქირიძის განცხადებით, კომერციულმა ბანკებმა კორპორატიული მართვის სისტემის დანერგვით უნდა გააძლიერონ შიდა მენეჯმენტი, რათა მათ კონკურენციას გაუძლონ. მისი ინფორმაციით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტმა IFC ბანკი "რესპუბლიკა" კორპორატიული მართვის პროგრამის ფარგლებში პირველ ქართულ პილოტურ კომპანიად აღიარა. როგორც ბანკი "რესპუბლიკას" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა გოჩა მაცაბერიძემ განაცხადა, ბანკმა შეიმუშავა კორპორატიული მართვის კოდექსი, რომელიც ბანკის საქმიანობის სტრატეგიული დოკუმენტი გახდა.

აქციონერების უფლებების დასაცავად გადამუშავდა ბანკის შიდანორმატიული დოკუმენტები. მისი განცხადებით, კორპორატიული მენეჯმენტის დანერგვამ უზრუნველყო მცირე აქციონერთა უფლებების სრული დაცვა. დაიხვეწა ბანკის წესდება, განისაზღვრა, რომ ბანკის საბჭოს წევრთა 1/3 დაკომპლექტდეს დამოუკიდებელი წევრებისგან. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## აშშ-ს სენატი "ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს" მაგისტრალურ რკინიგზაზე იმსჯელებს

ამერიკის სომხური ასამბლეის ცნობით, აშშ-ს სენატში განსახილველად წარდგენილია პროექტი, რომელიც იმ სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაში თანამშრომლობას კრძალავს, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს, სომხეთის გვერდის ავლით, შეაერთებს.

წინასწარი მონაცემებით, ამ სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა 800 მილიონი დოლარი ღირს. ეს პროექტი აშშ-ს სენატში რესპუბლიკელმა რიკ სანტორუმომ და დემოკრატმა რობერტ მენენდეზმა წარადგინეს. "ამ რკინიგზის მშენებლობა სომხეთის იზოლაციას შეუწყობს ხელს, ეს კი თურქეთისა და აზებაიჯანის მხრიდან სომხეთზე ბლოკადის გაგრძელებას უფრო ქმედუნარიანს გახდის. როგორც ჩანს, ამ პროექტის უპირველესი მიზანი სწორედ ესაა," - ნათქვამია სენატში წარდგენილ განცხადებაში. **ჯი-ეიჩ-ენი.**

# ქართველების "დასჯით" რუსებიც ზარალდებიან

დიანა ჩაჩუა

პირველი გვერდიდან

*საქართველოსა და მოლდოვას მსგავსად, ევროსაბჭო რუსეთს თავისი ხელმოწერის უკან გაწვევით ემუქრება - იგულისხმება 2003 წელს, ევროსაბჭოსთან ხელმოწერილი თანხმობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) რუსეთის გაწევრიანების შესახებ. მიზეზად მოსკოვის მიერ შეთანხმებების შეუსრულებლობა და, ზოგადად, რუსეთის არაპროგნოზირებადობა სახელდება. ხელმოწერის გაწვევა ევროკომისიის წევრმა ჟაკ ბორრომ მოითხოვა. რუსმა ექსპერტებმა ევროსაბჭოს ამ განაცხადს "შანტაჟის" კვალიფიკაცია მისცეს.*



"სიტყვა "არაპროგნოზირებადობა" აქტიურად აიტაცა საქართველომ, რომელიც რუსეთს ხელმოწერის გაწვევით, უკვე კარგა ხანია, ემუქრება, თუ რუსეთი აფხაზეთის საზღვარზე არსებულ საბაჟო-გამშვებ პუნქტებს არ გააუქმებს და თავის ბანკებსა და მობილურ ოპერატორებს აფხაზეთში მუშაობას არ აუკრძალავს. სიმართლისთვის უნდა ითქვას, რომ საქართველოს დემარშმა დიდი გამოხმაურება არ ჰპოვა," - წერს რუსული მედია.

გუშინ რუსეთის მიერ ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვა მთავრობის სხდომის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სხდომის შემდეგ განაცხადა, ამჟამად რუსეთის ხელისუფლებასთან ღვინის ექსპორტის შესაძლო აღდგენის თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

"პარალელურად, ინტენსიურად გრძელდება ქართული ღვინოების საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის გზების მოძიება, მათ შორის - დსთ-ს სხვა ბაზრებზე, ევროკავშირის ქვეყნებისა და აზიის სახელმწიფოებში," - აცხადებდა გუშინ ნოღაიდელი. სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა კონკრეტული ქვეყნები დაასახელა, სადაც შესაძლებელი იქნება ქართული ღვინის გატანა - უკრაინა, ყაზახეთი და აშშ.

როგორც გუშინ სვიმონიშვილი აცხადებდა, რუსეთის საზღვარზე რამდენიმე ქართულ კომპანიას უკვე შეექმნა პრობლემა. მინისტრის ვარაუდით, 2006 წელს საქართველოდან ღვინის იმპორტზე რუსეთის წილი 50 პროცენტამდე შემცირდება.

საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის თქმით, რუსეთთან აგრესიული და, ამავდროულად, კონსტრუქციული დიალოგი იქნება ქართული ღვინის დასაცავად. მან არ გამორიცხა რუსეთის გადაწყვეტილების კავშირი საქართველოს პოზიციასთან მსო-ში რუსეთის შესვლასთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტი რუსეთთან ურთიერთობების დოკუმენტზე მუშაობს. ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა პლენარულ სხდომაზე განაცხადა. მისი განმარტებით, დოკუმენტი სამი პუნქტისგან შედგება და მიზნად საქართველოსა და რუსეთს შორის სამშვიდობო, ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების მოგვარებას ისახავს. მისივე ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტი აპრილში რუსეთის დუმის დელეგაციას ელოდება, ხოლო ამ შეხვედრის შემდეგ საპასუხო ვიზიტით რუსეთში ქართული დელეგაცია გაემგზავრება.

"საქართველოდან და მოლდოვადან ღვინის იმპორტის აკრძალვით რუსეთმა, შესაძლოა, 700 მილიონი დოლარი იზარალოს," - მიიჩნევენ რუსული ალკოჰოლური ბაზრის ექსპერტები.

"ეს აკრძალვა, პირველ რიგში, რუსეთსა და რუსულ ბიზნესს მიაყენებს ზარალს," - განაცხადა რუსეთის ალკოჰოლური სასმელების ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა პაველ შაპკინმა. მისი თქმით, რუსეთის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის გადაწყვეტილება საქართველოდან და მოლდოვადან იმპორტირებულ ღვინოებზე სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნების შეჩერების შესახებ, მოულოდნელი აღმოჩნდა, რის შედეგადაც სავაჭრო ქსელიდან ამოღებულია 200 მილიონზე მეტი ბოთლი, ხოლო საზღვარზე 600-მდე ვაგონია გაჩერებული, რომელთა განბაჟება ვერ ხერხდება. ასოციაციის შეფასებით, თუ ვაგონებში დატვირთული და გაყიდვაში არსებული ღვინის რეალიზაცია არ მოხდება, ზარალმა, შესაძლოა, 600-700 მილიონ დოლარს მიაღწიოს.

2005 წლის მონაცემებით, მოლდოვამ რუსეთში ღვინის ექსპორტის მთელი მოცულობის 74,8 პროცენტი გაიტანა, ხოლო საქართველომ - 60 მილიონ ბოთლზე მეტი, რაც წინა წელთან შედარებით, ორჯერ მეტია.

რუსეთის საცალო ვაჭრობის საწარმოებმა, "როსპოტრებნადზორის" განკარგულებით, მოლდავური და ქართული ღვინოების გაყიდვა უკვე შეწყვიტეს. "როსპოტრებნადზორი" შემოწმებებს მაღაზიებშიც ატარებს და მოლდოვასა და საქართველოში წარმოებულ ღვინოს ექსპერტიზისთვის დახლებიდან იღებს. როგორც ელექტრონული გაზეთი "ფორუმ-მსკ-რუ" იუწყება, ჩინოვნიკების წერილი მოლდავური და ქართული ღვინოების გაყიდვის შეჩერების მოთხოვნით სავაჭრო ქსელებმა "კოპეიკამ", "პეტერსონმა" და "პერეკრიოსტოკმა" მიიღეს. ღვინო გაყიდვიდან "მეტრომაც" ამოიღო. სპეციალისტთა შეფასებით, იმ ბითუმად მოვაჭრეთა ზარალმა, რომლებიც ღვინისთვის ფულს სავაჭრო კრედიტის ხელშეკრულებების საფუძველზე იღებენ, "როსპოტრებნადზორის" მოთხოვნის გამო, შესაძლოა, 100 მილიონ დოლარს გადააჭარბოს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი იმედოვნებს, რომ რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის შეტანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური გადაწყვეტილება არ არის. "როგორც იცით, ასეთი გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა მიიღო. შესაბამის დოკუმენტაციას სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად გავეცანი, თუმცა ვერ ვნახეთ იმის დამაჯერებელი არგუმენტი, თუ რატომ იქნა მიღებული ასეთი გადაწყვეტილება მაინცდამაინც ქართული ღვინის წინააღმდეგ," - განაცხადა გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა. მისივე თქმით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ გადაწყვეტილებაზე რუსეთის ელჩს საქართველოში ვლადიმირ ჩხიკვიშვილს განმარტებები მოსთხოვა. ასევე, საქართველოს მიერ მოწვეულია რუსეთის ტექნიკური დელეგაცია, რომელსაც ვენახის გაშენებისა და ღვინის დამზადების პირობების გაცნობა ადგილზე შეეძლება.

# რა არის მიუღებელი ახალ საბაჟო კოდექსში?

## 15 საბაჟო რეჟიმიდან 7 დარჩება

თინა შავაძე

*საქართველოში მალე ახალი საბაჟო რეჟიმი ამოქმედდება. სათანადო საკანონმდებლო ცვლილება პარლამენტში აქტიურად განიხილება. კანონპროექტი "საქართველოს საბაჟო კოდექსი" პირველი მოსმენით უკვე მიღებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ მთავრობისა და პარლამენტის წევრების უმრავლესობას შორის კოდექსის პრინციპებზე შეთანხმება მიღწეულია. ახლა კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა მიმდინარეობს და, ბუნებრივია, არსებობს საკვანძო საკითხები, რომელთა გამო დოკუმენტის ავტორი (ფინანსთა სამინისტრო) და დეპუტატები ვერ თანხმდებიან. კამათი უმთავრესად დეკლარანტის მიმართ საჯარიმო სანქციების დადგენილ ოდენობას შეეხება.*

ამ ეტაპზე კანონპროექტის განხილვაში ხელისუფლების მხოლოდ ეს ორი შტოა ჩართული. პროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ კანონპროექტი შეიმუშავეს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებმა და ამ პროცესში ორგანიზაციას ან დაწესებულებას მონაწილეობა არ მიუღია. ამასთან, არ არსებობს ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ. "24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ კანონპროექტზე გარკვეულმა წრეებმა ბაკურიანში უკვე იმსჯელეს და შენიშვნებიც გამოთქვეს. "ჩასწორებული" ვარიანტი კი ფინანსთა სამინისტროდან საკანონმდებლო ორგანოში მომავალ კვირას გადაიგზავნება.

მოქმედი საბაჟო კოდექსი შემოღებულია 1997 წლის ნოემბერში, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს ველარ პასუხობს. ახალი კანონპროექტი "საქართველოს საბაჟო კოდექსი" ითვალისწინებს საბაჟო პოლიტიკის ძირეულ გადახედვას და გამარტივებული საბაჟო პროცედურების შემოღებას. მისი ძირითადი მიზნებია: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა - საგარეო ვაჭრობისა და ტრანზიტის მოცულობის გაზრდა; ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერა - მოქნილი ადმინისტრირების მექანიზმებით ბიზნესის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა.

პროექტით მთლიანად შეცვლილია საბაჟო კოდექსის სტრუქტურა, ის ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, დამატებულია გასაჩივრებისა და საბაჟო სამართალდარღვევის (პასუხისმგებლობის) საკითხები და შედგება 11 კარისაგან. არსებული 15 საბაჟო რეჟიმიდან რჩება შემდეგი 7 საბაჟო რეჟიმი: საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი); საქონლის ტრანზიტი; საქონლის საბაჟო საწყობში მოთავსება (გაერთიანებულია უბაჟო ვაჭრობა); საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე (გაერთიანებულია საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ); საქონლის დროებით შემოტანა; საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ და საქონლის ექსპორტი.

საბაჟო დამუშავების ოპერაციად გადაკეთდა 5 საბაჟო რეჟიმი: თავისუფალი ზონა; თავისუფალი საწყობი; რეექსპორტი; საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ და სახელმწიფოს საკუთრებაში საქონლის გადაცემა. არსებული 2 საბაჟო რეჟიმის (დროებითი გატანისა და რეიმპორტის) დებულებები გადატანილია საბაჟო შეღავათების (პრეფერენციების) ნაწილში, დაბრუნებული საქონლის სახით. საბაჟო კოდექსის გამარტივებისა და ნორმების ცალსახად აღქმის მიზნით, შემოღებულია ახალი ტერმინების განმარტებები, მათ შორის - საქონლის საბაჟო სტატუსი, საბაჟო პროცედურები, საბაჟო ზედამხედველობა, საბაჟო კონტროლი, საბაჟო დამუშავების ოპერაცია, საბაჟო კონტროლის ზონა, საბაჟო დავალიანება და საბაჟო ვალდებულება.

გაზეთ "24 საათთან" საუბარში პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის უფროსი თემურ კოპალეიშვილი ამბობს: "ბაკურიანში საბაჟო დეპარტამენტი ცდილობდა, წარმოდგენილი ვარიანტი დაეცვა. პარლამენტის წარმომადგენლებმა საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით შესწორებები მოვითხოვეთ. პროექტით, დეკლარანტის (ვინც გადააადგილებს საქონელს ან ტრანსპორტს) მიმართ საკმაოდ მაღალი ოდენობის საჯარიმო სანქციებია გათვალისწინებული. ამ ეტაპზე ზოგიერთი სანქციის საერთოდ გაუქმება ან მისი შემცირება მოვითხოვეთ. ზოგიერთ შემთხვევაში კი, პირიქით, სანქციის გამკაცრება ჩავთვალეთ მიზანშეწონილად. მაგალითად, მთავრობის მიერ შემოთავაზებული ვარიანტით, თუ იურიდიული პირი საბაჟო პროცედურების განხორციელებისას წარდგენილ დოკუმენტებში არასწორ ინფორმაციას ჩაწერს, მაშინ მან საჯარიმო სანქციის სახით უნდა გადაიხადოს საბაჟო გადასახდელების 25 პროცენტი, არანაკლებ 500 ლარისა. ასეთი ქმედების განმეორების შემთხვევაში - 100 პროცენტი, არანაკლებ 5000 ლარისა. ვფიქრობ, თუ დეკლარანტმა დოკუმენტებში ჩაწერა არასწორი ინფორმაცია (ვთქვათ, მისამართი შემეშალა) და ამას სახელმწიფოსთვის არ მიუყენებია ზიანი, მაშინ საჯარიმო სანქცია არ უნდა დაწესდეს და ის არ უნდა იყოს მიბმული გადასახდელების საერთო თანხასთან. თუ დეკლარანტმა გადასახდელი თანხა შეამცირა, მაშინ შემცირებული თანხიდან უნდა ავიღოთ ეს პროცენტი და არა მთლიანი თანხიდან. დავუშვათ, მეწარმეს გადასახდელი აქვს 10 ათასი ლარი და ჩაწერა, რომ გადასახდელია 7 ათასი ლარი, ანუ შეამცირა 3 ათასი ლარით, ამიტომაც საჯარიმო სანქცია უნდა შეეხოს 3 ათასს და არ მთლიანად 10 ათასს.

არსებობს ასეთი დარღვევა - კონტეინერზე დაზიანებული ლუქი. მისი დაზიანება არ შეიძლება, სანამ არ მოხდება ტვირთის განბაჟება. დაზიანებულ ლუქზე ძალიან მაღალი ჯარიმაა გათვალისწინებული, ეს არის საბაჟო გადასახდელების 100 პროცენტი, არანაკლებ 20 000 ლარისა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ოდენობა უნდა შემცირდეს და ამაზე ფინანსთა სამინისტროსთან, პრაქტიკულად, შევთანხმდით. გარდა ამისა, კიდევ ბევრ საკითხზე შევთანხმდით. მაგალითად, დეკლარაციის წარუდგენლობა 500 ლარით უნდა დაჯარიმდეს. რადგან საგადასახადო კოდექსით დეკლარაციის წარუდგენლობა ჯარიმდება 200 ლარით. ამიტომ მოვითხოვეთ, საბაჟო დეკლარაციის შემთხვევაშიც საჯარიმო სანქცია იგივე დარჩეს."

ახალი საბაჟო კოდექსი დანერგავს მეწარმესა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის საჩივრების აღძვრის ახალ სისტემას და საბაჟო სამართალდარღვევის საქმეების განხილვის ახალ პროცედურებს.

პროექტით, ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს წარმოქმნილი საბაჟო დავის გადაწყვეტის თაობაზე შესაბამისი დებულებების შემოღება, რომლითაც საგადასახადო დავების ანალოგიურად დგინდება მისი გადაწყვეტის ფორმები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით და სასამართლოს მიერ. აღნიშნულ კარში განსაზღვრულია საბაჟო დავის დაწყების წესი, დავის განხილვის ვადები. ნიშანდობლივია ის, რომ ამავე პროექტით ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა: საბაჟო დავის დაწყების დღიდან დავის დასრულებამდე სადავო თანხისა და შესაბამისი ჯარიმის გადახდის ვალდებულება შეჩერებულად ითვლება. ამასთან, სადავო საკითხების განხილვის გამჭვირვალობისა და მარტივი მექანიზმის ფორმირების უზრუნველყოფის მიზნით, ცალსახად ჩამოყალიბდა დავების განხილვის პროცედურები და სტადიები: ფინანსთა სამინისტროს სისტემა (2 თვე): საბაჟო ორგანო; საბაჟო დეპარტამენტი; ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო, სასამართლო.

მეათე კარში (საბაჟო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა) მთლიანად გადმოტანილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებული საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებული დებულებები (სამართალდარღვევის სახეები და პასუხისმგებლობა), აგრეთვე, ზოგადი დებულებებით განისაზღვრა საბაჟო სამართალდარღვევა და საბაჟო პასუხისმგებლობის სუბიექტები, საბაჟო სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები, საბაჟო სანქცია, საბაჟო სამართალდარღვევის შესახებ საქმის წარმოებისა და საბაჟო სამართალდარღვევის საქმეზე საბაჟო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების საკითხები.

## ყაზახეთში 2006 წელს 12 მილიონი ტონა ნავთობის გადამუშავება იგეგმება

ყაზახეთში ნავთობის გადამუშავების მოცულობამ 2006 წელს 12 მილიონი ტონა შეადგინა. როგორც სააგენტო "ტრენდს" ყაზახეთის საერთაშორისო კონფერენციაზე "ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები ნავთობისგადამუშავებაში" ენერგეტიკისა და მინერალური რესურსების სამინისტროს ნავთობის მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორმა მუსაბეკ ისაევმა განუცხადა, მისი პროგნოზით, 2015 წლისთვის რესპუბლიკაში ნავთობის გადამუშავების მაჩვენებელი 17,7-18 მილიონ ტონას მიაღწევს. "2015 წლისთვის გადამუშავებული ნავთობის ფაქტიური მოცულობა ყაზახეთის ნავთობგადამამუშავებელი სამი ქარხნის სიმძლავრეს მიაღწევს, ქარხანათა სიმძლავრეები არ არის საკმარისი და ნავთობის გადამუშავების გასაუმჯობესებლად და ნავთობპროდუქტების საწარმოებლად აუცილებელია ახალი გადამამუშავებელი კომპლექსის მშენებლობა," - განაცხადა ისაევმა.

სს "ნავთობისა და გაზის მრეწველობის მთავარი სადისპეტჩეროს მართვის" ვიცე-პრეზიდენტის მუნალ იზბერგენის განმარტებით, 2005 წელს "პავლოდორის ნავთობქიმიური ქარხანა" 49,3 პროცენტით დაიტვირთა და საპროექტო სიმძლავრემ წელიწადში 7,5 მილიონი ტონა შეადგინა, შიმკენტსკის ქარხანა - 65 პროცენტით (6 მილიონი ტონა), ატირაუსკის - 71,4 პროცენტით (4,9 მილიონი ტონა). **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების საპროგნოზო ლიმიტები დამტკიცდა

საქართველოს ელექტოენერგიის საბითუმო ბაზარმა ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების 30-31 მარტის საპროგნოზო ლიმიტები დაამტკიცა. როგორც საბითუმო ბაზარში განაცხადეს, "ენგურჰესის" სარეაბილიტაციოდ გაჩერების შემდეგ ბაზარმა 30-31 მარტის ენერგობალანსი შეიმუშავა და შესათანხმებლად "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" გადააგზავნა. "ენერგობალანსში გათვალისწინებულია ქვეყნის შიდა რესურსები (ჰიდროელექტროსადგურები, "მტკვარი ენერგეტიკა", "თბილსრესის" მე-4 ენერგობლოკი და აირტურბინა) და მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტირებული ელექტროენერგია," - განაცხადეს საბითუმო ბაზარში. მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტირებული ელექტროენერგია საპროგნოზო გრაფიკში 7.78 მლნ კვტსთ-ს შეადგენს; მათ შორის - რუსეთიდან 4.7 მლნ.კვტსთ-ის, თურქეთიდან - 1.135 და სომხეთიდან - 1.94 მლნ.კვტსთ-ის ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდება.

აღნიშნული სიმძლავრეების გათვალისწინებით 30-31 მარტის პერიოდისთვის საპროგნოზო საშუალო დღე-ღამურმა გასაყიდმა ელექტროენერგიამ, ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით, 26.4 მლნ კვტსთ შეადგინა. მათ შორის - თბილისისთვის დაგეგმილია 7.06 მლნ კვტსთ-ი ელექტროენერგიის მიწოდება, (პიკზე 390 მვტ-ი), გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის - 5.5 მლნ კვტსთ-ის (პიკზე 360 მვტ), აჭარის ენერგოკომპანიისთვის - 1.56 მლნ კვტსთ-ის (პიკზე 80 მვტ), ხოლო კახეთის ენერგოდისტრიბუციისთვის - 0.5 მლნ კვტსთ-ის (პიკზე 44 მვტ) მიწოდება. **ინტერპრესნიუსი.**

## ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური კახეთში მიემგზავრება

ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური დღეს კახეთში მიემგზავრება. მინისტრი კახეთის მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესს პირადად მოინახულებს, რომლის პირველი ეტაპი დასრულდება. ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას კახეთის გამანაწილებელი კომპანია "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" სამ დიდ ქალაქში - თელავში, საგარეჯოში და გურჯაანში ახორციელებს. ინდივიდულური მრიცხველი უკვე დაუმონტაჟდა 5 ათას აბონენტს, კიდევ 5 ათასს კი უახლოეს თვეებში დაუმონტაჟდება. აღნიშნული მრიცხველები "კახეთის ენერგოდისტრიბუციამ" რუსეთში უკვე შეუკვეთა. ყოველ მომდევნო თვეში მინიმუმ 1 000 ინდივიდუალური მრიცხველი დამონტაჟდება. გარდა ამისა, "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" ასრულებს კომუნალური მრიცხველების მონტაჟის პირველ ეტაპს. თითოეული ასეთი მრიცხველი მაქსიმუმ 70 აბონენტს ემსახურება. მომავალში კი დაგეგმილია ამ ციფრის შემცირება და თითოეული საუბნო მრიცხველი, სავარაუდოდ, მხოლოდ 20 კომლს მოემსახურება. "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" ხვალიდანვე დანერგავს მომსახურების ახალ სერვისს. კერძოდ, აბონენტები ელექტროენერგიის ქვითრებს ხელზე მიიღებენ, რის შემდეგაც ისინი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს ბანკებში გადაიხდიან. **ჯი-ეიჩ-ენი.**

# ესპანური კაპიტალდაბანდება

პირველი გვერდიდან



ესპანური კანონების მიხედვით, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე უძრავი ქონების მესაკუთრე ნებისმიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირი შეიძლება გახდეს. თანაც, სხვა ლიბერალური კანონების მქონე ქვეყნების, მაგალითად, კვიპროსისაგან განსხვავებით, რეზიდენციის არმქონეთათვის შენაძენის რაოდენობაზე შეზღუდვა არ არსებობს.

მოკლედ, ესპანეთი ყველა მყიდველს კარს ფართოდ უღებს. ცუდი მხოლოდ ის არის, რომ ესპანელებს გვარიანი ბიუროკრატიული ქაღალდომიანია სჭირთ და სანამ თქვენი შენაძენი სხვადასხვა ინსტანციაში დარეგისტრირდება, ათასგვარი ბეჭედი დაერტყმება და მადრიდის სათავო ოფისამდე მიაღწევს, შეიძლება სამი-ოთხი თვეც კი გავიდეს. თუმცა, მანამდე თქვენს მიერ გაკეთებული შენაძენის დამადასტურებელი დროებითი საბუთი გეძლევათ.

### გამუდმებით მზარდი ფასები

ესპანეთი ეკონომიკურად ძალზე სწრაფად მზარდი ქვეყანა გახლავთ, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ იქაურ კაპიტალში თანხის დაბანდება მომგებიანი საქმეა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ფასები გამუდმებით იზრდება. მაგალითად, გასული წლის განმავლობაში უძრავ ქონებაზე ფასების 12-დან 19 პროცენტამდე ზრდა დაფიქსირდა. ექსპერტთა ვარაუდით, ამგვარი ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება.

ამ პროგნოზის გაკეთების საფუძველს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაცია - უცხოელ ინვესტორთა დაინტერესება, წარმოების და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა განაპირობებს.

ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას საკურორტო ზონაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე, რომელზეც ფასის მატებას, ყველაფერთან ერთად, დეფიციტის ფაქტორიც განაპირობებს. საქმე ის არის, რომ ზღვისპირა რეგიონების მუნიციპალიტეტთა მონაცემებით, 5-6 წლის შემდეგ სამშენებლო მიზნებისათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთები უკვე საერთოდ აღარ იარსებებს. ეს კი ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში ამ რეგიონებში მიწას მთლად ოქროს ფასი დაედება.

შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ესპანეთში უძრავ ქონებას ლამის უკვე ადევს კიდეც ოქრო ფასი. დიდი ქალაქების პრესტიჟულ უბნებში, მაგალითად, როგორიცაა ბარსელონას ვილაოლიმპიკა, ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის ღირებულება 7 ათას ევროს აღწევს. ნაკლებად პრესტიჟულ უბნებში ფასი გაცილებით ნაკლებია და 4-5 ათასამდე მერყეობს. ანუ, თითქმის იმდენივეა, რამდენიც საშუალო მნიშვნელობის ქალაქების, მაგალითად, ვიგოს კარგ რაიონში. რაც შეეხება საეჭვო რეპუტაციის და სამრეწველო უბნებს, კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის ხელში ჩაგდება 500 ევროდაც შეიძლება.

ზოგადად, რაც უფრო დიდი და განვითარებულია ქალაქი, ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობისაა რაიონი, საცხოვრებელი ფართის ფასი იზრდება. იგივეს თქმა შეიძლება ზღვასთან სიახლოვეზეც. მაგალითად, კანარისა და ბალიარის კუნძულებზე, ასტურიის პროვინციასა და დიდ ქალაქებში სიძვირეა. სამაგიეროდ, შედარებით სიიაფეა ნაკლებად განვითარებულ და ტურისტებისათვის არცთუ ისე მიმზიდველ რეგიონებში, მაგალითად, ბასკეთსა და ანდალუზიაში.

გარდა ამისა, ღირებულებაზე გავლენას ახდენს განაშენიანების ტიპი და ხარისხი, კეთილმოწყობა, სართული და ასე შემდეგ. განსაკუთრებით ძვირი ინდივიდუალური ტიპის შენობებია. ხოლო თუ ისინი დანარჩენი სამყაროსაგან გამოყოფილია და, თანაც, საკურორტო ზონასთან ახლოსაა, საშინლად ძვირი - კვადრატული მეტრი 20 ათას ევრომდეც კი ღირს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჭკვიანი ბიზნესმენი თავად მიხვდება, თუ რაოდენ მომგებიანი შეიძლება იყოს ესპანეთში მიწის ნაკვეთის შეძენა და შემდგომი რეალიზების მიზნით მშენებლობის წამოწყება. მით უმეტეს, რომ ესპანეთი ძალიან მდიდარია სამშენებლო მასალებით და ადგილობრივი მუშახელიც საკმაოდ იაფია. თავისთავად ცხადია, განსაკუთრებით მომგებიანია მშენებლობა საკურორტო ზონებში, იქ, სადაც მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი ფართი ძვირი ღირს და ფასი სულ უფრო და უფრო იზრდება.

### ესპანური კრედიტი

ესპანეთში უძრავი ქონების შეძენის შესაძლებლობას მნიშვნელოვნად აიოლებს იპოთეკური სესხის აღების მეტად ლიბერალური კანონები. დღეს მოქმედი ესპანური კანონმდებლობის მიხედვით, პიროვნებას, რომელიც ევროკავშირის რეზიდენტი არ არის, შეუძლია, ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში სესხის სახით მიიღოს შესაძენი უძრავი ქონების ღირებულების 40-დან 65 პროცენტამდე 25 წლის ვადით. რეზიდენტს კი მეტი, ღირებულების 80 პროცენტამდე თანხის მიღების და იპოთეკის სხვა მყიდველზე გადაფორმების საშუალებაც აქვს.

აღებული სესხის პროცენტული გადასახადი პროვინციების, ბანკების და შენაძენის ტიპის მიხედვით 2,95-დან 4,4 პროცენტამდე მერყეობს. თუმცა, ესპანური ბანკების კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია, კრედიტი დაფაროს და ზედმეტად მხოლოდ ნაადრევად დაბრუნებული თანხის 1 პროცენტამდე გადაიხადოს.

კრედიტის მისაღებად საჭიროა, ბანკში წარადგინოთ: მოქმედი პასპორტი, შემოსავლის ოდენობისა და ამა თუ იმ ქონების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი. საქმე ის არის, რომ ესპანური კანონმდებლობის მიხედვით, კრედიტის ყოველთვიური გადასახადი არ შეიძლება იყოს შემოსავლის 30 პროცენტზე მეტი. ამდენად, დოკუმენტებში მითითებული თანხა შესაბამისი უნდა იყოს.

### გამოუყენებადი ფართი და დიდი გადასახადი

აუცილებელია აღინიშნოს ის განსხვავებები, რომლებიც საქართველოსა და ესპანეთში კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის შეძენას შორის არსებობს. საქართველოში მრავალსართულიან სახლში ბინის შეძენისას თქვენ კედლებს შიგნით მოქცეული ტერიტორიის პატრონი ხდებით, ესპანეთში კი, ამასთან ერთად, შენობის საზოგადოებრივი ნაკვეთურების და მიმდებარე მიწის ნაკვეთის წილს, ანუ კიბეების, დერეფნების, ლიფტის შახტის, სხვენის, ეზოს, ტროტუარის და ა.შ. ნაწილს ისაკუთრებთ. აქედან გამომდინარე, ბინის ფართობიც სხვადასხვაგვარად აღიქმება. მაგალითად, როცა ესპანეთში საუბრობენ 100 კვადრატული მეტრი ფართობის ბინაზე, ამ საზოგადოებრივ ტერიტორიებსაც გულისხმობენ და თავად საცხოვრებელი ფართი 80 კვადრატულ მეტრს არ აღემატება. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ესპანეთში არ არსებობს ე.წ. თეთრი და შავი კარკასის ცნება. იქ ბინა მთლიანად დამთავრებულია და ფასში რემონტი, სამზარეულოსა და საძინებლების კედლებში ჩაშენებული კარადები, მაღალი ხარისხის სანტექნიკა და სრული კეთილმოწყობა შედის.

გარდა ამისა, ესპანეთში უძრავი ქონების შეძენის მსურველმა უნდა იცოდეს, რომ დიდძალი გადასახადის გადახდა მოუწევს. მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე უძრავი ქონების შეძენა იბეგრება შემდეგი გადასახადებით: ნოტარიული მოსაკრებელი, საკუთრების რეგისტრაციის გადასახადი და საქმის წარმოების გადასახადი. ყველაფერი ეს მთლიანობაში 12 პროცენტს შეადგენს. ამასთან, ადგილობრივი მთავრობები უძრავ ქონებას დამატებით ბეგრავენ, რაც სხვადასხვა პროვინციაში განსხვავებულია და 6-დან 8 პროცენტამდე მერყეობს.

განსხვავებულია გადასახადი ახალ და მეორად უძრავ ქონებას შორის. კერძოდ, ახალი ნაგებობები დამატებითი, 7 პროცენტის ოდენობის გადასახადით იბეგრება.

როგორც ვხედავთ, ესპანეთში საკმაოდ დიდი გადასახადებია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ უძრავი ქონების შენახვა საკმაოდ ძვირი, წელიწადში 500-დან 2500 ევრომდე ჯდება. რაც შეეხება კომერციულ ფართს, აქ განსხვავება მხოლოდ ის გახლავთ, რომ საქმიანობის მიხედვით დამატებითი დაბეგვრა ხდება. ამასთან, არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ თუ შეძენილი ბინის, ან ვილის გაქირავების სურვილი გაგიჩნდებათ, შესაბამის ორგანოებს უნდა შეატყობინოთ და შემოსავლის მიხედვით დამატებითი გადასახადი იხადოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სოლიდური ჯარიმის გადახდა მოგიხდეთ.





## დიდი ნავთობსადენის გახსნა ივნისისთვის გადაიდო

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ექსპლოატაცია, სავარაუდოდ, ივნისის მეორე ნახევრიდან დაიწყება. ამის შესახებ აზერბაიჯანში თურქეთის ელჩმა თურან მორალიმ განაცხადა. "სამუშაოების ამჟამინდელი ეტაპის გაანალიზების შემდეგ შემიძლია ვთქვა, რომ ჯეიჰანის პორტში ოფიციალური ცერემონია ივნისის მეორე ნახევარში გაიმართება," - აღნიშნა ელჩმა, რომელიც კონკრეტულ რიცხვს ჯერ ვერ ასახელებს.

მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ჯეიჰანის პორტიდან ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერის გასვლა მაისში მოხდება. თბილისში ვიზიტისას თურქეთის პრეზიდენტმა ახმედ ნეჯეთ სეზერმა დაადასტურა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნის ცერემონია ივნისში იგეგმება.

აშშ-ს სომხური ასსამბლეა ასევე იუწყება, რომ ეს ორი სენატორი პროსომხური განწყობილებისაა და ისინი მუდმივად უჭერენ მხარს სომხეთის სასარგებლო პროექტების განხორციელებას. **მედიანიუსი.**

## საუდის განვითარების ფონდი აზერბაიჯანის ავტომაგისტრალის მშენებლობას დააფინანსებს

საუდის განვითარების ფონდი ბაქოში ვიზიტს 31 მარტიდან იწყებს, მისიის შემადგენლობაში ექსპერტები აბდულა ალ ხოვაიტერი და მუჰამედ ალ დალილანი შედიან. როგორც სააგენტო "ტრენდი" იტყობინება, აზერბაიჯანის მთავრობაში მისიის ვიზიტის მთავარი მიზანია, აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან შეათანხმოს ევლახ-განჯის საავტომობილო გზის მშენებლობის საკრედიტო ხელშეკრულების დეტალები.

საუდის ფონდის დირექტორთა საბჭომ ჯერ კიდევ 2005 წლის ბოლოს გადაწყვიტა, აზერბაიჯანისთვის გზების მშენებლობის პროექტი 13 მილიონი დოლარით დაეფინანსებინა, თუმცა საკრედიტო ხელშეკრულება აზერბაიჯანულ მხარისთვის წარდგენილი არ იყო. საუდის ფონდის მიხედვით, კრედიტი აზერბაიჯანს სტანდარტული პირობებით გადაეცემა - 20-წლიანი კრედიტის შეღავათიანი პერიოდი 4 წლით განისაზღვრება და წლიური 2 პროცენტით.

ავტოგზის საერთო სიგრძე 88 კილომეტრია, აქედან 50 კილომეტრის მშენებლობას საუდის ფონდი და განვითარების ისლამური ბანკი დააფინანსებს. ბანკმა ასევე გადაწყვიტა მარტში 10,4 მილიონი დოლარის გამოყოფა, ამასთან დაკავშირებით საკრედიტო ხელშეკრულებას ჯერ კიდევ 2005 წლის მარტში გაფორმდა.

დარჩენილი გზის მონაკვეთს განვითარების აზიური ბანკი აფინანსებს, რომელმაც ამ პროექტის რეალიზაციისთვის 93,2 მილიონი დოლარი ორი მონაკვეთის ევლახ-განჯის და საქართველოს საზღვარზე გამოყო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## მსოფლიო ბანკი სომხეთის ენერგეტიკულ პროექტს დააფინანსებს

მსოფლიო ბანკმა ერევანს ენერგეტიკული პროექტის დასაფინანსებლად 8 მილიონი დოლარი გამოუყო. როგორც სააგენტო "ნოიან ტაპანს" ერევანში მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა როჯერ რობინსონმა განუცხადა, ამ თანხიდან 5 მილიონი დოლარი კრედიტის სახით იქნება, დარჩენილ 3 მილიონ დოლარს გრანტის სახით სომხეთს გლობალური ეკონომიკური ფონდი გამოუყოფს.

რობინსონის განმარტებით, პროგრამა სომხეთს დაეხმარება, ენერგიის მიღების ალტერნატიული წყაროების გამოყენებით გაზარდოს კერძო სექტორის მიერ ელექტროენერგიის წარმოება.

რობინსონის განმარტებით, პროგრამის განხორციელების შედეგად სომხეთი დამატებით 80 მეგავატ ელექტროენერგიას მიიღებს. პროგრამა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანადაფინანსებით განხორციელდება, რომელიც 7 მილიონი დოლარის კრედიტს გამოყოფს. ფონდი "ათასწლეულის გამოწვევა" პროექტს 3 მილიონი დოლარით დააფინანსებს.

რობინსონის თქმით, სომხეთს დიდი პოტენციალი გააჩნია ქარის ელექტროსადგურების და ჰესების განვითარების მხრივ და ასევე სომხეთში საკმაოდ ბევრი ინვესტორი არსებობს, რომელთაც ამ სფეროში ინვესტიციების ჩადება სურთ.

მსოფლიო ბანკი სომხეთს 40-წლიან 0,75-პროცენტიან კრედიტს 10-წლიანი შეღავათიანი პერიოდით გამოუყოფს, თანხას სომხეთის მთავრობა ენერგეტიკისა და ენერგომომარაგების ფონდის მეშვეობით მიიღებს, რომელიც, თავის მხრივ, ამ ფულს კომერციულ ბანკებს გადაურიცხავს. ბანკები დონორისაგან მიღებულ თანხას საბაზრო იპოთეკური კრედიტების სახით დაინტერესებულ კერძო ინვესტორებს გადასცემენ.

მსოფლიო ბანკი სომხეთის მთავრობასთან 1992 წლიდან თანამშრომლობს და დონორ ორგანიზაციას განხორციელებული აქვს 42 პროგრამა, რომლის მთლიანი ღირებულება $921 მილიონია. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## კასპიის ზღვაზე ნავთობტვირთების გადაზიდვა 20 მილიონ ტონამდე გაიზრდება

ყაზახეთის საზღვაო პორტ აქტაუს გაფართოების პროექტის რეალიზაციის შემდეგ კასპიის ზღვაზე ტვირთების გადაზიდვის მოცულობა 23 მილიონ ტონამდე გაიზრდება. როგორც სააგენტო "ტრენდი" იტყობინება, ექსპერტების მონაცემებით, ამ პროექტის რეალიზაციის შედეგად პორტის გაზრდილი საწარმოო სიმძლავრით შესაძლებელი იქნება წელიწადში 20 მილიონი ტონა ნავთობისა და 3 მილიონი ტონა მშრალი ტვირთების გადაზიდვა.

ყაზახეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებით, სახელმწიფო პროგრამის თანახმად, კასპიის ზღვაზე ყაზახეთის წილი 2010 წლისთვის ნავთობის მოპოვების წლიური მოპოვება საზღვაო საბადოზე 40 მილიონ ტონას შეადგენს, 2015 წლისთვის კი ეს მონაცემი სავარაუდოდ, 100 მილიონამდე გაიზრდება. ყაზახეთის პრემიერ-მინისტრ დანიალა ახმეტოვის განმარტებით, აქტაუს პორტი მაქსიმალურად კონკურენტუნარიანი უნდა გახდეს იმ მიმართულებით, როგორიცაა რუსეთი, ირანი და თურქმენეთი.

ამჟამად განსაზღვრულია მობილური ნავთობტერმინალის პროექტის - Mobilex Oil Terminal-ის განხორციელება. როგორც პრემიერ-მინისტრი განმარტავს, პროექტის განსახორციელებლად, ისევე, როგორც საერთოდ, აქტაუს პორტზე სამუშაოების ჩასატარებლად, დამაბრკოლებელი ფაქტორი არ არსებობს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

# "საქართველოს ბანკი" 25 მილიონი დოლარით "გამდიდრდა"

## "საქართველოს ბანკი" "სითიგრუფისგან" არაუზრუნველყოფილი საკრედიტო ხაზის მიღების შესახებ აცხადებს

ნინო ნარჩემაშვილი

*"საქართველოს ბანკმა", პირველად ქართული საბანკო სექტორის არსებობის მანძილზე, შეიძლება ითქვას, ნოვატორული გარიგება განახორციელა - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მონაწილეობის გარეშე მსხვილი უცხოური ბანკისგან კომერციული სესხი მიიღო - ხელი მოეწერა ხელშეკრულებას მსოფლიოში ცნობილ ჯგუფ "სითიგრუფში" (Citigroup) შემავალ კომპანია "სითიბანკ ენ-ეი, ლონდონთან" (Citibank N.A., London) 25 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის არაუზრუნველყოფილი საკრედიტო ხაზის გამოყოფის შესახებ.*



კრედიტის ვადა 18 თვეს შეადგენს და იგი განკუთვნილია ყველა სახის სესხების (კორპორატიული კლიენტების, იპოთეკური და სამომხმარებლო სესხების, ოვერდრაფტების და სხვა) გასაცემად. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები სესხებს, როგორც წესი, მხოლოდ რაიმე კონკრეტული მიზნისათვის გასცემენ, "საქართველოს ბანკისა" და "სითიბანკ ენ-ეი, ლონდონის" კონტრაქტის შემთხვევაში კი ქართულ ბანკს თანხების განკარგვისა და მოქმედების სრული თავისუფლება ენიჭება. თანაც, სესხი არაუზრუნველყოფილია, ანუ "საქართველოს ბანკს" მის ასაღებად არანაირი დამატებითი ვალდებულებები არ ეკისრება, რაც, თავისთავად, ნდობის მაღალ ხარისხზე მეტყველებს. ეს კი **"საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის, ლადო გურგენიძის შეფასებით, "გამოიწვია ინვესტორებთან სწორად წარმართულმა ურთიერთობამ, "საქართველოს ბანკის" სრულმა გამჭვირვალობამ, პარტნიორებთან მუდმივმა დიალოგმა და იმან, რომ ბანკის საქმიანობის შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაცია რეგულარულად მიეწოდება დასავლურ ბაზარს."**

რაც შეეხება აღნიშნული სესხის მნიშვნელობას, ლადო გურგენიძის თქმით, **"ამ ტრანზაქციით გაიჭრა გზა დასავლური კაპიტალის ბაზრისკენ და სრულიად რეალური გახდა სამომავლოდ ბევრად დიდი თანხების მოზიდვა - სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ბოლოსათვის 200-მილიონიანი ტრანშის მოზიდვა გახდება შესაძლებელი. ისიც ცხადია, რომ ასეთი შესაძლებლობებით მარტივი ხდება კლიენტურასთან მუშაობაც. საქართველოს ბანკისათვის" "სითიგრუფთან" (Citigroup) გაფორმებული კონტრაქტი უმნიშვნელოვანესი გარიგება გახლავთ. გარდა ამისა, "საქართველოს ბანკს" მიმდინარე და მომავალი წლისათვის მეტად ამბიციური გეგმები აქვს სესხების მოზიდვასთან დაკავშირებით - მეთოდურად ხორციელდება დაგეგმილი ღონისძიებები, რათა "საქართველოს ბანკი" გახდეს აღიარებული მსესხებელი საერთაშორისო ბაზარზე სხვადასხვა სავალო ინსტრუმენტების განთავსების გზით."**

ინფორმაციისათვის - "სითიგრუფი" (Citigroup) არის ფინანსური მომსახურების წამყვანი კომპანია, რომელსაც ასზე მეტ ქვეყანაში 200 მილიონზე მეტი კლიენტის ანგარიში გააჩნია. "სითიბანკ ენ-ეი, ლონდონი" (Citibank N.A., London) კი მსოფლიოს უმსხვილესი ბანკია, რომელთან პარტნიორობაც პრესტიჟულია და საერთაშორისო ბაზარზე ავტომატურად ქმნის სანდოობის იმიჯს.

"სითიგრუფის" ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის სავალო ბაზრების თანახელმძღვანელი აჰმეთ ბექჩემი "საქართველოს ბანკთან" გაფორმებულ ხელშეკრულებას ორივე მხარისათვის კომერციულად მომგებიანად აფასებს და აცხადებს, რომ "სითიბანკ ენ-ეი, ლონდონმა" რისკი, როგორც ამბობენ, გამართლებულად ჩათვალა. მისივე თქმით, **"საქართველოს ბანკთან" განხორციელებული გარიგება არის კაპიტალის ბაზარზე რისკების დივერსიფიკაციის ინოვატიური გზა. "საქართველოს ბანკის" მენეჯმენტის მაღალი პროფესიონალიზმის, საქმიანობის გამჭვირვალობის, სტრატეგიისა და შთამბეჭდავი შედეგების გამო შესაძლებელი გახდა ამ გარიგების წარმატებით განხორციელება, რამაც ჩვენს ინვესტორებს საქართველოს კორპორატიულ ბაზარზე მონაწილეობის საშუალება მისცა. გარდა ამისა, გარიგება საქართველოს მზარდ ეკონომიკაში ჩვენი საქმიანობის გაფართოების საფუძველს შექმნის."**

### საქართველოში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 500 მილიონ დოლარს მიაღწია

პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა საქართველოში 2004 წელს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰდენიზის გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზარდა და თითქმის 500 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, - განაცხადეს სტატისტიკის დეპარტამენტში.

დეპარტამენტის ცნობით, 2005 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დასრულდა ნავთობსადენის მშენებლობა, ამან ნაწილობრივ გამოიწვია პირდაპირი ინვესტიციების მოცულობის შემცირება. ასევე, ადგილი ჰქონდა უცხოური ინვესტიციის გამოსყიდვას საკმაოდ სოლიდური მოცულობით (43 მლნ. აშშ დოლარი). ყოველივე ამის გავლენით, 2005 წლის პირველ სამ კვარტალში პირდაპირი ინვესტიციების წმინდა მოცულობამ 270.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მდგომარეობა გარკვეულად გამოსწორდა მეოთხე კვარტალში, სადაც მკვეთრად გაიზარდა პრივატიზაციის პროცესიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მან 58.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1.6-ჯერ მეტია 2005 წლის პირველ სამ კვარტალში პრივატიზაციის პროცესიდან შემოსულ ინვესტიციებზე. საკმაოდ მნიშვნელოვანი პირდაპირი ინვესტიციები განხორციელდა მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით და საბანკო სექტორში. ყველაფერმა ამან განაპირობა ის, რომ 2005 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელებულმა ინვესტიციებმა 177.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. შესაბამისად, 2005 წელს საქართველოში სულ განხორციელდა 447.8 მლნ. აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია, რაც 10 პროცენტით ნაკლებია 2004 წლის მონაცემებთან შედარებით.

ცხრილის მიხედვით, თუ პირობითად მთლიანი ინვესტიციებიდან BP-ის წილს გამოვრიცხავთ, დანარჩენ ინვესტიციებში 2005 წელს, წინა წელთან შედარებით, ადგილი აქვს 31-პროცენტიან ზრდას. უმსხვილესი ინვესტორის (BP) ხვედრითი წილის შემცირება ნიშნავს იმას, რომ 2005 წელს ადგილი ჰქონდა უცხოური ინვესტიციების დივერსიფიცირებას და მისი სტრუქტურის გაუმჯობესებას.

დეპარტამენტის ექსპერტების აზრით, ზემოაღნიშნული გარემოება არის იმის წინაპირობა, რომ მიმდინარე 2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი.

პორტფელის ინვესტიციები და ფინანსური წარმოებულები უმნიშვნელოა, რადგან ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ფინანსური ბაზრის ჩამოყალიბება სრულყოფილი სახით.

სხვა ინვესტიციების ბალანსმა 2005 წელს 176.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს ვალდებულებების ზრდაზე მიუთითებს. ნაწილობრივ ეს გამოწვეულია ვალების რესტრუქტურიზაციის პროცესით. არსებული შეთანხმების თანახმად, ხდება დარიცხული პროცენტების კაპიტალიზაცია, ასევე გადავადდა ძირითადი ვალის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს გარკვეულად ამსუბუქებს ქვეყნის საგადამხდელო ტვირთს, მაგრამ შესაბამისად იზრდება ვალდებულება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

### გუდაური-კობის მონაკვეთზე კვლავ ზვავსაშიშროებაა

გუდაური-კობის მონაკვეთზე კვლავ ზვავსაშიშროებაა. როგორც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პრესცენტრში განაცხადეს, ჰიდრომეტცენტრის ცნობით, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების გამო, ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა 12.00-დან - 17.00 საათამდე აკრძალულია. დღე-ღამის დარჩენილ პერიოდში მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30-ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ზვავდამცავი გვირაბების გავლით, ცალმხრივად გუდაურიდან კობის ან კობიდან გუდაურის მიმართულებით. აღნიშნულ მონაკვეთზე დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ჯვრის უღელტეხილი-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობისას იკრძალება ავტომანქანების გაჩერება. მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30-ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობის მიმართულების რეჟიმის რეგულირება საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის უშუალო კოორდინაციითა და ზედამხედველობით ადგილზე შექმნილი ვითარების შესაბამისად ხორციელდება. გზის დანარჩენ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. **ინტერპრესნიუსი.**

### ამინდი

| | 31/03 | 1/04 | 2/04 |
|---|---|---|---|
| კიევი | 8 | 7 | 12 |
| რიგა | 4 | 6 | 7 |
| ვილნიუსი | 2 | 6 | 9 |
| მოსკოვი | 6 | 5 | 7 |
| მინსკი | 3 | 6 | 11 |
| პარიზი | 12 | 12 | 11 |
| რომი | 18 | 21 | 20 |
| ლონდონი | 10 | 9 | 9 |
| მადრიდი | 23 | 22 | 23 |
| ბონი | 11 | 11 | 7 |
| ვარშავა | 6 | 10 | 12 |
| ათენა | 21 | 22 | 23 |
| ბერნი | 16 | 15 | 15 |
| ამსტერდამი | 7 | 8 | 5 |
| ოსლო | 3 | -2 | 2 |
| ანკარა | 19 | 17 | 19 |
| ვარნა | 15 | 17 | 19 |
| დელი | 38 | 39 | 37 |
| ტოკიო | 12 | 22 | 11 |
| კოპენჰაგენი | 1 | 3 | 2 |
| ბაქო | 21 | 16 | 19 |
| ერევანი | 21 | 22 | 19 |
| ასტანა | 4 | 1 | 6 |
| ჰელსინკი | -5 | 0 | -1 |
| დუბლინი | 5 | 3 | 2 |
| ლისაბონი | 23 | 21 | 23 |
| პრაღა | 7 | 12 | 10 |
| სოფია | 18 | 17 | 20 |
| ბუდაპეშტი | 7 | 16 | 15 |
| ბუხარესტი | 15 | 17 | 20 |

## საცალო ვაჭრობის ქსელი "პოპული" საერთაშორისო ინტერესს იწვევს

"პოპული" საერთაშორისო ბიზნეს-საზოგადოების ინტერესის საგანი გახდა. კომპანიის ხელმძღვანელმა ე. ფიჩხაიამ ადამ სმიტის სახელობის კონფერენციაზე მოსკოვში წაიკითხა მოხსენება "საცალო ვაჭრობის ბაზარი საქართველოში". სმიტის კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანი ბიზნესფორუმია და "პოპული" გახლდათ პირველი ქართული კომპანია, რომელიც, როგორც ყველაზე წარმატებული ქსელი საქართველოში, კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს.

ხსენებულ ფორუმს მოსკოვში მსოფლიოს წამყვანი კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენცია რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში საცალო ვაჭრობას ეძღვნებოდა. ფორუმში მონაწილეობდნენ ისეთი ფინანსური ინსტიტუტები, როგორებიცაა: "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი" (EBRD), USAID, "ტროიკა დიალოგი" (რუსეთი), "ფრაიზ უოთერჰაუზ კუპერსი" (კანადა), რაიფაიზენ ბანკი (გერმანია), "ბეიკერ & მაქენზი" (აშშ), MDM ბანკი (რუსეთი). მონაწილეობდნენ შემდეგი საცალო ვაჭრობის კომპანიები: "იკეა" (შვედეთი), "მეტრო" (გერმანია), "ველიკა კიშენია" (უკრაინა), "პერეკრიოსტოკ" (რუსეთი), REWE (გერმანია), "ევროსეტი" (რუსეთი), L'etoile (საფრანგეთი), "პეტერსონი" (რუსეთი), "არბატ პრესტიჟი" (რუსეთი), "მოსმარტი" (რუსეთი).

ფორუმი ორმხრივად სასარგებლო გახლდათ. მაშინ, როცა საერთაშორისო სოლიდური კომპანიები ახალ ბიზნეს-კონტაქტებს ამყარებენ სხვადასხვა კომპანიასთან და იღებენ უახლეს და, რაც მთავარია, სანდო ინფორმაციას, სხვა ქვეყნების ეკონომიკური სიტუაციის შესახებ, განვითარებადი ქვეყნები მდიდრდებიან საჭირო გამოცდილებითა და ცოდნით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს და გაიზარდოს კომპანია; რა არის ამისთვის საჭირო; როგორ უნდა განახორციელონ წარმატებული ბიზნესი საცალო ვაჭრობის სექტორში.

"ეს პრესტიჟული ყოველწლიური კონფერენციაა და ის ფაქტი, რომ "პოპული" პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართული კომპანიაა ამ ფორუმზე, ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო წამყვანი კომპანიები და ინსტიტუტები "პოპულს" აღიარებენ, როგორც ყველაზე წარმატებულ და დინამიკურად მზარდ კომპანიას საქართველოში", - აღნიშნა ე. ფიჩხაიამ.

"პოპულის" გნერალურმა დირექტორმა ფორუმზე შეკრებილ საერთაშორისო ბიზნესსაზოგადოებას საქართველოს ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა გააცნო და წარუდგინა საქართველოში პირველი საცალო ვაჭრობის ქსელის "პოპულის" საქმიანობისა და განვითარების შესახებ ინფორმაცია. "პოპულის" წარმატებამ და საქმისადმი ნოვატორულმა მიდგომამ საერთაშორისო ბიზნეს საზოგადოების დაინტერესება გამოიწვია.

"პოპული" - საცალო ვაჭრობის პირველი ქართული ქსელია, თანამედროვედ აღჭურვილი და ნათელი სუპერმარკეტები თბილისში, დღესდღეობით, უმსხვილესია საქართველოში. 2001 წელს პირველი სუპერმარკეტის გახსნის შემდეგ "პოპული" სწრაფად გაიზარდა რისი მთავარი მიზეზიც ფასისა და ხარისხის შესაბამისობის საუკეთესო ნაზავია. "პოპულის" მაღაზიები დედაქალაქის თითქმის ყველა უბანს ემსახურება. დღეს "პოპული" უკვე ქართველების საყვარელი სავაჭრო ადგილია.




თბილისში "პოპულის"15 სუპერმარკეტია (მათგან ორს 15 აპრილს დადიანისა და ხორავას ქუჩებზე გახსნიან), "პოპული" დღესდღეობით ორ ფორმატში მუშაობს: სუპერმარკეტი და დისქაუნთერი. "პოპულის" მომსახურებით ყოველდღიურად დაახლოებით 7 ათასზე მეტი ადამიანი სარგებლობს. მაღაზიები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ და კლიენტებს 4 ათასი დასახელების უმაღლესი ხარისხის პროდუქტს სთავაზობენ.

"ჩვენი სუპერმარკეტები განკუთვნილია საშუალო შემოსავლის მქონე კლიენტებისთვის. ეს არის მიზეზი, რის გამოც ვცდილობთ, რომ ჩვენს მომხმარებელს პროდუქცია ქსელში შეძლებისდაგვარად იაფად მივაწოდოთ. კომპანია პროდუქციას პირდაპირ მწარმოებლებისგან იძენს ყოველგვარი შუალედური რგოლის გარეშე. ჩვენ გვაქვს ექსკლუზიური კონტრაქტები მსხვილ ქართულ და საერთაშორისო მწარმოებელ კომპანიასთან. ეს კი გვაძლევს საშუალებას, პროდუქცია გაცილებით იაფად წარმოვადგინოთ "პოპულის" ქსელში", - განმარტავს ე. ფიჩხაია "პოპულის" საფასო პოლიტიკას.

"პოპულის" პროდუქციის ხარისხი კლიენტებისთვის ყოველთვის ეჭვგარეშეა. დღეს მრავალ სხვადასხვა სახის პროდუქტს, "პოპულის" კერძო სავაჭრო ნიშნით, გერმანიაში, ბულგარეთში და რუსეთში აწარმოებენ. კერძო სავაჭრო ნიშნით დამზადებული პროდუქციის ასორტიმენტი 100 ერთეულს ასცდა.

რამოდენიმე წლის განმავლობაში ამ დინამიკურად მზარდმა ახალგაზრდა კომპანიამ ქართულ ბაზარზე წამყვანი ადგილი დაიკავა. კომპანიის მენეჯერები რეგულარულად იყენებს ინოვაციებს, რომლებიც დასავლურ ბაზარზეა მიღებული და რომლებიც, ამავე დროს, ქართული ბაზრის მოთხოვნებსაც თავისუფლად ერგება.

"პოპულის" კლიენტების რიცხვი სწრაფი ტემპით იზრდება. 2005 წლის დეკემბრიდან სს "პოპულმა" კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა თავის ლოიალურ მომხმარებელს, ეს გახლავთ ბროშურა "პოპული", რომელიც ქსელის მაღაზიების მეშვეობით უფასოდ ვრცელდება და მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას ქსელში არსებული საქონლის ფასდაკლებებისა და სიახლეების შესახებ. აპრილიდან კი "პოპულის" კლიენტებს უკვე საშუალება ექნებათ გამოიყენონ ერთობლივი დისკონტური ბარათი "პოპულიბარათი", "საქართველოს ბანკისა და პოპულისაგან"

"პროდუქციის ასორტიმენტის ზრდის გარდა, ვაპირებთ საკუთარ თავზე ავიღოთ ხარისხის კონტროლიც. გავხსნით საკუთარ ლაბორატორიას, გვეყოლება საკუთარი ექსპერტები და ჩვენი მაღალი ხარისხის სავაჭრო ნიშნის ქვეშ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას შევთავაზებთ მომხმარებელს", - აცხადებს ე. ფიჩხაია.

კომპანია შეჩერებას არ აპირებს. ე. ფიჩხაიას თქმით, ახლო მომავალში "პოპულის" ქსელი კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წაიწევს წინ.

"პოპულის" ხელმძღვანელობა გეგმავს თბილისს გარეთ, საქართველოში გაფართოებასაც. ფიჩხაია აცხადებს, რომ წელს "პოპულის" სუპერმარკეტების რიცხვი 25-მდე გაიზრდება. 2007 წელს კი უკვე კომპანია თბილისის საზღვრებსაც გასცდება და საქართველოს სხვა ქალაქებსაც მოემსახურება. 2008 წლის ბოლოსთვის საქართველოს "პოპულის" ასი სუპერმარკეტი მოემსახურება.

"არა მხოლოდ მაღაზიების რიცხვი გაიზრდება, არამედ გამრავალფეროვნდება ჩვენი მომსახურებაც. თუ დღეს მხოლოდ ორი ფორმატით ვფუნქციონირებთ - დისქაუნთერი (500 კვ.მ სავაჭრო ფართი) და მცირე ზომის სუპერმარკეტი(200კვ.მ.), მარკეტი (250 კვ.მ. საშუალო სავაჭრო ფართით) - ახლო მომავალში მომხმარებელს შევთავაზებთ სამ დამატებით ფორმატს: პოპული მინი (50 კვ.მ. სავაჭრო ფართი), პოპული ჰიპერმარკეტი (5000 კვ.მ. სავაჭრო ფართი) და პოპული სუპერმარკეტი (2000 კვ.მ. სავაჭრო ფართი)", - აღნიშნავს ფიჩხაია.

"პოპულის" მომსახურე პერსონალის რიცხვი სამასს აღემატება. ახლო მომავალში გაიხსნება ტრეინინგ-ცენტრიც, სადაც კონსულტანტებს, მოლარეებს და სხვა მომსახურე პერსონალს პროფესიონალები გაწვრთნიან.

"ტრეინინგ-ცენტრში გაწვრთნილი კადრი მომხმარებელს საუკეთესო ხარისხის მომსახურებას გაუწევს. ჩვენი კომპანიის მიზანია არა მხოლოდ კლიენტურის არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება, არამედ გვსურს მათი სამომავლო მოთხოვნების პროგნოზირებაც შევძლოთ და მათ დაკმაყოფილებაზეც ვიზრუნოთ. მომხმარებელს არა მხოლოდ ახალი პროდუქცია და მომსახურება უნდა შევთავაზოთ ხელმისაწვდომ ფასად, არამედ უნდა ვიზრუნოთ საცალო ვაჭრობის სტანდარტების გაზრდაზეც საქართველოში", - აღნიშნავს ე. ფიჩხაია.

### საბითუმო ბაზარი 2005 წლის საქმიანობის ანგარიშს წარმოადგენს

ელექტროენერგეტიკული სექტორის 100-ზე მეტი ლიცენზიანტი საბითუმო ბაზრის მენეჯმენტის მიერ 2005 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიშს ხვალ მოისმენს. როგორც საბითუმო ბაზარში განაცხადეს, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის წევრთა ყოველწლიური საერთო კრება დღეს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება. ელექტროენერგეტიკული სექტორის 100-ზე მეტი ლიცენზიანტი ბაზრის მენეჯმენტის მიერ 2005 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიშს მოისმენს. ელექტრობაზრის წევრები ერთი წლის ვადით აირჩევენ ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს 10-წევრიან შემადგენლობასა და დაამტკიცებენ ცვლილებებს ელექტრობაზრის წესდებაში.

2006 წლის ბაზრის საერთო კრებაზე წლიური ანგარიშით უკანასკნელად წარსდგება ელექტრობაზრის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისი, ელექტრობაზრის მმართველი კონსორციუმის "იბერდროლას" მენეჯმენტ კონტრაქტის 5-წლიანი ვადა 2006 წლის ნოემბერში იწურება. **ინტერპრესნიუსი.**

# შ.პ.ს. "ბორჯომი-ლიკანი" (ყოფილი მეოთხე სამმართველო) აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს

შესყიდვის ობიექტებია- I-II-III-V--აგარაკების, სამკურნალო კორპუსის, ცენტ-რალური საქვაბის, ავტოფარეხის, კლუბ-სასადილოს, ფერმისა და გუჯარეთში საზაფხულო საძოვრის შეკეთებითი სამუშაოები, ასევე ტერიტორიის კეთილმოწყობითი და დაკიდული ხიდის აღდგენითი სამუშაოები:

cxrili ??/

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები | 1. I-II-III-IV აგარაკი | 1. სანტექნიკური, ელ. ტექნიკური, საიზოლაციო, მოსაპირკეთებელი, სადურგლო და სამღებრო სამუშაოები | 15.04-10.06/06 |
| | 2. სამკურნალო კორპუსი | 2. სანტექნიკური, ელ. ტექნიკური, საიზოლაციო, მოსაპირკეთებელი, სადურგლო, სამღებრო, შემინვის სამუშაოები | 15.04-10.06/06 |
| | 3. ცენტრალური საქვაბე | 3. I-II საქვაბის აგრეგატის შეცვლა, N1 ორთქლის ქვაბის და ეკონომაიზერის მილების გაწმენდა შლამისაგან და მინადუღისაგან. მკვებავი წყლის ქიმიური მომზადების დანადგარის შეკეთება. ცხელი წყლის მომზადების მოწყობილობების შეკეთება. N1 ქვაბის წევა შესაბერი მოწყობილობების შეკეთება. მცირე სიმძლავრის ქვაბების შეკეთება გაწმენდა. | 15.06-15.11/06 |
| | 4. დაკიდული ხიდი | 4. სამშენებლო-სამონტაჟო და სადურგლო სამუშაოები | |
| | 5. კლუბი-სასადილო | 5. სანტექნიკური, ელ. ტექნიკური, საიზოლაციო, მოსაპირკეთებელი, სადურგლო, სამღებრო, შემინვის სამუშაოები. | 15.04-10.06/06 |
| | 6. ავტოფარეხი | 6. საიზოლაციო და სადურგლო სამუშაოები | 1.07-10.09/06 |
| | 7. ფერმა და საზაფხულო საძოვარი | 7. საიზოლაციო და სადურგლო სამუშაოები | 15.04-10.05/06 |
| | 8. კეთილმოწყობითი სამუშაოები | 8. მიწის, ნგრევის, ხე-ტყის დაყენების ბეტონის, ქვის წყობის სამუშაოები. ელექტრო გაყვანილობის მინტაჟის და ელექტროარმატურის დაყენების სამუშაოები. წყალგაყვანილობისა და სადრენაჟე სამუშაოები. სხვა სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები, ღობეების და გალავნების დაყენების სამუშაოები. ფილებით მოპირკეთების, სადურგლო და სამღებრო სამუშაოები. ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები. | 15.04-30.10/06 |

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული სამუშაოს მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ადგილზე შესრულებით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

საკვალიფიკაციო და სატენდერო წინადადებების მიღება იწარმოებს 2006 წლის 26 აპრილიდან 28 აპრილის 17.00. სთ-მდე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის წარმოდგენის შემდეგ 2006 წლის 31 მარტიდან 28 აპრილამდე, შემდეგ მისამართზე ქ. ბორჯომი მესხეთის ქ. N16 შ.პ.ს. "ბორჯომი-ლიკანი". სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი ჩარიცხული უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

"სახალხო ბანკი"
მიზნობრივი ანგარიში N36080626
ბანკის მფო: 220101437

პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

1) ცნობა ყადაღის არარსებობაზე (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო)
2) ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრება, სანაცია, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია.

**ფიზიკური პირისთვის:**

1) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2) ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

წარმოდგენილიუნდაიყოს:ობიექტისხარჯთაღრიცხვა[სატენდერო მოცულობების მიხედვით გაფასებული]

*შენიშვნა*: არარეზედენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცეცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმნის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში შესყიდვა განხორციელდება ლოტებად, თითოეულ ლოტზე გამოვლინდება თითო გამარჯვებული.

დამატებით ინფორმაციისთვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: ვახტანგ ზერეკიძე, ტელ:89955-25-53 ქ. ბორჯომი მესხეთის ქ. N16 შ.პ.ს. "ბორჯომი-ლიკანი".

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში "სასწრაფო სამედიცინო დახმარების" პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის მიხედვით სასწრაფო სამედიცინო საგნებით აღჭურვის ქვეკომპონენტით სამედიცინო აპარატურის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

**I ლოტი: დეფიბრილატორი - 70 ცალი;**

*სპეციფიკაცია:*

1. აპარატის მდგომარეობა - ახალი;
2. მუშაობის რეჟიმი - ასინქრონული;
3. ენერგიის დონეები ჯოულებში - დიაპაზონი 20-360 ჯოული;
4. აკუმულატორის ტევადობა - არანაკლებ 360 ჯოულის 20 განმუხტვა;
5. დამუხტვის დრო - არაუმეტეს 5 წმ 360 ჯოულამდე;
6. ელექტროდები - დიდების და ბავშვების;
7. კვების წყარო - ცვლადი დენი 120-230 ვ, 50 ჰც, აკუმულატორი;
8. აკუმულატორის 100% დატვირთვის დრო - არაუმეტეს 3,5 საათისა;
9. დაცვის დონე - არაუარეს II კლასისა.

*აქსესუარები:*

ა) ჩანთა - 1 ცალი

***შენიშვნა: საგარანტიო მომსახურების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 1 წლისა.***

**II ლოტი: ელექტროკარდიოგრაფი - 70 ცალი;**

*სპეციფიკაცია:*

1. აპარატის მდგომარეობა - ახალი;
2. არხების რაოდენობა - არანაკლებ 3;
3. განხრების რაოდენობა - სტანდარტული, 12;
4. შესასვლელი წინაღობა - არანაკლებ 35 მეგაომი;
5. სიხშირის დიაპაზონი - არაუარესი 0,05-150 ჰც.;
6. დეფიბრილატორის დაცვა - არანაკლებ 4500 ვ.;
7. დისპლეი - თხევადკრისტალური;
8. ტალღების რაოდენობა - სამი;
9. ინტეგრირებული თერმული პრინტერი;
10. გადაღების სიჩქარე - 25, 50 მმ/წმ;
11. ქაღალდის სიგანე - არანაკლებ 55 მმ;
12. მგრძნობელობა 5, 10, 20 მმ/მვ;
13. ელექტროკვება - 100-240 ვ. 50/60 ჰც;
14. ავარიული კვება - არანაკლებ 90 წუთი;
15. წონა, აქსესუარების ჩათვლით - არაუმეტეს 3 კგ;

*აქსესუარები:*

1. ჩანთა - 1 ცალი;
2. დასამუხტი ბატარეები - 1 კომპლექტი;
3. კვების კაბელი - 1 ცალი;
4. ელექტროდების გელი - 1 ცალი;
5. ელექტროდები და კაბელი - 1 კომპლექტი;
6. პრინტერის ქაღალდი კარდიოგრაფისათვის - 1 ცალი.

***შენიშვნა: საგარანტიო მომსახურების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 1 წლისა.***

3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 ივლისი. მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად, პირობით: DDP, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144.

4. თანმდევი მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

5. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2006 წლის 20 აპრილის 17 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144. მეექვსე სართული, ოთახი 608.

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 25 აპრილს 10 საათიდან 15 საათამდე.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

7.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

7.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

7.3 დამატებითი მოთხოვნები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) **CE** ან **ISO** სერტიფიკატი.

8. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

9. მე-7 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

10. პრეტენდენტებს ტენდერის თითოეულ ლოტზე უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 696590, 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; ტელ.: E-mail: **Procurement-ge@yahoo.com**.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ხულოს რაიონის გამგეობა, დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1.

აცხადებს ტენდერს თხევადი აირის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

2. მიწოდების სასურველი ვადაა: 2006 წლის 20 აპრილიდან წლის ბოლომდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 10 აპრილს 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ხულოს რაიონის გამგეობა, დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1. 1 სართული, მე-5 კაბინეტი. (ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამსახური).

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის :

-ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება ( ცნობა საგადასახადოდან და სასამართლოდან)

- ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები ( მისამართი, ტელეფონის ნომერი, ხელმძღვანელის სახელი გვარი, საბანკო რეკვიზიტები).

4.2 ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას ქმედითუნარიანობს შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან) .

- ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები ( მისამართი, ტელეფონის ნომერი, ხელმძღვანელის სახელი გვარი, საბანკო რეკვიზიტები).

- ცნობა შესაბამისი სამსახურებიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

- ცნობა საგადასახადო სამსახურიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის

შემდეგ ანგარიშზესახალხო ბანკის ხულოს ფილიალი 300724040

2006 წლის 15 აპრილს შემდეგ მისამართზე: ხულოს რაიონის გამგეობა, დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1. 1 სართული, მე-5 კაბინეტი. (ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამსახური).

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი

პირებისაგან ემზარ აბულაძე, თემური მახარაძე.

მისამართზე: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1. 1 სართული, მე-5 კაბინეტი. (ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამსახური).).

ტელ: 893-36-68-12, 893-99-37-34, 888238 7-00-22.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ხულოს რაიონის გამგეობა (მის: დაბა ხუილო ტბელ აბუსერისძის ქN1) აცხადებს ;სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ორეტაპიან ტენდერს:

ა. კურორტ ბეშუმის წყალსადენის რეაბილიტაცისათვის;
ბ. დაბა ხულოს გარე განათებისათვის;
გ. ხულოს რაიონის სანებიტსადგურის შენობის დასრულებისათვის.
დ. ხულოს რაიონის განათლების კულტურისა და სპორტის განყოფილების შენობის სახურავის რეკონსტრუქციისათვის;

ინტელექტუარული მომსახურების შესყიდვაზე იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა 2006 წლის 25 აპრილიდან 20 მაისამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები სამ ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 1 აპრილიდან 2006 წლის 12 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ხულოს რაიონის გამგეობა, დაბა ხულო ტბელ აბუსერისძე ქ N1 მეორე სართული მე-8 კაბინეტი იურიდიული განყოფილება თემური მახარაძე, ირაკლი ჯორბენაძე.

4. საკვალიფიკაცი მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები

b) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაზე მონაწილეობის მსურველის პირის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ:

დ)ცნობას, სასამართლოდან რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2 ფიზიკური პირისათვის:

a) ცნობას, სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

b) ცნობას, პოლიციიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

5. საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთ ეგზემპლიარად დედანის ან ნოტარულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი ორი ეგზემპლიარი ქსეროასლის სახით.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ინსტრუქცია ორეტაპიანი ტენდერში მონაწილობისათვის:

პირველადი სატენდერო წინადადებები დახურულ კონვერტები, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილი უნდა იწნეს სატენდერო კომისიაში.

Pირველადი სატენდერო წინადებები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას;

a) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

b) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის კადრების კვალიფიკაციის შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მიიღოს სატენდერო დოკუმენტაცია.

სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკის ხულოს ფილიალი 300724040

c) მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრედეტენდენტებს, რომლებიც თავიანთ საკვალიფიკაციო ,მონაცემებითა და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველადი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

10. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები კომისიის მიერ წერილილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენ პირებს.

11. პრეტენდენტებს აქვთ უფლება წარმოადგინონ ერთი ან რამდენიმე ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

12. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შემდეგ პირებს; თემური მახარაძე, ემზარი აბულაძე ტელ N 899993734, 893366812 მისამართზე დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქN1

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ხულოს რაიონის გამგეობა, დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1.

აცხადებს ტენდერს სასმელი წყლის პლასმასის მილის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

2. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში ( მაისის ბოლო)

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 აპრილს 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ხულოს რაიონის გამგეობა, დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1. 1 სართული, მე-5 კაბინეტი. (ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამსახური).

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის :

-ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება ( ცნობა საგადასახადოდან და სასამართლოდან)

- ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები ( მისამართი, ტელეფონის ნომერი, ხელმძღვანელის სახელი გვარი, საბანკო რეკვიზიტები).

4.2 ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას ქმედითუნარიანობს შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან) .

- ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები ( მისამართი, ტელეფონის ნომერი, ხელმძღვანელის სახელი გვარი, საბანკო რეკვიზიტები).

- ცნობა შესაბამისი სამსახურებიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

- ცნობა საგადასახადო სამსახურიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს

შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის

გადახდის შემდეგ ანგარიშზე: სახალხო ბანკის ხულოს ფილიალი 300724040 2006 წლის 20 აპრილს შემდეგ მისამართზე: ხულოს რაიონის გამგეობა, დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1. 1 სართული, მე-5 კაბინეტი. (ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამსახური).

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან ემზარ აბულაძე, თემური მახარაძე.

მისამართზე: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1. 1 სართული, მე-5 კაბინეტი. (ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამსახური).).

ტელ: 893-36-68-12, 893-99-37-34, 888238 7-00-22.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ენგურჰესი", ს/მ - ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო აცხადებს ტენდერს ენგურჰესის თაღოვან კაშხალზე ინტელექტუალური მომსახურების გაწევის (შემდგომში ნატურული დაკვირვებები) შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია შემდეგ ლოტებად:

1. ლოტი N1: კაშხლის გეოდეზიური, ფილტრაციული, სუფოზიური, გეოდინამიკური და სეისმოლოგიური კვლევები;

2. ლოტი N2: კაშხალის ბეტონის გამოკვლევა და მისი საექსპლოატაციო პირობების გაუმჯობესება;

3. ლოტი N3: კაშხლის ფუძის გეოფიზიკური გამოკვლევები სეისმო-ტომოგრაფიული მეთოდით;

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა:

პირველ ლოტზე - I ეტაპი -29.04.06-29.05.06 წ.

II ეტაპი- 15.08.06-15.09.06 წ.

მეორე ლოტზე - 05.04.06 - 31.12.06 წ.

მესამე ლოტზე - I ეტაპი -29.04.06-29.05.06 წ.

II ეტაპი- 15.08.06-15.09.06 წ.

3. მომსახურების გაწევის ადგილია საქართველო, ქ. ჯვარი დას. ფოცხოეწერი შპს "ენგურჰესი"-ს თაღოვანი კაშხალი, დაფინანსების წყარო შპს 'ენგურჰესი"-ს ბიუჯეტი.

4. პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო წინადადება წარმოადგინოს ერთ ან რამოდენიმე ლოტზე. გამარჯვებული გამოვლინდება ყველა ლოტზე ცალცალკე.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე ქართულ ენაზე საქართველოში მაცხოვრებლებმა, ხოლო უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა რუსულ ენაზე (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 აპრილის 15 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისი. Pპაკეტი გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით წარდგენის ვადის დამთავრებისთანავე.

6. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტები და პირველად სატენდერო წინადადებები ღირებულების მითითების გარეშეE დახურული კონვერტით.

პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის ინსტრუქცია:

1. პირველადი სატენდერო წინადადება არ უნდა შეიცავდეს Eღირებულებას;

2. პირველადი სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის მიერ გასაწევი მომსახურების შემსყიდველის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; სატენდერო წინადადებების შეფასებისას უპირატესობა

მიენიჭება მომსახურების ხარისხს და შემსრულებელი პირის კვალიფიკაციას, შემდგომ მომსახურების ღირებულებას.

ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები ეცნობება პირველადი სატენდერო წინადადებების წარმომდგენ ყველა პირს გადაწყვეტილების მიღების დღიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადისა.

